



N 1

საქართველოს მთაწინობა

25 173/3

სახელმწიფო
1927



წარწერა მხატვარ ვ. ჭილოხანის
ყდა მხატვარ ა. ჩოდჩინკოს



პროლეტარული გზარღობა

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა
ასოციაციის ყოველთვიური ორგანო.

№ 1

იანვარი

ტ ვ ი ლ ი ს ი
სახელმწიფო გამომცემლობა

1927





ସ. ମ. ଶ. ବ. ପାଲଙ୍ଗରାତ୍ନପୁର ପ୍ରକ୍ଷେତ୍ରରେ ମେ-3 ବ୍ୟାମଦା.

ବ୍ୟେବେତା ନେ 976 ମତାବେଳିପ୍ରକାଶି 127. ପ୍ରିରାଜି—1500.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი

— დაე, გამძაფრებით ზეცა მრისხანებდეს
და ზღვამ თეთრ ქაფების ბადე მოიხვიოს
იყოს ბედის მონა რისხვას ვინც დანებდეს
და ოლძრული გემით უკან დაიხიოს.
ვიცი ქარიშხალი უფრო გამძაფრდება
დაე, გულდამფრტხალი ზღვაში დაიძიროს
კარგი მეზღვაური ხიფათს გადაცდება
და მიაღწევს მიზანს თუნდაც გაიწიროს.
შესდექ სანაპიროე, მოვალ მონადირე
მთებო, რას აპირებთ, გული თუ მოგთხარეთ?
ბნელო, რად შეწუხდი, თვალებს, რომ მარიდებ,
მნათობს რალას ეტყვი, — წელში მოიხარე?..
დედავ, არ დაბერდე შეილი გაგახარებს,
ტქბილად, მე შენს მკერდზე ძუძუ მიწოვია
ვით ერთგულ შვილს მენდე, შენ სამშობლო მხარევ,
ჩააბარე წარსულს რაზეც გიგლოვია.
დედავ ნუღარ დარდობ თუ ზღვა საშიშია
ცეცხლით გადავღადროთ ბნელი მილეული,
ბრძოლა გმირებისთვის შენ არ დაგიშლია...
ვიმარჯვებდით. — ეხლაც ვართ ბედს მიღწეული.

— დაე, გამძაფრებით ზეცა მრისხანებდეს
და ზღვამ თეთრ ქაფების ბადე მოიხვიოს
იყოს ბედის მონა რისხვას ვინც დანებდეს
და ოლძრული გემით უკან დაიხიოს.

ენგურის მთები

ლექსი პირველი

ენგურის ქედმაღალ მთებს და მათ
გულზე დახუცილ ნაძვების ხსოვნას.

რა ყრუ ღამეა.—შორს კი ხეობა
ყელამდე კუპრით ამოვსებული—
ისევ დაკოდილ გულივით ბორგავს
უფრო საზარლად აყეფებული...
მთის მწვერვალები—შუბლ დაჩეხილი,
შემოსცერიან გარემოს მტრობით!—
და როგორც სისხლი გადმოდენილი,
ბრმა ნაპრალებში ენგური მორბის...
მთვარე ხომ კლდიდან გადმოეშვება,—
თუ არის მართლა მწყურვალი გული;
რომ ამოსცალოს ხარბი პეშვებით
ეს ღამე ხევში ჩაგუბებული.

ნაპობი ზურგი ქედმაღალ მთების—
რომ სჩანს.—იქ ერთხელ ძმად შეფიცული,—
ნაძვები იდგნ, გრძელ შუბებივით
ულრუბლო ცაზე მიყუდებული.
მაგრამ, თუ ეხლა ფესვი არ ედგათ,—
მოთხრილ ძირების სჩანდა ნიშანი,
და მოხეთქილი ლოდები ერთვან
მკერდები იყო სალის კლდისანი.

ვიღაც მოსულა შორიდან უცებ,
დაუქბენია ფერდობი ხარბათ,
და მერე მშობლის დაკოდილ გულზე
მმებისთვის ყელი გამოუღადრავს...

მათ ტოტებს იქნებ ეძებს არწივი,—
გათენებიდან ცას რომ აკვრია—
და მხოლოდ ხეში მელავებ დაკრილი
დახოცილ ძმების გვამები ჰყობა!..

უწინ რომ ვიწრო ბილიკი სჩანდა,—
თითქო მხეცების ქბილით გახრული,
სად გულს უშიშრად ვერ გაიტანდა
თუნდ ველურ ჯიხვის მაგარი მუხლი!—
ეხლა იქ ქვიშამ ჩაიხრიალა
დალურსმულ ნალებს ავარდა ალი!—
და ცხენმა ტორჩე შეატრიალა
შავად მოხრილი ჩრდილი მხედარის...

— ვინ ხარ, რომ მაღალ ნაპრალებს გარბი,
რატომ გაქვს გული შიშით გახრილი,—
ნუ თუ მდევარი გეგონა ხარბი
შენივ კენების გამოძახილი?—
ან იქნებ, ძმაო, დაკოდილი ხარ,
და გსურს როგორმე ტკიფილს გადარჩე,
უფსკრულებიდან შემოჭრილ მხედარს
დაგირბევია სივრცე მრავალჯერ!
— საით მიგაფრენს ცხენი ფეხმარდი,
გამონასროლი როგორც შურდული!—
გზებზე ღამეა.— მთების მკერდამდი
დაეშვა მძიმეთ ცა მოლრუბლული...

და იღრჩობოდა სივრცეში მგზავრი—
სჩანდა მარტოდენ ლანდი ერთსახე!—
ხევში კი ისევ ჯიქურ მავალი
მის სირბილს ვიღაც სდევდა ფეხდაფეხ!
იქნებ მას მტრობა აქვს ჩათესლილი—
რომ სდევს და გულის რომ უნდა მოთხრა!—
გამალებულმა მოსჭრა მანძილი
და მართლაც მხედარს ჩრდილიერი მოჰყვა...
მან ალბად სადმე სისხლი აიღო,

თვითონ კი სიკვდილს როგორლაც დასცდა—
ეს ხომ ვაჟვაცის გულისთქმა იყო
შეხორცებული მშობელ მიწასთან!..

გადამალენია მდევარს მრავალჯერ,—
ეხლაც თვალგაღმა თუ გავა ნეტავ!—
მაგრამ ნახტომი არ იყო მარჯვე
და ლანდი შეხვდა რომ მოიხედა!...

გისმა თოფის ხმა.—და ბილიქზე
მისწყდა ტორების თქარუნი ეხლა...
და თითქო ისევ წელმოჭრილი ხე
ხევში ხრიალით გარდაიჩხა!...
ენგური დაჭრილ გულივით ბორგავს!—
მთები კელავ ზარით მთებს მოსძახიან.
თვალგაუვალი სივრცე ჩამოდგა—
სივრცემ კი მკვლელის ლანდი დალია.

და ჩჩება მარტო ტანდაჩებილი
კლდე კიდურები მაღალ ქედების,—
ნაძვები ხრამში გადაცვენილი
და მანქანებით გათხრილი გზები...
ბრმა ნაპრალებში ენგური კვნესის,—
ენგური მთების ცრემლი ყოფილა...
და შწვერვალები შავი ნაბდებით
მთაგრეხილიდან გადმოდგომილან!..

ო, მეგობრებო!—ვერ შეგიცოდებთ,—
თქვენ მაგარ მკერდებს ასე რომ ხრავენ!
გამოვიტირეთ კვნესით, გოდებით
უკანასკნელი სისხლი და ლამე!

რა უყოთ, ძველი კლდე თუ ინგრევა,—
რკინის ხელები თუ სწვდება ყველგან—
ამ ახალ გზებით შემოიჭრება
თქვენთან მომავლის და მზის ქვეყანა...

რა ყრუ ღამეა.—მთების მკერდამდი—
დაეშვა მძიმეთ ცა მოლრუბლული!—
ენგური ხევის ყბებში შევარდა
და ხევმა ხარბათ შესვა ენგური...

მინიატიურები

ძურაზი

უკრალ მე შემხედეთ, გამიღიმეთ მაცდურალ;
 ჩემი თმები ხუჭუჭი მგონი ბუჩქი გეგონათ,
 ნაზათ მომიახლოვდით, ხელი გადააცურეთ
 და ქაბუქის თვალები თვალებს გადაეკონა.
 თქვენ მითხარით:—მძიმეა ამ ქალაქის ზმაური,
 მომენატრა სოფელი გულს ფოთლით რომ იქსოვდა;
 მეგობარო, ქალაქმა ტკბილი, სხვა სიყვარული
 მოძველებულ ჩვარივით სადღაც გადაისროლა!
 გიპასუხეთ:—დავშორდეთ, ჩვენ არა ვართ ტოლები,
 თქვენ უბრალო გუგუნი ტრამგაების გაშინებთ;
 დრო რომ დადგეს, ქუჩაზე გაჩნდეს ცეცხლის ბორბლები,
 მაშინ საით გავიძეცი მე თქვენ წუხილს საშინელს?

მათარებელით ვალზე...

მატარებელით ველზე მივჰქრივართ,
 შეგვხდა ნაცნობი მწვანე მინდორი,
 ქალო, აქ ბევრჯელ მე მიფიქრია,
 რატომ მიყვარდი, რატომ მინდოდი!
 ახალგაზრდობის დრო მიდიოდა,
 არ გვაშოთებდა სული ბოროტი,
 და სიყვარულში დღენი ცვიოდა,
 როგორც გამხმარი ბუჩქისა ტოტი.
 ჩვენ არ ვიკოდით სიცოცხლის ფასი,
 ჩვენ მომავალზე სულაც არ ვწუხდით:
 მაშინ გვეგონა ცხოვრება—თასი,
 პირაქსებული უდარდელ წუთით.
 და გვიან მივხდით, რომ მოციმციმე
 ცხოვრება თურმე ყოფილა გულქვაც...
 დღეს როცა მაწევს მისი სიმძიმე,
 ვიგონებ დღეებს, დაცვენილს უქმად.

უსმენ სიჩუმეს ხმა გაქმენდილი,
 მივყვები მთისკენ მიმავალ შარას;
 და ღამე როგორც დიდი წერტილი,
 მოდის, მოგორავს მიწაზე შავად.
 ათასი ფიქრით გამოდევნილი
 თქვენთან მოვდივარ კალთებო მთისა;
 ღამეა, მიწვა ბაყბაყ დევივით
 მუხლმოკეთილი ხმაური დღისა.

— დროთა ტრიალში შენც დაეცემი
 და ხშირათ შავი ფიქრები გაგვევს;
 ცხოვრებას მაინც ვერ გაექცევი,
 როგორც სარკეში საკუთარ სახეს.
 როცა ცხოვრების გულზე ჰყიდია
 გაცოფებული დღეების წყება,
 ჰამლეტობაზე უფრო დიდია —
 დონკიხოტური თავ-დავიწყება.

ტავსთან

წუთის უკან ქარი, ეს უსახო მგზავრი,
 მუდამ მთვრალი, თხრიდა თხრილთან წარდს
 და გვიმბრას:
 ებლა ჩადგა; ღამე ისე ჩუმათ არის,
 თითქო უნდა რაღაც საიდუმლო მითხრას.
 მაღალ ციდან თბილი რძე იღვრება მთვარის,
 გათეთრებულ დუმილს რუს შხუილი აპობს;
 ისე ხარბად უცქერს ამ მიდამოს თვალი,
 რომ სიცოცხლეს კიდევ ათასი წლით ენატრობ.
 მე მარტო ვარ; არ სჩანს სულიერი ირგვლივ,
 მარტოობით გული უცნაურად მიძგერს;
 მე მაშინებს შავათ გაწოლილი თხრილი
 და მუხების ჩრდილი, ქაჯივით რომ მიცქერს.

Յոլուցա հիմոցու տռալուս լամուտ
Ծյծոլու լրեցրեցու թօնարու շոյքամն;
— առ գարցու արու լրեցրեցու մեծամուն
Ռուցա առ գարցու և, րուցա առ գեղուցաւ.
յելա գամլուլու ծացմունու ընզու,
նու լաձրունցըն, նու լաձրունցըն...
ցուլ-ահիպպեցուլ նորիմունու ընրուլս
զեր շրուցդըն, հիմու ծյոնցըն.
հիյն շիցուլու խանչու լրեցրունուտ,
գլուխու լրերունու կու օտասչյու կագաւնա...
ցուշունցըլ ցրմենունու և առ լրեցրու լրեցրու,
տու գլուցանցըլու լրեսազու չյիրէն!
Սիրացու և սիրացու լրետա ցրմունու,
Սիրացու զարտ պայլա, պալցոնու մոյրալու!
Ռոմ առ համորին—ամ սիրաց լրեցրեցուն
գլուցանցըլ ցուլշու հասկ ուզալու.

ԵԱՆ ՏՈՒՇՑԱ...

Խան Տուշու մոցաց նորածրուլ ցոլունուտ,
Խան յալիշուլունուտ Տոնանչու օմլուն:
լրեյնու եռմ մուտցու մոցոնուլու,
Ռոմ գացացունցու Տուշունու մունչու.
Ռյոնու յըռյուն նայամլու յուրճա,
ծյուրաց և աերիմու միշանց ծյոնցնաս;
Վելլենու, ովքբնին լրեյնյունու ցարճա,
Ծյուրունու արցոն մուլցունուն.
Վեցազ Ռոմ լրանց ցաջաշմլունուտ
Վարսկյուլաց մացոյր, լրտունաննու մազու;
Վեցազ Ռոմ մալլյ խալենու ցուլշունու,
հաջացըն Ծյուրունու լրտունուտ.
Ցուլշու ցրմենունու օլար լարինու,
լրունու ցայցլունու յալցուն մոնցնատ;
Ըա մանին խալենու ցաջասարինատ
յեպանաս լրեյնու մոացոնցըն.

յշտանու,
լրյուններո.

პასუხი მოგონებას

პოეტის გულმა, მოღალატევ, დიდხანს გატარა,
შენით იწყება მოგონების ლურჯი სერია,
მე შენ გიძლვენი ლექსი „ქარში“, ლექსი „პატარა“
და „მღინარდენაც“ შენს სახელზე დამიწერია!

მე იმის შემდეგ, მართალია, უნდა ვიდარდო
რომ ტყვიის ნაცვლად შენი ხმები წელში მღალავდენ
და შენზე მიძლვნილ სატრფიალო ლექსების ავტორს
უნდა მიწოდონ ბრძოლის მონა და მოღალატე!

დღეს კი რას ვხედავ: გსურს მიამბო სიტყვა კეთილი,
რომ კვლავ ჩვენს შორის ჩამოვარდეს ამხანავობა,
ჩემს შეხვედრაზე დალლილ კისერს ასწევ გედივით
და გაამაყებს ძველთა ძველი შთამომავლობა!

მე შენი გვარი და წოდება ფეხზე მეიდია,
დე, შენი ბედი დემონივით დაიღრუბლება,
როდესაც ვიცი ბროლის ხელი კვლავ გამყიდიან,
თუ ჩრდილოეთში მზე გემივით დაიღუპება!

დიახ, მიყვარდი, როგორც უყვარს მზეს განთიადი,
ოტელოსავით იჭვის ფიქრად გადაქცეული,
დღეს? საზოგადოთ, ისე წახდი და გატიალდი...
ამიერიდან ცხოვრებაში იყავ წყეული!

შენ გარინდებით მოგზაურებს გვერდით ჩაუვლი,
და ჩემს პირდაპირ შეჩერდები ბალდახინივით:
— ალიო ძვირფასო, მომიტევე დანაშაული—
და კვლავ ცბიერად შეგასკდება პირზე ლიმილი!

ო, არა, არა! მეზარება ხმა ნამთვრალევი,
ყურში მეცემა ტყვიასავით შენი ჩურჩული,
ხედავ? გახუნდა საფერფლეში ლურჯი თვალები
და სახეც თითქოს კარდონია მწით გალურჯული!

ხედავ? ჩამქრალა ვულკანების სუნთქვა საესებით,
იძირებიან კუნძულივით მეერდის ტალღებზე,
დაკარგე ვნება: წელში მოხრილ სვეტს ემსგავსები
და მიზეს მხოლოდ ამხანავის სისხლში დაეძებ!

დაგენდე როგორც ხატს ენდობა კეთილმორწმუნე,
საქართველოში შენ ერთი ხარ გულით ცბიერი,
ო, რამდენ ღამეს ვარსკვლავების ძუძუ მოსწურე,
რომ გამძლარიყავ საშინელი შურისძიებით!

ვახსოვს? იელვა და თვალებში შემომაჩერდი,
დღის რეიდიდან გაესცეროდით ქარბუქის ტალღებს,
მხე როგორც ლუზა ეშვებოდა სხივთა ჯაჭვებით
და აჩერებდა ქვანახშირით დატვირთულ ღამეს!

მითხარი: — გიუო, დაისვენე, ბრძოლა გათავდა—
და ცხელ ქარქაშში ბასრი ხმალი ჩამაგებინე,
ამ დროს აგვისტო სეველ ლრუბლების ფერხულს მართავდა,
რომ აემართათ მტრის სურვილი მაღალ ჯებირებს.

აშენდა მყუდრო საყდარივით სივრცე გამშრალი,
მიქონდა ღამე ვარსკვლავების ყრუ პროცესის,
მთიდან ჩამოტყდა ქვა-ლოდივით შავი ლაშქარი
და წყნარ მიღამოს დასარბევათ შემოესია!

ამ დროს შენ მტერთა ურდოების რიგში იდექი,
შრომელი ხალხის დამარცხება ხომ განიხრახე
და ისარიელი გაფრენილი მახვილ თითებით
მოუწოდებდი ცოფიან ბრძოს ამბოხისავენ!

მოქონდა ღელვით დამტვრეული ტეხურს ტალღები,
თითქოს ძვლებია საქართველოს წარსული ბედის,
სისხლში დავახრჩვეთ ურდოების ბაირალები
და მეც ალმურში კვლავ იარაღს ვატრიიალებდი:

— დიდება სარდალს, ვინც ბრძოლაში ისევ აქ არის,
და იმედს კვამლის მუზარადში მაინც გაპყრებს—
გათვედა ბრძოლა... და ზუღლით კორტნიდა ქარი
ხრამში უსისხლო ჩონჩხებივით გადაყრილ ლრუბლებს!



ასე ჩავარდა ხევში ქარი ფრთხებ-დამსხერეული,
დავგლიჯე კბილით ჩემს ხელებზე რუხი ჯაჭვები,
გასკდა ელვაზე ლამე სისხლით გულ-ამლვრეული
და ნაპრალებზე გააზმორა შეე გამარჯვების!

ალბათ ძალიან ვიხაროდა მტრების ფერხული
და სასიკვდილოთ სხევებთან ერთად შენც მძაგებდი,
როცა გულიდან ამორბოდა სისხლის ტეხური
და ხმა-გამქრალი დახმარებას შემოგდახებდი!

ო, როგორ მძულდი, როგორ მძულდი მაშინ იცოდე
და ეხლაც, ეხლაც როცა გხედავ თვალებ-ანატირს,
რათ არ ვარ მხეცი შეგახიო ტანზე სიცოცხლე,
როგორც დაეხიე დამანჭული შენი ბარათი!

შენ მოტყუებით ამდენ ხალხის სისხლი დალვარე,
გაბმარი სისხლი დაიხვიე ფეხ-ქვეშ ჭილობათ,
ვარსკვლავთ ჭრილობას სეელ ლრუბლებით იხვევდა ლამე
და მეც დამქონდა ვარსკვლავივით მკერდზე ჭრილობა!

რა ქნი მაშინ! ამ ბრძოლაში რათ არ დამიცავ,
ო, მოლალატეს შებრალება არის გვიანი,
გაგისკდეს გული და გაგისკდეს ეს დედამიწა,
შენში თუ იყოს ოდნავ სისხლი ადამიანის!

დიახ! მიხდება სამუდამოდ შენი დაგმობა,
გწყევლი და ქვეყნად ბელზებელის ხარ თანასწორი,
ასე მეგონა: გამიწევდი ამხანაგობას
და ქარიშხალში წაქცეულ დლეებს ავწევდით ორი!

ყველგან, საჯაროდ ვაღიარებ შენს ბოროტებას,
ოი, დიაცო, უსინდისო მოლილატე ხარ,
მაგ შენმა გულმა და ხელებმა დაუნდობელად
ადამიანის და პოეტის ფიცი გატეხა!

გულს კი ვერ გატეხ, უძლური ხარ, წალი, დამეხსენ,
ნუ ეფარები წარსულ დღეთა ძელების ნანგრევებს:
მე ვიღებ სიტყვას ისევ ბრძოლის ბარიკადებზე
და ხარბად ვკოცნი გაცივებულ თოფის ბაგებს!

თუ კა ოდესმე მაგონებდა სისხლიან ქუნძულს,
სად იხრჩობოდენ ვარსკვლავები ფრთების განგაშით,
დღეს ვხედავ მზესაც ლრუბელთ შორის წელში მოკუზულს:
ასე მგონია ქომუნარი საუბრობს ხალხში.

აქ მღერის ქარიც მავთულებზე ინტერნაციონალს,
დახეულ მხრებზე რომ კიდია ბომბა ლრუბლების,
მე ქარმა მშობა, მშობელივით ძუძუ მაწოვა,
აქ მე და ქარი ორივ ერთად დავილუპებით!

რამდენი ღამე ნადირივით დამიხოცია,
როცა საომრად მოიქნევდა ტორებს ხროტინით:
ყოველი მიწა სისხლიანი ჩემი ხორცია
ყვავ-ყორნებისგან დარბეული, გადაკორტნილი!

ელოდე მშეებს გვირგვინებათ, ძმაო ალიო,
შენს მოლალატეს დედის ძუძუ შეერგოს შხამად:
აიღე გული და წვეთებათ სისხლი დავლიოთ
დაწყებულ ბრძოლის გამარჯვების აღსანიშნავად!

ჩენ ხომ დროშებათ აღმოდებულ სულსაც აემართავთ,
გადავყრით თვალებს ბომბებივით სანაპიროზე,
მოვდივართ მედვრად, სიხარული აბარაბანდა
და მეგობრებიც გვეძახიან ბრძოლის პიონერს!

იცოცხლე გულო, საგულეში ცემით დაგეშილს
ოკეანები, სივრცეები დაგედინება,
რადგან ეს ფიქრი შენს სილრმიდან ამონაგლეჭი
ქვანახშირივით სალი-კლდოვან ცას ებჯინება!

მე ვიბრძეო დღესაც... ირგვლივ მტრებით ვარ გახვეული,
გულის მეტეხი და სიმაგრე ხალხის გულია
და ჩემი ლექსიც ქარქაშიდან ამოღებული
ნაწვიმარ სისხლის სტრიქონებით დალარულია!

მე დარღი მკლავდა, რომ გაცივდენ თოფის ბაგენი,
გაცვეთილ დღეებს გაეხეია თავისუფლება...

დე, ვისერი ტყვიას და თუ მიზანს ვერ მივაგენი,
განა სიცოცხლე ბრძოლის ცეცხლში დაილუპება!

წადი, აწ შენი მკრთალი სახე არ მეყვარება,
ჩვენ სამუდამოთ გაგვაშორებს გზა ჯვარედინი,
უნაყოფოა შენი გვარის გადაგვარება,
გიყურებ, როგორც საქართველოს—ჯალალ-ედინი!

და არ გეგონოს შურის გება თითქოს არ ვიცი,
თითქოს პოეტის სიტყვა სხვაა, გული სხვას კივის,
მე ამ წერილში ყოველ სტრიქონს ისე განვიცდი,
როგორც სხეულში—სისხლით დამწვარ ძარლვების ტკივილს!

იცოდე ჩემში დროთა შხამი კვლავ დარჩებიან,
მე ისევ მძულხარ მოღალატევ, მძულხარ და მგონი
მთელ შენ სიცოცხლეს, შენს სიყვარულს დღეს მირჩევნია
ამ ჩემი ლექსის
დატეხილი
ერთი სტრიქონი!

1926 წ.

ჩალაპი ღუცეოვოში

გავიგონია ქედი ურალის?—
 გამოვიარე ცეცხლით, ნაღარით,
 მოვედი შენთან გულით მხურვალე—
 შეე მოგიტანე ნაყაჩარი.
 შენ მომიყვები—მჟედელ მიქავამ
 როგორ შებოჭა მტერის ქვა-გული;
 შეტყვი: ვიყავი, ახლაც იქა ვარ
 მე ლეგენდების გამოქვაბული...
 იდგა ეზოში მრავალ-რტოება
 დიდი მუხა და ყეფდა გუგული,
 იყო სოფელი, გარემოება
 ვით ცეცხლის ალი გადაბუგული...
 სადაც მდინარე გიეად ვარდება
 და ცისარტყელის მაღლა აისვრის,—
 ნეტავი ვის არ შეუყვარდება
 მოოქროვილი დილა-აისი.
 მთები ყვაოდნენ იქ საუცხოვოთ,
 შენ მეწისქვილეთ ხარ არჩეული;
 გიყვარს აბაშა და ოფუცხოვო
 შენი ფერადი ტყის ფარჩეული.
 მგელის ბილიქზე დააგებ მახეს,
 როცა დაცვივა ხეებს ფოთლები;
 ანკესით იჭერ ახლაც კალმახებს
 დარბაისელი გულის მოთმენით.
 გუზგუზებს ცეცხლი ბებერ კერაზე,
 ფქვაეს წისქვილი და, სწრაფად ტრიალებს;
 მიყვები ამბავს ბედის წერაზე—
 ქაჯი კაცს როგორ გაატიალებს...
 მთელი სოფელი გიცნობს გერიეს,
 რომ ლეგენდები ვეღარ გელევა,
 მგელი გორაზე მოიგერიე—
 რომ მოგეგება ლვინით გალეშილს.
 დილით, როდესაც ოქროს ბავშვივით,



მხეს ხეობებში გაეცინება,
 ხარ მონადირე—მძებრებს აუშვებ
 და შენ ნადირებს ძილს ეცილები.
 მწევრებით კურდღლს გაკიდებიხარ,
 შენ გიყვარს მისი ხორცი უგეში,
 ღრეუებში შავი ჩოხა დაგეხა
 და იყარებები მთის სიმუქეში.
 ამბობ: წისქვილი მე, რომ ვითავე,
 ორმოცი წელი გაქრა მას შემდეგ,
 თვითონ მოვნახე მისი სათავე
 და ვთქვი—წისქვილი უნდა აშენდეს!
 არხი გაეთხარეთ ჩვენ კლდეებს შორის,—
 ღაბლა მდინარე მირბის ღმუილით
 და ჩანჩქერს კლდეზე თვალები ორი
 ზურგში ჩაუდგით, როგორც ღუმელი...
 ღარჩეს წისქვილი ყავრით ნახური,
 მოუტანია ბევრი კარგი რამ,
 მე, მეწისქვილე მისი მსახური
 ვარ ცოცხალი და, კიდევ ვარგივარ.
 შენ საუკუნე ხარ ერთეული,
 სიკვდილი ასე გიახლოვდება,
 გშვენის წვერები სპეტაკ თოვლივით
 და ღამე შიშით შენთან მოკვდება.
 შენ სისხლი ისე გაქვს მოწამლული,
 რომ არ ყოფილი იდუმალებით,
 შენ ლეგენდებით გიფეთქავს გული
 და ღამეს ცეცხლთან დაემალები.
 შენ მთვარიანი ღამეც გაერეოლებს,
 რომ არყოფილი სახეებს როშავ,
 შენ ნატრობ ღამე მზეში დაიწეას,
 შენ ნატრობ ღამე დღეში მოექცეს.
 იყო უწინ ცხენის ქურდი, აქ მუშაობს,—გოჯოგია,
 რომ გარეკა ფარა მთაზე,—ახლა იგი მეჯოგეა
 ის შრომაში სხვა მხეს ელის, ახლა სხვა მზის ყაჩალია,
 იგი გუშინ აბრაგობდა, დღეს მუშაობს გულმკერდ ღია
 აქ სადგური აშენდება, ქრება მთვარე უმაღურად,
 ღამეს დასწვას მზე ღამეში, დაქცეული ელნათურად.
 ის იღვიძებს იმედივით, მიეცემა სოფელს ხვავი,

ზეცა ნამით იოფლება — ფეთქს მანქანა . სახერხავი ...
 ადრე დილით გერიესთან გლეხს საფქვავი მოაქვს კირით ...
 და მამალზე უფრო დროით დაიყვირებს აქ საყვირი .
 გააქვს ლმუილი შეშლილ ლალუმებს ,
 გვალვა . დაშრა გაშიშვლდა ლელე ,
 ლამე დაისთან ფიქრებს აღამებს
 და შიშით აღმა მირბის კურდლელი .
 გააქვს გუგუნი ისევ ლალუმებს ,
 და ემატება აგურს აგური ,
 ლამეში ეძებს ლამეს ლამურა
 პა , დამთავრდება მალე სადგური .
 რჩება კლდეები პირ დალებული ,
 ხავსი დაფარავს მშიერ ლალუმებს ;
 მდინარევ ძალად განალდებულო
 შუქს , განათებას სოფელს დაათოვ .
 გააქვს გუგუნი ისევ ლალუმებს ,
 ძლივს ქვების სეტყვა მოვიგერიე
 და მეწისქვილე მაინც ლონდება —
 ჩუმად ქვითინებს გულში გერიე :
 ჩემთ წისქვილო კვდება ზღაპარი ,
 ველარ იხილავ ჭინკების არულს ;
 მე ლეგნდების წიგნი დავხურე —
 ხავსი დაალპობს ყავრის სახურავს .
 მე წავიკითხე გუშინ აფიშა ,
 რომ გამარჯვებით გათავდა ომი ,
 მოკედა დღის და მზის ლამით გათიშვა —
 სადგურის , ვაწერ ხელს ადგილქომი .
 გაინავარდებს ეკრანზე ასე
 ჩვენი ქალაქი ოფუცხოვოში !
 ვმლერი სიხარულს : ხომ დაგაფისე ,
 მლერი სიხარულს შენ საუცხოვოთ ...
 ხომ გაიგონე ? ქედი ურალის ,
 გამოვიარე ცეცხლით , ნალარით ,
 მოვედი შენთან გულით მხურვალე —
 მზე მოგიტანე ნაყაჩალარი .

ეგნატეს ძეგლთან

მე ყველა მიყვარს, ვისაც მწერლის
ქვია სახელი,
ვინც თავის გრძნობებს გადაგვიშლის
მწველ სტრიქონებად:
გულ ჩახვეული ჩვენი ნიკო
ბარათაშვილი,
ვაჟა-ფშაველა, რუსთაველი,
მრავალი სხვებიც,

მაგრამ შენდამი სიყვარული
უფრო დიდია,
ჩვენ ერთმანეთთან სხვანაირი
ხაზი გვაერთებს,
წინამორბედო! ჩვენი გზები
ერთად მიღიან
და გზის ვარსკვლავიც მანათებლად
ერთი გვყავს, ერთი.

შენ არ გინახავს სიცოცხლეში
შეების წუთები,
შენი ცხოვრება ბაეშობიდან
იყო წამება,
მით უფრო გვხიბლავს დაწერილი
სისხლის წვეთებით
შენი მკვეთრი და გაბედული
შემოქმედება.

თავს შემოვავლებ მეცხრამეტე საუკუნის
ქართულ მწერლობას,
დიდ ილიასაც, ერის სახელით რომ უყვარდა
ლმერთთან ბაასი

და მე შენს გვერდით დავაყენებ
მხოლოდ დანიელს,
ლიპიან ბატონს რომ ჩაარქო
ლახვარი ბასრი.

ჩემო ეგნატე! საქართველო
გამოიცვალა,
დავით დროიძე ლრმა მიწაში.
მძიმედ იძინებს;
თემალმასკომის თავმჯდომარედ
არის სიმონა
და მშრომელ ქალებს მეთაურობს
ტურფა ქრისტინე.

საქართველოში შენ იყავი
პირველი კაცი
მარქსის იდეებს რომ აცნობდი
დაჩაგრულ მასას;
დღეს რომ აქ იყო, იქნებოდი
ყველაზე მკაცრი
მათ წინააღმდეგ, ვინც საბჭოებს
გაუთხრის საფლავს.

მე ვისურვებდი, ვყოფილიყავ
ღირსეული შენი მემკვიდრე,
ან რაღად მინდა სხვა ოცნება,
სხვაგვარი ბედი,
ჩვენმა ქვეყანამ შენი ღვაწლი
დააფასა, კარგად შეიგნო
და თავის გულში აგიშენა

უკვდავი ძეგლი.
ვინდა ჩააქრობს მხით ანთებულ
მილიონ გულებს!?

ჩვენ წინ მივიწევთ, რომ დაეიძყრათ
ჟველა მწვერვალი,
ჩემო ეგნატე; შენ თუ იყავი დაჩაგრულთა
შესაიდუმლე,
მე გამარჯვების გზაზე შემდგარ პროლეტართა
ვარ მომლერალი.

ო რ ი მ ზ ე

ლამე, როგორც დაძენძილი დროშა ისე ეშვება.

მელანიეთ შავი, უძირო და უშინაარსო ბინდი ეკვრის მთებსაც, ტყიან გორაექბაც და დაჩრდილულ ჭალებსაც. მთების თავზე პატარა ცაა გამოწვენილი და ცა ფერადი ლრუბლებით გულსავსე, კიაფობს ნელი სინათლით, ალაგ-ალაგ ღილებივით დაბნეულ ვარსკლავებით.

თუ ნიავი აქროლდა, ოდნავ შეარხეს სუსტი ხეხილების შეფოთლილ ტოტებს, გამოწვეულ ხმაურს კი შთანთქავს ისევე სიწყნარე.

მთები, მუნჯი მთები, როგორც შავი, გრუზა თმიანი გოლიათები, მხრებზე იბჯენენ პატარა ცას და მის სიმძიმეს უსიტყვოდ იტანენ.

სიწყნარეა...

ვარსკლავი რომ სწყდება ცას წუთით კვალს ავლებს და ისე იძაგრება სმენა, თითქოს კვალთან ერთად ხმაურიც აეტეხოს.

უფრო ლრმათ, უფრო შიგნით გაისმის ბუტბუტი.

გულამლვრეული, უწყინარი და კკვიანი, როგორც დედის უფროსი შეილი, მოდუდუნებს მტკვარი, იქ სადაც ავი კალა წაწოლილა მთების ჩრდილოში და მუდამ უძილო უსმენს ერთად-ერთ სიცოცხლის ნიშანს.

მტკვარი,—

რუხს, მუდამ სუფთას, მუდამ სკელს კლდის ნატეხებს და უხვად დაგროვილ ქვებს კოცნით ხვდება, კოცნით ემშვიდობება.

მტკვარს,—

აქ რამდენჯერ ულალატია კალაპოტისთვის წამომდგარა ნაპირებიდან და ავი კალა შეუწუხებია.

ამ ლამეში კი ავჭალა ისევე მშვიდია, როგორც მტკვარი.

ბუუტავს ფანჯრებიდან ჭრიების სინათლე და ოდნავ მოსჩანს კვარტლიანი სახე ქონების.

და ლამე, როგორც დაძნძილი დროშა, ისეა დაშვებული.

თუ თორმეტი საათია, სადგურზე ზარი ახმაურდება სწრაფად, დაუსკენებლად და ისე გავრცელდება ხმები, თითქოს იყრება ოქტორს გაშლები ფოლადის ფსკერზე.

მერე, მოგუგუნდება მატარებელი ქშენით, ხვნეშით, დალლილი, დაქანცული, მურიანი, რკინისთავა და რკინისფეხება, შექრდება წუთით, დასკენებას გერც კი მოასწრებს, ამუშავდება ისევ, კლაკნილად აედევნება მთების ხვეულებს და საკუთარი ლრიანცელით ჩაჰკლავს მტკვრის დუდუნს.

რჩება ისევ მთები, მთებში ავი ჭალა, ვულჩათხრობილი მდინარე და ლამე, გადმოწვენილი პატარა ცით, ფერადი ლრუბლებით გულავსებული.

თან კი იცრიცება ბინდი, ნამთვრალევივით ფერწასული თვალს ახელს დილა და გადაპხედავს მწვანე მთებს, მწვანე ჭალებს, მწვანე ფერდობებს.

შარა გზა კულსახვევივით სუფთა გადაიშლება წყნარად, მგზავრების მოლოდინში.

— ჰით მამოო, გიშერავ!.. გადასძახებს მეურმე ხარებს და ურემს ზურგში ედევნება მტკერი.

საქონელი იშლება საბალახოზე. ცხვრის ფარა ბალიშებივით წვება მწვანე ფერდობებზე და შარა გზას კი, მათრახის შემოქნევის შემდეგ, გაპყება ცხენის ჭიხვინი და ნალების ბაკუნი.

თენდება მწიფე ქლიავის ფერად და ილვიძებს სოფელი, ლამით თითქოს არ არსებული, ილვიძებს ჭკვიანად, მორცხვად...

ასეთი იყო ხოლმე ლამე და გათენება ავჭალაში, მუდამ, მრავალი წლის განმავლობაში; —

დღეს კი:

ლამეა — პირბადედახეული, პატარა ცა, ავჭალასთან ელნათურების სინათლით აწეულია მალლა და უხვად გაფანტული ბრჭყვიალა ნემსები იყრება ჭალებზე, მტკვარზე, ფერდობებზე.

მატარებელი მოგუგუნებს, დახვდება სინათლიანი მიღამოები და გახარებული კივილით მიაქვს თეთრი ლამის ამბავი, შავი ზღვისაკენ.

მტკვარი მოშხუის, თვისი გვერდებჩანგრეული ნაპირები აბრაზებს ძლიერ და ეხეთქება კლდეებს, უზარმაზარ ქვებს მის გულში ჩაყრილს.

ხის ხიდები, მტკვარზე გადადებული, ელნათურებით აჩირალდნებული, ამაყად ამართულა და აერთებს ნაპირებს.

მოსჩანს არხები, კლდიანი, უსწორმასწორო თაღებით და გვერდებზე დაყრილი მიწის გროვილებით.

თეფშივით გაშლილ მიდამოზე წამომდგარა მრავალი, ჯერ კი-დევ შეულებავი სახლები და განათებული ელექტრონის ულეველი ნაკადით ზურგშებრუნებული შესცერის ლამეს.

გრძლად, სწორად და კლავნილადაც გაყვანილია ლიანდაგები და ზედ განუწყვეტლივ მოძრაობს რონდები.

მარხილებში შებმული ცხენები ეზიდებიან მძიმე ტვირთს და თვლების ჭრიკინზე ამოძრავებენ თავსაც.

შორს სადღაც კი, მთებში და მთების იქით მძვინვარებს ლამე, მძვინვარებს სიბნელე.

• აქა-იქ. ჯგუფ-ჯგუფად და თითოეულადაც მოსჩანან ნაირ-ნაირად ჩატყული მუშები და ყოველი მათვანი ხელში ნიჩბით ან ლომით ჩასციებია ზავს, წყლით დაუონილ მიწას.

ერთი წყება დალლილი მუშებისა ეყრდნობა წერაქვებს, ლომებს, ცალი ფეხის მუხლში მოღუნვით და შესცერიან მეორებს, დასვენებულთ, განახლებული ძალით მომუშავეთ.

ზოგი მათვანი ეწევა გაზეთის ქაღალდში გახვეულს, მძიმე, ჩავებულს თამბაქოს. ისინი ვნებით, უნმოუკვლელი წყურვილით ეზიდებიან კვამლს ფილტვებისაკენ და უკან ამოშვებულს სინაულით აყოლებენ თვალს.

თანდათან უფრო ირკვევა მათი სახეები და როდესაც ელნათურების შუქი თავს იქლავს მზის ბასრი სხივებით, მაშინ, როგორც ხელის გულზე, ისე გამოქრთის ყოველი ხიდი, ყოველი მქლავი მოქნეული წერაქვით ხელში და ყოველი ქვა გადმოვარდნილი ჩამოვრილი ფერდობებიდან.

— მარჯვეთ, ბიჭებო, გათენებამ მოგვისწრო!

გაისმა მათში ხალისიანად და სწრაფად, ერთი მეორის მიყოლებით ამოძრავდა იარაღები დედა-მიწის ქვა-გულში.

— შეჩერდით, შეჩერდით, ამხანაგებო!.. ეგ კლდე ლომებით ვერ ჩამოინგრევა. წამოიძახა ერთმა, დატკეპნილ მიწის გროვილზე მდგარმა ყმაწვილმა და მღელვარედ ჩაიხედა ძირს, მტკვრის კალაპოტის ახლოს, სადაც რამდენიმე ათეული მუშა ლამობდა არხის გასაყვანად კლდის ჩამონგრევას.

— შეჩერდით, აქ ისევ ლალუმია საჭირო. წარმოსთქვა მეორედ და ოდნავ დანაოჭებული შუბლი მოღუშა. ჩაკვირდა საგვირაბეთ ჩამონაქერ ხახს.

მუშები შეჩერდენ. თითო-თითოდ გამოდიოდენ შიგნიდან, და მტკვრის ნაპირთან რომ მივიდოდენ უხვევდენ მარჯვნივ ბილიკით მაღლა ამოსასელელად. ყოველი მათგანი იყო მშვიდი, მძიმედ მოსიარულე და სუნთქავდენ გულის მთელ სიღრმემდე. კველამ შეხედა მათ წინ მდგარს, ნათელთმიან და ცივ ცისფეროთვალება კაცს, რომელსაც ჯერ კიდევ თვალი ვერ მოეშორებინა კლდოვან ადგილისაგან.

მის სახეზე ძარღვები ოდნავ გამოჩნდა. თითქოს ძნელად დააშორა ბაგე ბაგეს, წარმოსთქვა ერთი სიტყვა:

— მოამზადეთ!..

და ისევ მის სახეზე ლრმა, საქმიანი სიზშვიდე დამყარდა.

რამდენიმე მუშა წინ წამოიწია. იარაღი დაყარეს იქვე და ჩაირბინეს ქვევით.

კლდეს ძირში ლალუმი ჩაუწყეს. გაიყვინეს პატრუქი და მცირე ხნის შემდეგ, პატრუქში უკვე მიიკლაკნებოდა ცეცხლის ნაპერწკალი.


წუთიც და გაისმა აფეთქების ძლიერი ხმა.

ავარდა პაერში შავი კვამლი და მხოლოდ მაშინ, როდესაც კვამლი შეთხელდა, გამოჩნდა ატყორცნილი ქვები, მაღლა აფანტული მიწა.

კვამლმა დაპფარა გარემო ადგილი, დროდადროით მაღლა ატყორცნილი ქვები ცვიოდა უკან და საარხე თხრილში კი, ბრძოლაში დალუბულ ნადირივით ეგდო გვერდებიამონგრეული კლდის უზარ-მაზარი ნაწილი. ამავე დროს სიღრმიდან გადმოხეთქა მღვრიე წყალმა, გადიარა აფეთქებულ ნანგრევზე და შეუერთდა მტკვარს. თან მიათრევდა ლორს, ქვებს, ატალახებულ მიწას.

ჯავარი სად არის, ჯავარი?!.. წამოიძახა რამდენიმე მუშამ, როდესაც ნახეს, რომ ნათელთმიანი წინანდელ ადგილზე აღარ იდგა.

ჯავარი გროვილზე გადაწოლილიყო, მშვიდათ და მოთმენით ისვამდა მუხლის თავზე ხელის გულს. ტკივილს, რომელსაც გრძნობდა სახეზე არ იჩნევდა. მუშები მიცვივდენ. ფეხზე აყენებდენ, მაგრამ, ვიდრე ისინი მხარში ამოუდგებოდენ, თვითონ წამოდგა ზეზე.



— არათურია, მუხლის თავში გადმოტყორცნილი ქვა მომხვდა. წაილაპარაკა დინჯი ხმით და შეეცადა ტანის სიმძიმე ორივე ფეხზე გადაეტანა.

— კლდე ხო ჩამოინგრა?.. წარმოსთქვა ისევ მან და რამდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა. გადმოხეთქილი წყალი უკვე ოდნავ მოდიოდა. სილით და ტალახით დაეფარა გზა.

— აბა, ეხლა თხრილი უნდა. გამოიწმინდოს. მოკლე ხანში ჰაუზის შენებას უნდა შეუდგეთ. წაილაპარაკა ხმა-მაღლა და გადაძება ყველას, რომელნიც მძიმე სიარულით წამოიშალენ და ჩაე-შეენ თხრილისაკენ.

ამუშავდა ისევ ნიჩბები, წერაქვები, ლომები. ამოძრავდა ურმები და პატარა რონოდები დატვირთული გადასაყრელი მიწით. კლდის ჩამონამტვრევებით.

და ასე, ათასი მარჯვენის, ათასი გულის და ასიათასი კუნთის მოძრაობაში დაილია ღამე, როგორც ერთი ხელადა ღვინო:

ცა კი გაიზარდა. განათდა. აღუღებული ოქროს გულივით გამოჩნდა მზე და დაანახვა ყველას საკუთარი ძლიერება.

— დაიცა მზეო, ტფილისი ავჭალაში მზეს იშენებს!..

მ გ ლ ე ბ ი

ზამთრის ღამეა. თოვლის ფიტქები ფანტელებს აფენს მიწაზედ. ქალაქში მოძრაობა მინელდა.

ქარხნის მილები დრო გამოშვებით ისერის კვამლს. თითქოს ხარი დაეკლათ და უკანასკნელად ითქვამს სულს. ირგვლივ მთები ჩაბნელებულა.

სიჩუმეს არღვევს ხევის ხრიალი. გაორებული ხმით ეხეთქება კლდეებს ყოველგვარი მოძრაობა.

მთის კალთები თეთრ საბანშია გახვეული. ბუჩქები თოვლს ჩაუქინდრავს. ზეფიდან ცა მრისხანებს ლურჯ ფერებში. მთვარე ლრუბლებში მიურავს. ხანდისხან იკარგება ლრუბლების გროვაში.

მაშინ სიბანელეც მძაფრდება.

ვარსკვლავები ელვარებენ შორიდან. ხედვა ელამია... ჰაერი კი ისერის ყინვის წერტილებს....

სასტიკ ღამეში ვინ გაბედავს გარედ გამოსვლას!

სიცივე აიტანს... კუნთები სისხლს ამოხეთქავს. კველა ეხვევა მატყლის საბანში.

აი! პატარა გორაკიც ჩაწოლილა ორ ხევს შუა. მაგრაც მოუხვევია თეთრი საბანი. არვინ ესაუბრება.... მხოლოდ მგლები თუ გაართობენ ხანდისხან, საშინელ სიბნელეში მხოლოდ თოვლი იძლევა მერთალ სინათლეს.

შორს... ცხენების ჭიხვინი ისმის.

თითქოს ახლოვდება....

მაინც არ ჩანა.

უუუ.....! ზუგან მგლები. თვალებიდან ელექტრონივით ვარდება ნაკვერჩლები. მთელ მიდამოს გაანათებს. მეორე წუთს ბნელი. რაღაც გაურკვეველი ხმები ისმის...

მიშველეთ!...

მგლები!...

ხროა... ხრო!

გერმან ნუ შეგუშინდება! სერგო მაგრად!

თოფები მოამზადეთ!... იძახდა ბაგრატი.

უცებ ცეცხლი დაინთო. სამხაზიანი შაშხანა ცეცხლს ისერის
ლულიდან. ბრძოლაა გახურებული. კლდეები თითქოს პასუხს აძ-
ლევენ.

ტყვია ტყვიაზედ ვარდება. ცხენები ფთხვინავენ. ისინიც იბრ-
ძიან.

დამშეული მგლები გამძაფრებით ზუიან. თავს არ ანებებენ.
ზოგს ტყვია ხვდება თავში. სისხლი შადრევანად ავარდება. წითელი
ზოლით იხაზება თოვლით დაფარული ზედაპირი.

ღამე ხარხარით მოაბიჯებს ფეხებს. ხარხარს კიდევ ერთხელ
მოჰყვა თოვების გრიალი. ამან ერთი ცხენი დააფეთა. მოწყდა წე-
ლში. ფლოკვებში მოკეცა თოვლის გუნდი მაგრამ ამაოდ. რუხის ფერი-
მგელი მოაჯდა უქნიდან გაქცეულ ცხენს. ჩაარჭო დორბლიანი კბი-
ლები ბაგრატის ბეჭებს.

ვაიმე!

მიშველეთ!

სერგო! სერგოს თოფიდან გამოსროლილი ტყვია მგელს თავში
მოხვდა. იქვე ჩაიკეცა. ბაგრატს გული შეუწუხდა. ისიც მგელივით
ვაღმოეკიდა ცხენს. ცხენი ეხლა სულ გადაირია. მირბის და მიათ-
რევს ბაგრატს.

ბიჭებო! გერმან! უშველოთ! დაიღუპა კაცი!

ცხენებმა მოუსვეს. სირბილში რალაც გადააჯირგალეს.

საზარელი წუხილი და კენესა მოისმა. დახედეს. ბაგრატი.

ბიჭო! არ ინძრევა.

თავი ზევით წამოუწიე, — იძახდა გაშეშებული სერგო. არ იცო-
და რა მოსდიოდათ. რალაცმ მეხივით დაურბინა ტანში. არაფერი
ასხოვდათ. სად იყო. როგორ მოხდა.

ბაგრატ ცხენზედ გადაკიდეს. ერთი ცხენს მოუძღვებოდა. მე-
ორე გვერდი ზევრავდათ გზას. ბაგრატი ლონე მიხდილი ტოკავდა. სი-
სხლი ასველებდა ცხენის ზურგს.

ცოტა კიდევ-და ქალაქშიც შევალთ. სასწრაფო დამხმარე იქ-
ნება... ამით ამშვიდებდენ ნახევრად მკედარს.

კიდევ ნახევარი საათი და ქალაქის მოკირწლულ ქუჩებზედ
ვაჩნდენ.

მილიციონერ! — და სწრაფლ გაჩნდა წითელ ქუდიანი.

— გვიშველეთ რალაც, საავათმყოფოში წავიყვანოთ.

ღამის სამი საათი იქნებოდა, რომ მიაღნენ მიხეილის საავად-
მყოფოს. მორიგე ექიმი მყისვე მიეგება. პირველი წამლობა ამოუჩი-

ნეს. გონიერ ვერ მოვიდა. ნაკბენი მხარი, სადაც ხორცი მოგლე-
ჯილი ქონდა იოდში გაბანეს. ჭრილობა შეუხვიეს.

2.

მეორე დღეს რაიკომის ოთახში შეგროვილან, პასუხისმგებელ
მდივანს უცდიან. საქმეთა მმართველს უკვირს—ბაგრატიშ დაგვიანე-
ბა არ იცოდა.

იღებს ხელში ტელეფონს... არ უპასუხებენ.

გურგენმა იცოდა, რომ გუშინ საღამოს კოჯორში წავიდა სა-
ჯარო კრებაზედ. დღეს უნდა მოსულიყო. მიირბინა ოთახში. კარე-
ბი გამოქეტილია.

მეზობლებს კითხა, სად არის?

ოთახში არ მოსულა.

გურგენი დაიბნა. არ იცოდა სად წასულიყო. ტფილისის კომი-
ტეტში აირბინა. ამხანაგებს შეატყობინა.

ამ დროს გაზრდი შემოიტანა მუშამ. უცებ შემთხვევებს გადა-
ხედეს. გულზედ ელდა ეცათ. გაკვირვებით და ხმა მაღლა იწყო
კითხვა.

„წუხელი ღმის ორ საათზედ, კოჯირიდან მომავალ სამ ცხენო-
სანს გზაზე დახვდა მგლების ხროვა. ერთერთი მგზავრთაგანი ბაგრატ
იერებაშვილი დაზიანებულია. დაზარალებული მიხეილის საავადმყო-
ფოში მოათავსეს.

ამხანაგები შექრთენ. თითქოს განიცდიდენ მომხდარ ამბავს.
მოუთმენლად მივარდენ საავადმყოფოში. ბაგრატი ჯერ წყიდვე გრ-
ძნობა დაირგულია. დღეები იცვლება: ერთი კვირის შემდეგ ჯან-
მრთელობას გაუმჯობესება ეტყობა. ვერ გაეგო თუ ვინ მოიყვანა აქ.
თავი ზევით ასწია. თვალებში თეთრწვერა ლანდი შეეფეთა.

— მამა?

— მამა ჩემო!....

შენ!..... აქ რა გინდა! ვინ მოგიყვანა!

— შენი ავადმყოფობა გავიგე შეილო! მაშინვე გამოვიქეცი. მატა-
რებელში რომ ვიჯექ, თუ მოვდიოდი არ მეგონა. რამდენად უახლოე-
დებოდი ქალაქს, იმდენად გულზე მასქდებოდა ფიქრები. ეხლა მად-
ლობა გამჩენს, ცოცხალი მაინც ხარ.

ბაგრატს გაუხარდა. მაგრამ სიხარულში სულიერი ტანჯვაც
აემლორა. წარმოიდგინა საწყალი დედა, რა მდგომარეობაში იქნე-
ბოდა ამ ამბის გამგონე.

როგორ დაატყვევებდა ისედაც დასევდიანებულ გულს ფიქრე-

ბში. ხედვა წარსული ცხოვრების, რომელიც ტანჯვის ღრეებით არის დასარტყლული—და ბოლოს ის სურათი, როდესაც ტფილისში წამოსულისას ემშვიდობებოდა შეიღს. ცრემლები უსეელებდა თვალ ის ქუთუთოებს. იგრიხებოდა... კოცნიდა. ხშირად მომინახულე—ასეთი იყო ბოლო სიტყვები.

ცველაფერი ეს წარმოიდგინა ბაგრატიაც. მოიგონა სოფლის გაშლილი ველები. ბაეშობა. მწყემსობა. ამწვანებული მთები—და შიგ გულ-გახსნილი მუშაობა. მუშაობა სახერხი ქარხნის სარდაფებში.

პირველად იგი წყლის ამომლები იყო აუზიდან. შემდეგ ნახერხის გამომშლელი. ბოლოს მანქანების მჩეთავი.

აქედან დაიწყო ცხოვრება სუსხიანი. დღეს ახალი ეპოქის მაჯის ცემას გულის ძეგრით მიყვება. ყველაფერი ლანდებათ დაეხლართა თვალწინ. სახემ მწუხარების ელფერი მიიღო.

— აქეთ გადმობრუნდი! რა დაგვმართა! შეიძლება რაიმე გინდა—ნაწყვეტებად ისვროდა სიტყვებს მოხუცი ბათლომე.

ბაგრატის ამხანაგებიც არსად წასულან. ამბის დაწვრილებითი გაგება სურთ.

კრთმა ვერ მოითმინა:

— ბაგრატ! შენებურად დაგვილაგე, როგორ ებრძოდით მგლების რაზებს.

ბაგრატმაც დიდხანს არ აცდევინა.

3.

ხუთშაბათი დღე იყო. საათის ორი იქნებოდა. ცოფიან ძალივით შემთაღო რაიკომის კარები ვიღაც წითურა ბიჭა.

მე კოჯირის კომეკვშირის უჯრედის მდივანი ვარ. ხვალ საჯარო კრება უნდა ჩავატარო. მომხსენებელი ვერ ვიშოვე. უნდა გამომიყვანოთ გაჭირვებიდან. შენ უნდა წამოხვიდე.

მე პირობა მივეცი. სერგოს და გერმანის შევატყობინე. ისინიც უნდა წამოსულიყვენ. ერთ საათში გადაეთელეთ თოვლიანი მთები ცხენებით. საჯარო კრება ჩავატარე. საათის თერთმეტი იქნებოდა. გარემო გაუალ სიბნელეში სუნთქავდა. კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდა. აუცილებლივ უნდა წამოვსულიყავ. მეორე დღეს რაიკომის პლენუმი მქონდა. ამისათვის დავიჩემე წამოსელა. ამხანაგები დაეინებით მოითხოვდენ დარჩენას.

მელები ხშირი მოვლენა იყო. წინა დღით მენახშირე გაეგლიჯათ. არ დაუჯერე. წამოვედით. იარაღი საძებარი არ გვქონდა. ყინავდა. მთები ყინულის ბურთებს გვესროდა.

ცუდი გზაა. ცხენები გზას აკვლევენ. ჩვენ მათ ვენდევით. ვა-
ტყობ ნახევარ გზას გადავდით. აქ მაღალი კლდეებია. გვერდები
აბზექილი აქვს. გული გამოხრული. შუაზედ გაშლილი ხეობაა. რა-
ლაც ზუილი მოვესმა. გავიხედე მარცხნით და თვალებში სხივები მო-
მხედა. აქა იქ სანთლები ხან გაქრებოდენ, ხან ნაპერწელებს ის-
როდენ.

მე მეგონა ქალაქს მივაღწიეთ. ერთი წუთი და ახლოს დაკ-
ვესეს. იზუვლეს საზარელი ხმით. ცხენები გაჩერდენ. ერთი-მეორეს
შიეხუტენ თითქოს შევლას აპირობდენ.

— მგლები!

იყეირა სერგომ.

თოფი გაისროლა. პირველად შიშმა ამიტანა. რაღაც კისერში
მახრჩობდა. ყვირილი ვერ მოვახერხე. თმა ყალყზედ დამდგარიყო.
საკისურიანი ქუდი კისერში მებჯინებოდა. გადმოვხტი. წელში ცხე-
ნი მოვიბი. ცეცხლი გავაჩალე. უცებ ცხენი დაფეთდა. წაქცეული გა-
მათრია. ჩემი ხმაურობა რომ გაიგონა სულ გადაირია. ცხენი მიმი-
ხედა მდგომარეობას. გაჩერდა. ის ნამეტანად კვეთანი ცხოველია.

ძლიერ ავცოცდი ზევით. სიცოცხლეს არ მოველოდი. კისერ-
ზედ რაღაც მძლავრათ მომეხვია. მძრებზედ ჩამარჭო ქბილები. გო-
ნება დავკარგე. შემდეგ არაფერი მახსოვს. ორი დღეა გრძნობაზე
ვარ. თქვენც დაგინახეთ.

ძალიან ვწუხეარ მუშაობის შეფერხებაზედ. მაგრამ ამხანაგების
იმედი მაქვს. მუშაობას გააღრმავებენ ალბათ. ერთი კაცის ხელი
მასაში არაფერია. მთავარია კოლექტივი. ყოველივე ეს მასის თვალ-
ში უნდა იშლებოდეს. თითქოს გაზაფხული შლიდეს ზამთრისაგან შე-
კუმშულ ყვავილებს.

ბათლობე ლაპარაკს უსმენს და ჩიბუხს აბოლებს. თითქოს კი-
რაშია ჩანთებული ცეცხლი და კვამლი ამოდისო. თვალებში ჩასცე-
რის შვილს.

ბაგრატის ჩაღამებული თვალები ფართედ გამოიყურება. ხახეს
დაღლილობის კვალი ამჩნევია: შუბლი ფართე. გადაშლილი თმა.
ჯიჯურა ნახშირის ფერი წარბები გადაწოლილა შუბლის ქვევით. გო-
მოხედვა საიმედო. ხახე მერთალი, რაც მის ჯანმრთელობას ამჟღავნებდა.

— ეე! შვილები!

მიმართა ბათლომემ ბაგრატის ამხანაგებს.

ვინ იცის კაცის გულში, რა ცეცხლი ანთია.

რა შავი დღეები გადატეხია თავზედ. მოგონებაც არ მინდა.
მაგრამ გულზედ მაწვება. მინდა გავიხსენო წარსული დღეები.

გაჭირვება თავიდან დამყვა. ვერ მოვახერხე გადაძრობა ულ-
მობელ ულლის. გავარებული დღეები დამიდენია. გული აბედი-
ვით შეწოდა. გახურებული ოფლის წვეთები ფეხებს მიღულრაცდა.
ფეხის გულები გამოქმული მქონდა. ცვარი—ეს საწამლავია თითების.

სოფელი მუდამ მწუხარებას განიცდიდა. მეც მათ დაწოლის
ვიტანდი. ცუცხლის ალში გახვეული ვიკეცხოდი ყორნის ფრთა-
სავით.

ცოლი, შეილი, მოყვარე, მტერი და საზოგადოება ჩემი გულის
ძაფხედ იყვენ მობმული.

რამდენათ გართულდებოდა მდგომარეობა იმდენად გულის ძა-
ფები იჭიმებოდა.

ია! ამ ბიჭს რომ ხედავთ, ვინც მისი წარსული არ იცის—ის
მას ვერ გაიცნობს. ესეც ჩემს გვერდით ებრძოდა ცხოვრებას. სულ-
ზედ მომესწრო.

ხუთი წლის რომ შეიქნა მწყემსობაში მივეცი. რამდენჯერ და-
მეარგვია ულრან ტყეებში. ხშირად საქონლები ტყისკენ ეძალები-
ან. იქ უფრო პოულობენ საჭმელს. ესეც იქ მიყვებოდა. ლამით ხე-
ზედ გავიდოდა. ლვედით მიეკვრებოდა ტოტებზედ და ისე ჩამოიძი-
ნებდა. ვყვიროდი. ვარლვევდი ტყის მყუდროებას. შემდეგ სადღაც
წავატყდებოდი. ექვსი წლისას ოყიანი თოხი მივეცი ხელში. მოვ-
წყვიტე ბავშვობას.

სხვები კი წელს ისრულებდენ. ჩვენს ახლოს მდინარე ჩამორბოდა.
მდინარიდან პატარა არხები გვქონდა გამოყვანილი. გაზაფხულზედ
დიდებოდა და აესებდა ნაპირებს. წყალი მღვრიე და შლამიანი.

საყანეზედ მიუშვებდით. მიწას ვანიყიერებდი. ჩვენ მაინც არა-
ფერი გვშველოდა. რადგან ნახევარი მიწის პატრონს უნდა წაელო.
ეე! ვინ დათვლის ყოველივეს. გულში იღუმალი ტალღა იკიდებდა
ფეხს. ნალველი აქაფებდა შხამს. ბაგრატიც დასრულდა სავსე მთვა-
რესავით. მეც ასე მოვაჩნეალებ დღეებს. ბაგრამ მგლებმა კინალამ
გამგლიჯეს ეხლა. წამო შეილო სახლში. იქ იმსახურე. როგორ არ
გენატრება სოფელი.

მაგრამ არა. ასე ითხოვს დღევანდელი დრო. ახალ ქვეყანას
ვაშენებთო. ძალიან კარგი. თუ რაიმეს ვააკეთებთ ხალხი დაგიმად-
ლებთ. მეც გამახარებთ ამ სიბერის დროს.

სამოცდაათი წლის კაცი ვარ, და დღეს მოვესწარი ტფილისის
ნახვას. ჭურში ვყოფილვარ. ესეც კარგია ამეხილა თვალები.

მე მაინც იქეთ მირჩევნია. აქ ვერაფერს ვხედავ.

უნდა წავიდე შვილო! მარტო დედაშენი შეიშლება. ამბავი უნდა მიუტანო.

ბაგრატის ამხანაგები, დაკვირვებით უსმენდენ გათლომეს ამბავს. ამ ამბავში ბევრი რამ იყო მათგის საგულისხმო.

აქ უფრო იშლებოდა ბაგრატის ფიგურა. უფრო დამაჯერებელი ხდებოდა ყოველი მისი ნაბიჯი. მაშ, არ შემცდარა ქალაქის ახალგაზრდობა მის დაფასებაში.

4.

მესამე დღეს ბათლომე კერისპირად იჯდა. ირგვლივ მეზობლები ეხვია. ბაგრატის ამბავს ზღაპარივით უყვებოდა. ყველას ბოლმა აწვებოდა.

ბაგრატის დედა სიხარულით ცრემლებს ლვრიდა.

გავიდა ერთი თვე. ბაგრატი საესებით გამომთელდა. ისევ განაახლა მუშაობა. დღეები ინთქებოდა მუშაობაში, კომქავშირის ახალი საკითხების დამუშავებაში.

ძველი ენერგია ალდგენილი იქნა. გაასკუცებულმა მუშაობამ ნებისყოფა რკინასავით გაუმაგრა.

თვეები თვეებს მისდევდა. ერთმა წელმა საათის ისარივით გაირბინა. ზამთარმა კიდევ შემოანგრია კედლები. ერთი თვე, და მოსკოვში კომქავშირის მეშვიდე ყრილობა უნდა შესდგეს.

ბაგრატი დელეგატია საქართველოდან. გაზეობი სტამბავენ მის წერილებს მომავალ ყრილობისათვის.

ბაგრატი მიდის ყრილობაზე. ტოვებს აელვარებულ ქალაქს. ირგვლივ ხევებით დასერილ მოებს. გაშლილ ველებს—და მტკვრის გულგახსნილ ჯებირებს.

მიდის იქ, სადაც მანქანები ბულრაობენ ბულა მოზევრივით. იქ, სადაც არშინშე აბრუნებს ყამირ მიწას ტრაქტორის ძალა.

სადაც სიხარულია და გაშლილია გული ახალი ცხოვრების.



ზ ღ ა პ ა რ ი

ნაწყვეტი რომანიდან „ხავხი“

სალამოა.

ბუხარში გიზგიზებს ცეცხლი.

ის დგას ოთახის გულში, ოდნავ წინ მოხრილი: უცქერის ფანჯარასთან გაჩერებულ მთვარეს და ჰყვება ზღაპარს.

ცალ ხელში პაპიროსი უჭირავს. პაპიროსი ხშირად ჰქონება: მაშინ ის სწყვეტს ზღაპარს, ფეხაკრეფით მიღის ბუხართან, უკიდებს ცეცხლს და ისევ დგება თავის ადგილზე.

მერი ზის მის პირდაპირ, კუთხეში. სიბნელეში მოსჩანს მისი ნალელიანი სახე.

მერის იპყრობს მოუთმენლობა. ის ეხეევა ბოლში. კუთხიდან ისმის წყნარი, ხავერდოვანი ხმა:

— შემდეგ?...

ის იწყებს.

— მოფრინდა მაშინ ნიავი ციდან და უთხრა ასულს:

— გქონდეს სხეული ნიავივით მოქნილი, თვალები უძირო ხევზე უშავესი და იდუმალი; იყავ ბედნიერი, მშვენიერო ასულო, სანამ არ იხილო შენი სახის ჩვენება!

ფრთა ფრთას შემოპერა და გაფრინდა.

შეშინებულ ასულს გამოელვიძა.

ეს მოხდა უხსოვარ დროში. მთებს იქით, ზღვებს იქით.

ერთხელ ასული აედევნა ირემს. ტან-მოსხლეტილი, ალ-მოდე-ბული მისდევდა კვალში.

გამლილი თმები სირბილის დროს ქარივით სტვენდა. თავდავიწყებამ გაიტაცა. გადაიარა ცხრა მთა, ცხრა ველი... ირემმა ტყეს მიაშურა. რქები მხრებზე დაეწყო და მოჭრილ ნახტომებით მიიმტვრევდა მისი რქებივით დახლართულ ტოტებს.

უცებ ასულმა ეკალს დაპერა ფეხი. დაიჭრა. იქვე ჩაიკეცა. ირემი გაპერა. სურვილის შეუსრულებლობამ და ტკივილებმა ააცრე-მლეს ასულის თვალები. ცრემლები დაიღვარა მიწაზე და გააჩინეს პატარა გუბე... ბევრი იტირა ასულმა. წამოდგომა დაპირა. უკანას-კნელად კიდევ დახედა დაიარებულ ფეხს; შეკრთა, გაკვირვებით თა-

ვი გაიქნია. მიწაზე რაღაცას ხარბათ დაცექერდა. ატორტმანდა, ტკი-
ვილი მიყუჩდა.

ცრემლთა გუბეში დაინახა თავისი სახე.

— ნუ თუ ასეთი შშენიერი ვარ!

გაიფიქრა ასულმა. გულზე უჩვევი, ჯერ განუცდელი სიხარუ-
ლის მოწოდა იგრძნო. ცრემლებიდან გამოსულ ორეულს გაულიმა,
თითი დაუქნია და კოცნა დაუპირა.

მაგრამ ცრემლები შეისვა მიწამ, დაშრა გუბე.

შეწუხდა ასული. დალამებამდე იჯდა და გაშტერებით დაცე-
როდა იმ ადგილს, სადაც პირველათ იხილა თავისი სახის შშენიე-
რება.

ამიერიდან მოკვდა მის ბაგეზე ლიმილი. აღარ იზიდავს სალა-
მოობით ლერწმის შრიალი, არც მაღალ კლდეზე ირემივით ნახტო-
მების გადაყრა.

მოიწყინა.

დევის ნამუხლარივით დააჩნდა სახეზე მწუხარება. დადის ბუ-
რანში გახვეული, დადის რიდით, თითქოს უცხოა მისთვის ეს
მხარე.

მერი შეირხა კუთხეში.

— მოგწყინდათ?

მერი მოუთმენლათ აქნევს თავს.

ზის ქვაზე ასული.

მთვარიანი ლამეა; მთვარის თბილი რძე ილვრება და ათეთ-
რებს მინცორს.

— მსურს კიდევ ჩემი სახის ხილვა, მსურს!

ამოიკენესა ასულმა.

— გესმის ლამეო, ჩემი სახე მინდა, მიჩვენეთ. გვედრებით!
ვამოუთქმელმა მწუხარებამ შეიძყრო. იდუმალმა გრძნობამ ჩასჭიდა
გულს კლანჭები და ააცახცახა.

სუნთქვა გაუხშირდა. მთელ სხეულში ტკივილი იგრძნო, ტკი-
ვილი სხვანაირი; არ იცოდა სად, ან რა სტკიოდა.

შეირხა და თვალებიდან იჩქეფა ცრემლის ნაკადმა.

დადგა მიწაზე გუბე და იმ გუბეში მოწყურებულ ირემივით ჩა-
დგა ასულის თვალები.

დიდხანს უცქერდა ასული თავის სახეს. გულიდან სევდა გადა-
ეყარა. კვლავ უცნაურ სიხარულის მორევში ჩაიძირა. გულმა წასძლია,
მოიხარა და ხარბათ დაეწაფა ორეულის საკოცნელათ.

ტუჩებმა მხოლოდ ცივი მიწის მიკარება იგრძნეს.

• • • • •
პაპიროსი კვლავ ჩაჰქრა.

ის უკიდეს ცეცხლს.

— შემდეგ?

როგორც დაბურულ ტყეში შემოღამებულ მგზავრს განთიადი,
ისე მოწყურდებოდა ასულს თავისი სახის ხილვა.

ამისთვის საჭირო იყო ცრემლები და ასულიც სტიროდა ხში-
რათ. იგრძნო რომ ცრემლები მაშინ მოღიან, როცა ის არ იცინის,
როცა არ დარბის, როცა მარტოა.

გადაიშალა მის გულში მწუხარების შავი ყვავილი. უცნაური
სურვილი არ აძლევდა მოსვენებას.

მოხსრებოდა ორეულის საკონცელათ, მაგრამ ცრემლები სწრა-
ფად შერებოდენ.

— ბექრი ცრემლია საჭირო!

გაიფიქრა ერთხელ.

ნიავმა ფანჯარის აკაციის ტოტი მოარტყა.

მერი, შეკრთა.

მზის ნაბიჯი წაიქცა ჭადართან. აშრიალდენ ფოთლები.

მწუხრის ქამია.

პა პირველი ცრემლი დაეცა მიწას. ასულის ოცნებამ ფრთები
გაშალა. მიწაზე დგება მორევი. ამდენი ცრემლი ჯერ არ დაუღვრია-
მაგრამ არა, კიდევ იდინოს. ხანგრძლივი უნდა იყოს მისი კოცნა,
მისი ბედნიერება.

თრთოლავს ასული. იწრიტება მისი თვალები. ჩქეფენ მდულა-
რე ცრემლები და იზრდება მორევი.

სიხარულმა ცხრა მთაზე აიტაცა.

მოიხარა, ორეული ულიმის, იწვევს, იზიდავს. ასულის ხარბი
სუნთქვა არხევს მორევის ზედაპირს.

თითები მაგრათ ჩაასო მიწას.


უცრათ მორევი შეირყა, გაირღვა და ნაპირმა იჩინა თავი. ნა-
კადიეთ, დაღმართისაკენ გაჰქინდა. სიმწარით შეჰქიცლა ასულმა და
აედევნა ცრემლებს.

განთიადისას მონადირეს ეპოვა ხევში გადაწეხილი უცნობი
ქალი.

პაპიროსი კვლავ ჩაჰქრა.

ტფილისი.

თეორია და პრიტიკა



გვირჩევა გურიაში

„ქართული მწერლობის“ პრაქტიკა და თეორია დაცვულობის ფინანსები

„ნეპი“-ს არსებობა ახალი ბურუუაზიის გაჩენის ნიშნავს, რაც საბჭოთა კავშირის სინამდვილეში საქმაოდ გარკვეულ ფენად გვევ-ლინება. ახალი ბურუუაზიის გაჩენის ფერხულს მისდევს ყველა ანტი-პროლეტარული და ანტი-გლეხური, ფენების ნარჩენები, შინაური, გაბუტული ემიგრაცია და ახალი აღმშენებლობის „მჭვრეტელი“ ფენები, რომლებიც რევოლუციის თანამდებარენი გამხდარან იმდე-ნათ—რამდენათც, ის მათ შესაფარდ პირობებში არსებობას, აღარ უშლის ხელს. ეს ახალი საზოგადოებრივობის საპერსპექტივო მშე-ნებლობისათვის დაპირდაპირებული ფენები, იმყოფებიან რა პროლე-ტარიატის დიქტატურის დროს თავის სოციალურ გამძლავრების და განვითარების შელზუდულ ჩარჩოებში, სცდილობენ თავის საზოგა-დოებრივად დამტკიცებას და საკუთარი სახის სრულ გამომედავნე-ბას, რისთვისაც თავის შემოქმედებით ენერგიას იდეოლოგიის სხვა და სხვა ნაწილებში შლიან. ეს არის მოხერხებული გადახიზნა უფ-რო „იუვნებელ“, ვითომუდა ნეიტრალურ სფეროებში, რაც გამოიხატება მხატვრულ ლიტერატურასა და საერთოდ ხელოვნებაში, თავის დამტკიცების ცდებში. ამით „ნეპი“-ის აქტიური ფენები, ახალი ბურუუაზია—პირებულად სცდილობს თავის „სულიერი“ კულტურის შექმნას, თავის მხატვრულ დამტკიცებას;—მეორე: აერთებს რევო-ლიუციის მიერ „უხეშად“ ჩაწყვეტილ ძაფს რევოლუციამდე არსე-ბულ ბურუუაზიის ხელოვნებას და საერთოდ ძველ ფსიქოლოგიურ სამყაროს შორის. ამრიგად,—ფიქტიური ექონომიური ნიადაგი, ძველ საზოგადოებრივობაში გაბატონებულ ფენათ, „ნეპი“-ის დროს გა-აქტიურებულ ნაწილს, კადნიერებას მატებს, შემოუარონ პროლე-ტარულ რევოლუციის და წარსულის ხელოვნებასთან გასდევან კლა-სიური ხიდი და ორგანიული კავშირის აღდგენა სცადონ. ხელოვნებაში

ამ ცდების შეჯეგი უკვე მეღავნდება რესტავრაციის მხატვრული ნიმუშ-შებით. თანადროულობა, პროლეტარიატის წინაშე მორიგ და უძნიშვნელოვანებს ამოცანას სვამს; მაგრამ როგორც სხვა ფრონტებზე, დაბრკოლებათა კედლები იმართებიან, ისე ამ როულ ფრონტზე-დაც—იმართება საშიში დაბრკოლება, ახალი პროლეტარული საზოგადოებრივობის მტრულ ფქნათა,—დაბრუნებულ განწყობილებათა და ზრახვათა-სახით; ისიც ხელოვნების როულ ფორმებში, რომლის ემოციონალური ზედმოქმედების უნარი, ლამობს თავის გავლენაში მოაქციოს საზოგადოების ფართო ფენები. მხატვრულ ლიტერატურაში გამომუდინებული რეაქციონური დინება თანდათანობით საიერიშვილი მოძრაობაში ვადადის და სცდილობს თავის მრწამსით გაბრჯნას ყველა ფენები. წარსულის განწყობილებათა აღდგენის ბუნებას-თან არის დაკავშირებული ის ლიტერატურული დაცემულობის ტალღა, რომელმაც ამ ბოლო ხანებში ძლიერი ხასიათი მიიღო. რუსულმა ლიტერატურამ მოგვცა ამ დაცემულობის ამომწურავი ნიმუში, პოეტ ს. ესენინის შემოქმედების სახით; განსაკუთრებით ამ შემოქმედების იმ რეაქციით, რომელიც გამოიწვია მან საზოგადოების და ლიტერატურის სხვა და სხვა ფენებში, რომელიც ცნობილია „ესენინსშჩინას“ სახით. ნიკიერი, მაგრამ ვიწრო გაშლის პოეტი ესენინი დაყრდნობილი რუსეთის ძეველი სოფლის გეგმაშეუზომელ და კულტურისათვის გამოუყენებელ სტიქიის ველურობაზედ, იდეალიზაციის ახდენს და პოეტურ შარავანდედით მოსახს, ყველა იმ ძეველ უარყოფით ელემენტებს, რომელიც ჩარჩენილია, ჯერ დაუდგომელ ახალ ყოფაში. გლეხი პოეტი რევოლუციასაც გრძნობდა, თავისებურათ,— მაგრამ იმ დაჯვრებით, რომ ის მესაფლავება ძევლის. ის რევოლუციის მძღვან და იმედიან გუგუნში, თავის ხმის ჩაქსოვასაც სცდილობდა, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი მას, მასში რომ ის სრული პოეტი ყოფილიყო ძევლი სლავიანოფილური „Русь“-ის, ბოჭემურ თავაწყვეტილობის, დაელბო თავის შემოქმედებითი ენერგია უმიზნოსანტიმენტალობაში, სევდიან მოთქმით გაპყოლოდა კვალ და კვალ მიმავალ ძევლ ცხოვრებას, რომანტიულ ნისლში გაეხვია ქალაქის „ნეპმანურ“ მხარის ჭუპყი და გამხდარიყო ხულიგნობის საფარად-ამრიგად ესენინი დასრულებული ნიმუშია დაცემულობის. მისი შემოქმედება ეს წარსულის განწყობილებათა რესტავრაციის სახეა. ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფენაც უკანასკნელ პერიოდში დაცემულობის რეალშია მოქცეული და როგორც ასეთი, ნიშნეულია ის თუ ქართველ პოეტებიდან, როგორ უწევდიან ხელს ესენინს, მოთქმით მისტირიან იმ ქვენად:

„განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი
 რომ გადარჩენა არ გხარებია“.....

„ხოლო ჩვენ სხვა დრო წამოვეწია,
 ჩვენც სადმე მაღლე ჩაგვაძალებენ“

(ტ. ტაბიძე. ლექსი „სერგეი ესენინ“
 „ქართული მწერლობა“ № 1)

დაცემულობის მიზეზი ორმაგია. საბჭოთა საზოგადოებრივო-ბის მმართველი და სოციალისტურ საფუძვლებზე გადამშუშევებული მუშათა კლასია: მისი კლასიური ნების და გეგმიანობის ფარგალ-შია მოქცეული, ყველა აუცილებლობის გამო დროებით არსებული ანტიპროლეტარული ფენები; ასე რომ ამ მიზეზით ამ ფენების სუ-ლის კვეთების გამომხატველთ საბოლოო ანგარიშში დიდი იმედიანი და სალი განწყობილებების პერსპექტივები არა აქვს. ნაწილი ბურ-ეუაზიის სხვა წოდებათა მხატვრულ ტენდენციების წარმომადგენლე-ბისა, არ სტუკება „ნების“ ძეველ ურთიერთობის სტაბილიზაციის ილიუზიებით და კლასიური სევდის ნისლში ეხვევა, და პესიმიზმის ფრიალი იპყრობს. მელავნდება გარკვეული უქმაყოფილება არსებუ-ლით. ხელოვნების „უწყინარ“ ფორმებში ღვივის მტრული განწყო-ბილების ხაპერწყლები. ეს ტენდენციები უკვე წვეულებრივ დაცემუ-ლობას სცილდება და მეტ გარკვეულ ქლასიურ, მებრძოლ ხასიათს იღებს. აქ უკვე ხშირად გხხვდება სინამდვილის დამახინჯება და რე-კოლიუციის ცილის-წამება. რუსული ლიტერატურა მდიდარ მასალას იძლევა ამ დებულების დასამტკიცებლად; მაგრამ არც ქართული ლიტერატურა ჩამორჩა მოძმე ერის ლიტერატურას და თავის პოე-ზის ფრაგმენტებში, გადააჭარბა კიდევ. ქართული მწერლობის ერთი ფენის, რევოლიუციის წლებში, გულში ჩახვეულ განწყობილე-ბის გასაგებად, საკმარისია ერთი ციტატის მოყვანა:

„და ვეკითხები ამ დაბურულს სკვითების ლამეს

რა იქნა ჩვენი ქაბუკობა და გატაცება?

ვინ გადაფისა ასე გული მშრალი ბალლამით

და არ გვაცალა შთაგონების დავაუკაცება“.

(„ქართული მწერლობა“ № 4—5 ტ. ტაბიძე. 1925 წ.)

აქ ყველაფერია. დამახინჯება. გულჩათხრობილი უქმაყოფი-ლება. 1926 წელში პოეტი გულწრფელი ამელავნებს თავის ბოლმას. თურმე ის წლების განმაელობაში, უქმაყოფილო ყოფილი. გაბუ-ტულა და ვერ შეუმჩნევიათ. მაგრამ როდემდის იცდის, რომ თვით

მას, რომელიც ლექსებზე მეტად იტევს ნაღველს, შეამჩნიონ ეს უქმა-
ყოფილება; ის ისევ ლექსებს ამეტყველებს:

„მალე თბილისში როგორც წინათ ვაუა-ფშაველა,
მე ჩამოვიტან ხურჯინებით დაწერილ ლექსებს,
მაგრამ ლექსებზე მეტი მომაქვს მაინც ნაღველი
ასე უჩემოთ სასიკვდილოდ რომ გამილესეს“.

ცხადია ლექსი უფრო მეტყველებს ვინემ ფიგურალური მეტერ-
ლინკისებური დუმილი. ასე რომ საკუთარი თავის გამოსამელავნებლად,
ეს ხერხი უფრო აღწევს მიზანს. ამ შემთხვევაში უქმაყოფილო პოეტი
„რაღაცას“ გარკვეულ ბრალს სდებს. კითხვის მისამართი მისტიუ-
რია (?!). მაგრამ პოეზიის ხერხით შედგენილი საბრალდებლო ოქმი
რეალურია. ჭაბუკობა და გატაცება წაურთმევიათ, გული ბალლამით
გადაუფისავთ, შთავონების დავაკეუაცება არ უცლიათ და ნაღველი
სასიკვდილოთ გაულესიათ. ამაზე მეტი აღარ შეიძლება. ამ ბრალდე-
ბების მისამართი თანადროული ცხოვრებაა. ის ფაქტი რომელმაც
შესცვალა საზოგადოებრივი ურთიერთობა და საფუძვლად დაედო
ახალ ცხოვრებას, რომელმაც გადააღავა საზოგადოებრივი ფენების
დათანწყობება და გაბატონებულ, საზოგადოებრივ ცხოვრების მმარ-
თველ და მისი განვითარების სახის მიმცემ ფენების, ყვლეფის „ჭა-
ბუკურ“ მაღის „გატაცებას“ საზღვარი დაუდო და „დავაკეუაცებას“
წერტილი დაუსვა. აქ საქმე იმაში კი არ არის რომ რევოლუციაშ
კვერი არ გამოუცხო პოეტს, ან და მის ლიტერატურულ ფენას. არ
შეიძლება ლაპარაკი პიროვნულ ჩარჩოებზე ან და ლიტერატურის
„თვითმყოფად“ ფენის განწყობილებებზე. პირიქით: ბევრჯელ ყო-
ფილა აღნიშნული, რომ ქართულ ლიტერატურას გასაბორების, ჩვენი
ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მუშაობის უკეთესი, მანამდე არ
არსებული პირობები შეექმნა, როგორც მთლიანად ისე ჯგუფურად.
ყველა ჩენებ მიმართულებებს ჰქონდათ საშუალება თავისუფალი ბევრ-
დის. შემდეგ სპეციალური ეურნალიც კი იქმნა დაარსებული. პოე-
ტის მიერ ამ გვარ განწყობილებების გამომელავნების მიზეზები
უფრო ზოგადია, კლასიური. სოციალურ ფენათა ინტერესების და
მიზნების ისტორიულ თანმიმდევრობის ბუნება. ზემოდ მოყვანილ
ტაეპებში პოეტს ალაპარაკებს კლასი. აქ კლასის ბრძყალების გავ-
ლენა მულავნდება,—კლასის ნების, განწყობილებების და ინტერესე-
ბის კარნახია. ამ შემთხვევაში პოეტი მხოლოდ ორგანიული თუთი-
ყუშია იმ კლასის, რომელსაც ჩვენი მოყვანილობის მისი ნების გარეშე,
ნაღველი სასიკვდილოთ გაულესა; რომელსაც მართლაც არ აცალეს

საქართველოში მადის და ექსპლოატაციული კლანების „დავაუკაცება“.

რომ უნდა ავხსნათ, რომ მაინც და მაინც თანადროულობაში ქართულ ლიტერატურის გარევეული ფენა პარნასელდება? რომ დღეს დაიწყეს საუბარი შემოქმედების თავისუფლებაზედ, თემათა მუდმივობაზე, ზეცურ შთაგონებაზე და სხვა ამ გვარ „წმინდა“ ამბებზე, რომელიც თავის თავად „ქეთილშობილი“ ბარიკადებია ამართული ლიტერატურის მიერ, თანადროულობის რეალურ მშენებლობიდან, ვასამიჯნავად. ეს მით უფრო ნიშნეულია, რომ ქართულ ლიტერატურის ტრადიციის დამახასიათებელი არ არის ასეთი ხელოვნური განაპირება. ის ყოველთვის მჭიდროდ გადახლართული საზოგადოებრივ ცხოვრებასთან—პოლიტიკის იარაღი იყო (თანაბრად საზოგადოებრივ ძალთა შეფარდებისა) და გარკვეულად ამჟღავნებდა თავის საზოგადოებრივ ხასიათს. დღეს ზოგიერთებისათვის უკვე გაზეთებიდან ამონაწერი ამბები წვრილი გახდა „ჭეშმარიტი“ პოეზიის დამხრჩინებელი, მაშინ როდესაც დღევანდელი საბჭოთა გაზეთები ერთის მხრივ ბარომეტრია იმ შინაგან გრანიოზული პროცესის, რომელიც მიმდინარეობს სოციალისტური აღმშენებლობის ნიშნის ქვეშ და მეორეს მხრივ მაუწყებელია იმ მსოფლიო დუღილის, რომელიც თან და თან იზრდება, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ტალღათ. გაზეთებიდან ამონაწერ ამბებზე მითითება, ეს თავის მხრივ პირდაპირი ხაზით თავდასხმაა სოციალური თემატიკის პროლეტარულ პოეტებზე, რისთვისაც წარბ შეუხრელად იყენებენ სოციალურ პოეტს 6. ჩხიკვაძეს, შრომის ჰიმნების გამმართველ პოეტს, რომელიც დაიფერფლა მუშის ბეჭით, რომლის შემოქმედებას საზღვრავდა და ასლდგმულებდა მუშათა კლასის ინტერესები და რომელიც ბრძოლის მოწოდებათა ალში დაიწვა. ყალბათ და აშკარად დამახინჯების ნიშნებით ისმის განცხადება: „ეხლა ქუხილი არ ისტამბება“. (აბაშელი).

აქ სხვა ანგარიშები და უცხო ფენის თანადროულობით უქმაყოფილებაა. 6. ჩხიკვაძის ორგანიულ ამხანაგად ძლიერად გვაჯერებს, მისი თანამებრძოლი 6. ზომლეთელი, ვინემ ის მისი ყოფილი მეგობრები, რომელიც ეხლა ცუდ სამსახურს უწევენ ბარათების ყალბი მრასამართით. 6. ჩხიკვაძეს ცნობილობით ზომლეთელის საპასუხო ბარათიდან და არა დენიდან. დედნის ჩხიკვაძე ხელოვნურად გაკეთებულია და უკმაყოფილო მიტირილის მისამართი არეულია.

„ვინ სოქვა თუ ლექსებს ახლა არ სტამბავენ,

ცეცხლ მომდებს, როგორც შენი ქუხილი?!“

რა მერე, თუ ვსწერთ გაზეთის ამბებს
 მათ რომ თან მოსცდეს შორი წუხილი?!
 და შენ ეხლა რომ იყვე ცოცხალი,
 პოეტო, ძმაო და მეამბოხევ;
 ინგლისით ხმა რომ მოვა ოხრალი
 მას გაზეთიდან თვითონ ამოხევ;”.

(6. ზომლეთელი, „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“).

აქ სჩანს რომ წერილი, ქართულ ლიტერატურაში არსებულ
 6. ჩხიკვაძის მისამართზეა და არა გასაძღვობის შემდეგ რომელიმე
 პოეტის გონიერებაში საჭიროებისამებრ გამოგონებულ ჩხიკვაძის მისა-
 მართზე.

თანადროულ ლიტერატურაში დაცემულობის მიზეზი—ავლ-
 ნიშნეთ რომ ორმაგი ხასიათისაა. პირველი: გარკვეულად მტრული
 ფენის უკმაყოფილება; მის მიერ ლიტერატურაში თავის განწყობილე-
 ბების გამომეულავნება. ამის ნიშნები—მაგალითებით ხაზგასმულ იქნა.

მეორე მიზეზი უფრო მტკიცნეულია და როული. რევოლუციის
 პირველ წლებშივე, მასთან მიღის გარკვეული ფენა ლიტერატურის
 და იწყებენ მის გულწრფელ თანამგზავრობას. მაგრამ ასეთი თანა-
 მგზავრობა დაკავშირებულია გარკვეულ მერყეობასთან. გარდა ამისა,
 რევოლუციის ორგანიზაციათ გამოიუტანჯელ ხალხს, ახასიათებს ზედ-
 მეტი რევოლუციის ინიციატივის, რომანტიზმი, რომელიც მათ აღფრთოვა-
 ნებს და გულუბრყვილოთ ადგენიებს რევოლუციის განვითარებას. რევოლუციის შენელებული ტემპი, და მით უმეტეს „ნეპ“-ური
 სახეცვლილება—უარყოფითად მოქმედებს მათ ენტუზიაზმზე და უე-
 ცრად კარგავენ აღფრთოვანებას, ვარდებიან სასოწარკვეთილებაში,
 რაც გარკვეული და მაღლიერი ნიადაგია დაცემულ განწყობილების
 შექმნისათვის. ამრიგათ რევოლუციის ინიციატივათ განწყობილი ფენის ნა-
 წილი, ველარ ახერხებს, ფეხდათებ მისდიოს, რევოლუციის მსვლე-
 ლობის ყველა ხვეულებს, ვერ ეგუება ახალი პერიოდის ყოველ-დღიურ
 აღმშენებლობას, ემსხერევა რომანტიული წარმოდგენანი და ირკა-
 ლება, უიმედო, სასოწარკვეთილი, განწყობილებებით. ეს ერთვარი
 შეშინება და უკუქცევა. ამ მერყევ ფენას მოსჭრა თვალები, რევო-
 ლუციის ტემპის შენელების გარეგნულმა მხარემ. რუსი—თანამგზავ-
 რი პოეტის ნ. ასევევის შემდეგი ტაქპი კლ სიკური, დამახასიათე-
 ბელია ამ განწყობილების:

„Как я стану твоим поэтом
 Коммунизма племя“

Когда крашено ржим цветом
а не красным времи”.

ამავე „ნეპ“-ის შიშმა, მის პირდაპირმა ათვისებამ, გარეგ-
ნულმა მხარემ:

„еквөზ ვაჟვე ლავოკ“.

დალუპა და ვადაავეარა, საუკეთესო რუსი პროლეტარული პოე-
ტები, როგორიცაა კირილოვი და გერასიმოვი. დაცემულ განწყობი-
ლების—ამ მერყეობის და რევოლუციონურ ვამოუბრძმედელობის
მიზეზით—უნდა ავხსნათ ის რომ ჩვენი პირველი მნიშვნელოვანი თა-
ნამგზავრი პოეტი—გალაქტიონ ტაბიძე—მთელ რიგ რევოლუციო-
ნური პოემების და გარევეულათ მებრძოლ რევოლუციონურ განწყ-
ობილების შემდეგ ეშვება ისევ ას-ლექსიანი საფეხურით პესიმის-
ტურ ხავსხე, და დაბრუნებულ განწყობილებების მტირალა რკალში
ექცევა. კლასიურ შეგნების დაჩრუნვების და „მეშჩანურ“ რეაქციო-
ნურ ფენების ზედ-დაწოლის გავლენის მიზეზით უნდა ავხსნათ
ის დაცემულობა პროლეტარულ პოეზიაში, რომელსაც აღვილი
ჰქონდა ვასულ ლიტერატურულ პერიოდში. დაცემულ განწყო-
ბილებათა რიგს ეკუთვნის, როდესაც ნეპის გავლენით პროლეტა-
რული პოეტი ბაირალებს ახუნებს—მეორე მთვარისკენ იხრება, სამ-
შობლოს ცის გულზე იტრიალებს, და საჩრიმენტალურ ლეგნდე-
ბით „შეცდენილ“ ქალის ტრაგედიას გვიშლის. მესამე ესენინის
„შავ კაცებს“ რევერანსებს უკეთებს—მეოთხე ირაკლის თბილისში
ნადირობას ნატრობს და ჯანსახეომის ორდერს სწერს (?!) ეს განწყო-
ბილებები დაცემულობის მძაფრი ვამოხატულებაა; რაც პირველ
ფრთაში ბუნებრივია, მაგრამ მეორე ფრთაში კი მტკიცნეული და
ზრდის პროცესის შემთხვერებელი.

ლიტერატურის და საზოგადოებრივობის ისტორიას ახსოებ
1905 წ. შემდეგი მკაცრი რეაქციის სუსსში, დაცემულობის და მის-
ტიკის აღორძინება. 1905 წ. რევოლუციონურათ განწყობილი ინ-
ტელიგენცია, რევოლუციის დამარცხების შემდეგ მოექცა დაცემუ-
ლობის და მისტიკიზმის ბრჭყალში. ამით მოხდა სრული გაიგივეობა
რეაქციისთვის. ამრიგათ გარეგნულმა საზოგადოებრივმა პირობებმა
განსაზღვრეს დროულათ რევოლუციონურ ფენათა შემდეგი განვი-
თარების სახე. თანადროულ ლიტერატურის დაცემულობის პირობების
გამსაზღვრელი კი არის ნაწილობრივ იგივე რევოლუციონური
გამოუბრძმედელობა, დაცემულობის რკალში მოქცეულთა ნაწი-
ლის, მეორე ნაწილის კი თვით მათი კლასიურ ბუნების სოციალის-
ტურ მშენებლობასთან შეუგუებლობის მიზეზი.

ქართული მწერლობა გაერთიანებულია ტეხნიკურით; ამიტომ ამავე სახელწოდების უურნალში მკითხველს საშუალება აქვს გაითვალისწინოს ჩევნი მწერლობის შემოქმედებითი სახე. „ქართული მწერლობის“ პოეზია ეს მრავალ-ფეროვანი თაიგულია გამხმარი ყვავილების, რომელშიდაც საოცრად ერთფეროვანი ხმებია ჩაქსოვილი. ის მორცხვი „მხისუმხირია“, რომელსაც ნიადაგი ტრადიციების ყინულოვან ხავსის ხავერდით აქვს დაფუნილი და ზლაპრებით მოქარგულ წარსულის ლურჯ ცას არის მიბჯენილი. პოეზია და ცხოვრება არავითარ შუაში არ არიან ერთმანეთთან, როგორც ამ თავის სათაურში,—და ისე ცალ-ცალკე აღებული არავითარ შუაში არ არიან „ქართული მწერლობის“ ლექსების განყოფილებასთან. გარეგნულათ პოეზიის ეს თაიგული ხელოვნურათ არის გაკეთებული. მშვენიერათ არის მოქსოვილი ობობისწესელი, შიგ გახვეული ვეფხის ტყაოსნით, რომელსაც მზითვათ ნატრობს პოეტესა, რის აუსრულებლობის შიშით, ლამის მელანქოლიის ზღვაში დაიხჩეს (ნ. თარიშვილი) და გვემჭქრება მუდამ „სიკედილივით გაუხარელ“ დარჩენას. „რაღან მხითევში არ მომცემენ ვეფხის ტყაოსანს“.

ტრაგედიების საშინელებაც იცქირება მკაცრათ. პოეტს „გული მართალი“ საგულედან ამოვარდნია და „ბედ-დამწვარი“ მოსთქვამს:

„იტირე გულო... გულო დაკლულო
ასე მგონია ლოდათ იქეცი...“.

შავ-ნისლშია გახვეული ყველაფერი. მთაწმინდა არის ყველაფერში დამნაშავე და—

„შენს მკერდზე მიწევს“

„უკვე გახრწილი მე ჩემი ლეში“

(რ. გვეტაძე.)

იქ თბილისს გარეთ უცნაური ამბები ხდება და ათასს კუნთებიან მუშის შეგნებულ ლეგიონებით ანაგები ზაჟესი—მისტიურ მარაობათ იშლება თბილისს გულში. (აბაშელი) აქეთ პოეტი სოფლისკენ გვეპატიუება—ნაირ ფერებათ შლის სოფლის იდილიას, დაჯერებით გაიძახის, რომ ურჩევნია ქუჩას—ქალაკი. ცისარტყელა—კინოს. ქალაქში იგი ყალბია და ფუფუნებაში მონებრივე; იქ კი ახალ რსანნას იმღერებს. „ქართული მწერლობა“ სოფელის პეიზაჟის სისახსისთვის მოაგოვმანებს, „ატევრილი წყაროს ტანით“ სოფლის გოგოს „სურვილების სურით“ მხარზე—და იქვე „თეთრი ტყემლების“, ჩრდილში, მოგონების ბურანში გახვეული პოეტი, სიყვარულის ალერსით, „მაგარი თეთრი წვივების“, „იონჯის ფარჩაზე“ სირბილს,

ეგზოტიური ჩურჩულით შლის, წარმოდგენის მარაოებათ. (კ. ნადი-
რაძე) პოეტს შეუგნია ის საშიშროება, რომელიც უკვე დღეს თავს
დასტრიიალებს ქართული პოეზიის ძეელ და ახალგაზრდა ბებერთა-
ფერიას და ასკვინის

„გაგიუება სჯობს თუ გათავდა სიტყვის მადანი
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ველარ დახვდები“.

(პაოლო იაშვილი.

„ქართული მწერლობა“ № 1).

ამ რეცეპტით პოეზიის საშველი არ არის, რადგან სიტყვის,
აზრის, გრძნობის,—დალევის და ალოს დაწლუნების მაუწყებე-
ლია „ქართული მწერლობის“ პოეზიის, ერთფეროვანი ფურცლები;
ახალი ცხოვრების მზე, გარევეულ ენერგიათ გამოყენებული, მზე მშვენე-
ბელი და წინსვლის ნიშანი, უკვე აღარ ათბობს ქართული პოეზიის ტრა-
დიციულ ნაწილს; ის ვერ ამჩნევს მზეს, მთვარის სიმკოლოურმა და
მოდუნებულმა ბებერმა სხივმა,—დაჩრდილა მისი ელამი გუგა.
ამ მისამართზე თამამათ შეიძლება გადატანილ იქნეს, პოეტის, დრა-
მატიული სიყვარულის ობიექტით გამოწვეული, კბილ-ჩამტვრეული
ისტერიკა:

„მომშორდი... მომშორდი... თორემ სინდისს ვფიცავარ, შემო-
მელახები!“..

(ს. ჩიქოვანი—

„ქართული მწერლობა“ № 1)

„ქართული მწერლობის“ პოეზიას „ობობას პერანგი“¹⁾ მოსავს—
და არც შეიძლება სხვა გვარად იყვნეს, რადგან ხავსის ნიადაგს,
ობობა ეგუება, და შეგრძნობის გამსაზღვრელი კი:

„ობილისო ჩემო, აღმერებულო,
შენი სიონი თეთრი და მძიმე
თითქოს ჩემ გულში აშენებულა!“

(კ. ნადირაძე.

„ქართული მწერლობა“ № 2).

¹⁾ ამ სახის სამოსი ეკუთხის თავის ხარისპიც და თოვისებით პოეზიის დიდ
მაწილს და არა მარტო ერთ პოეტს:

„არ შეგიყერავს შენ ჩემთვის ჩოხა
მაგრამ ვატარებ ობობას პერანგს“

(ტიტ. ტაბიძე.

„ქართული მწერლობა“ № 2).

„ობობას პერანგით“, გულში „სიონ ამოშენებული“ პოეზია დრო-გამოშვებით გარეგნულათ მაინც კიქე-მალაბს. ის სიტყვებითაც კი მიმართავს ჩვენს საუკუნეს—(რომელთანაც ის არავითარ შეუძი არ არის) რითაც სხანს შემთხვევითი გულუბრყვილო შემჩნევა, რომ რაღაც ხდება მაგრამ რა მიმართულებით, ეს არვინ უწყის.

„და შენ მოვარდი ლაგამ-დაკრულ ელვების რაშით:
— ხსნა ამბოხშია, გამარჯვება კი სისხლის ლერაში—
ბარიკადებთან, ოორემ ბრძოლა დაგვიიანდება.—

(ფაშალიშვილი)

ეს განურჩეველი უცარი ოვალის გახელა, „გასწრაფული“ გადარბის ჩვეულ კვალს და ისევ იწყებს ტრიალს „ობობას პერანგიან“ ლეგენდების წყება.

„ლილი ტყე-ტყე გაურბოდა
გზა გაქცეულ მონადირეს“...

იგზავნება „წერილები“ და „მღერიან“ სიმღერებს.

არ არის დავიწყებული დროები. ზაფხული.. შემოდგომა. რთველი. მზე და ჰაერი. დაბრუნებული დარების ფილოსოფია. არის სურათები „ცხოვრებიდან“ სოფლის, ქალაქის. არის, შრომის წარმომადგენელი „ქვის მჭრელი“. ამ მასალიდან გიჩვენებენ სურათებს ეგზოტიური გულუბრყვილობით:

„სად ნახავთ კიდევ, თქვენ სურათს ამგავრს—
რომ ისვენებდეს კალოზე კევრი“.

(ნ. თარიშვილი.

„ქართული მწერლობა“ № 4-5)

— უკანასკნელი ხანების ქართული პოეზიის დიდი ნაწილი თუმც განურჩევლობის და ხავსის ბურანშია—მაგრამ ეროვნულობის უკიდურესობა ბუხარიშმა რომ უწოდა „Шовинистическое свинство“ იმდენად არ ემჩნევა. მისი უქმაყოფილო, და მებრძოლი პესიმიზმის ტენდენციების გამომელაგნებული ნაწილი ეყრდნობა, სოციალურ ურთიერთობიდან გამომდინარე განწყობილებებზე, ზოგიერთ შემთხვევებში შეგხვდება ლაპარაკი „ქართულ რჯულზე“, (რა ხასიათისაა ეს ქართული რჯული ვერ გავიგია) რომლის გაუკიდურესებას უკანასკნელ ხანებში სიმპტომატიურ მოვლენათ ვერ მივიჩნევთ; არის მხოლოდ შემთხვევები, რომ ზოგი გზა-აბნეული ახალგაზრდა დაიწყებს სპეციულიაციას პატრიოტული განწყობილებით, საკუთარი თავის ლიტერატურაში დამტკიცების მიზნით, რისთვისაც იწყებენ გზის გადებას, „მთაწმინდიდან—წიწამურამდე“.

ეს ახალგაზრდა, ასეთი გზებით დამწყები ბებრები:

„გულს რომ ამძიმებს ხავსი და ლოდი

გულს რომ ეძახის ძვლების ნაცარი“.

ეს წიწამურების და მთაწმინდის, პატარა ჩრჩილები, წომი—
საეით რომ ჩხავიან, ამეღავნებენ გულის სიშავეს, ქმედით უუნარო-
ბას და დაუსრულებელ სიპატარავეს.

„ქართული მწერლობის“ პოეზია, გარდა იმისა, რომ ამეღავ-
ნებს ანახონიშმა და წარსულის განწყობილებათა რესტავრაციის
დასრულებულ სახეს—„მცონარეობის“ ტენდენციებიც აქვს.

„მე სპარსულ ნობზე ვწევარ და ვფიქრობ:

არ მოდის სახელი და დიდება“.

(გ. ცეცხლაძე. „ქართული მწერლობა“).

საინტერესოა ნადირობის რომანტიკის განცდის უნარი იმ
პოეტებში—რომელნიც ფუტურისტობას სცდილობენ, ვერ ახერხებენ
„ბომბები, შრაპნელები, ბურუჟაზიას“ განწყობილების გამართვას—
რომლის ცდა მშრალი და ხელოვნური გამოდის, „ზრდილი თავადის“
ნადირობის ამბავი, კი უფრო ახლოს სჩინს გულთან.

— „ხოხობს ესროდით, დღეს თქვენ თავადო,

მთას მოხედა სროლა“,—

(ნ. ჩაჩავა.

„ქართული მწერლობა“ № 6.)

გაჯერებსთ, რომ მონადირე თავადების და მისი მეძებრების
ნადირობის პათოსის სიღინჯესთან უფრო ნათესაურია ასეთი
ავტორების გულის-ყური—ვიდრე ამ ქვეყნიურ და ამ დროულობის
შეგრძნებასა და მშენებლობასთან. „ქართული მწერლობის“ პოეზიის
განხილვის შემდეგ შეიძლება გამოტანილ იქნეს ის ერთად-ერთი და-
სკვნა რომ, პოეზია ვერც ერთის მხრივ ვერ უკავშირდება თანა-
დროულობის წინ-მსწავათ სახეს; წარმოადგენს დაცემულობის ნიმუშს
და აღდგენილი—წარსულის განმეორებულ განწყობილებების ჯამს.
მოკლებულია როგორც შინაარსის, შემომქმედების მასალის—სიახ-
ლეს ისე ლიტერატურულ შესრულების, ფორმის სიახლესაც, რაც
ბუნებრივია, რაღან გამომდინარეობს პირების ჩამორჩენილობიდან,
და როგორც ასეთს არა აქვს არავითარი ემოციონალური ზედმოქ-
მედების უნარი, ჩვენი საზოგადოებრივობის დიდი ნაწილის რევო-
ლუციონურ ფენებზე. ესევე შეიძლება ითქვას „ქართული მწერლო-
ბის“ მხატვრულ პროზაზე—მხოლოდ კიდევ მეტი დაცილებით თანა-
მედროვე ცხოვრებიდან, და რაც მთავარია მისი საოცარი სისუს-
ტე—სრული კრიზისის ფაქტი. „ქართული მწერლობის“ პროზაული

ფრაგმენტები ამტკიცებენ, რომ მხატვრული პროზა არა ვვიქს. ჩვენი ძელი, უკვე სახელებიანი—ბელეტრისტები, თავს ირთობენ უმნიშვნელო და შეუმჩნეველ მინიატურებით. ის ახალი ცხოვრება, სოციალურ ურთიერთობის ძირებათ შეცვლის ფაქტი, მიმდინარე გადამუშავების პროცესი, რომელიც მიიმართება ახალი საზოგადოებრივობის შექმნისაკენ—სრულებით შეუმჩნეველია ქართული მხატვრული ლიტერატურისთვის. აქ მიღომის-ათვისების საკითხიც არ სდგას-არამედ სრული დაცილების. ქართული პროზა არ იარსებებს მანამდე—სანამ ის არ შესძლებს ახლოს მისელის, თანამედროვე ცხოვრებასთან. ყოველი ეპოქის მხატვრული ლიტერატურის ძირითადი მასალა აწყვეტილი იყო. წარსულის ფრაგმენტებით ლიტერატურა არ შეიქმნება და არც მეტობელი ეყოლება ლიტერატურას.

თეორია, სიამის მეფის „მარქსიზმის“ მამაზვილობა, პერსივალი ტითოელი ძარჩა, „საჯაშალი“, საძართველო და სხვა საუკაველი სიზარდი

„ქართული მწერლობის“ მიხედვის უნარი „არც ისეთი ჩლუნგი რამეა“ და იგი მეტოდიურად იწყებს,—თავის პრაქტიკის გამართლებისათვის, პატარა „თეორიულ“ ჩინეთის კედლების აგებას.

ბურუუაზია არასოდეს არ ლაპარაკობს—რომ ეს თუ ის კულტურის ნაწილი, ფსიხოლოგიის თვისება, მას ეკუთვნის, კლასიურია და არა ზოგადათ ნიშნობლივი, ზოგად-კაცობრიული. „ქართული მწერლობას“-აც თანადროული ჰყონია თავი, კველის კუთვნილი, შემოქმედების მატარებელი და ამას შორეული, მაგრამ მიზანში მხვედრი გზებით ამტკიცებს, ვიღაც „საქარლების“ დე-კლასიურობის თეორიებით. მართალია რომ ამ უკრნალის ხელმძღვანელი ნ. მიწიშვილი საქართველოზე და ქართულ მწერლობაზე—ფიქრებით შებურვილი, მაინც გრძნობს, რომ ყველაფერი ის რასაც ჩვენ გვაწვდიან არ არის ამ ქვეყნის, რომ ქართულმა მწერლობამ ვერ მისწვდი თანამედროვეობას, მაგრამ ის მაინც ითხოვს მის დაზოგვას, და სხვა მოაზროვნებთან ერთათ „ობობას პერანგს“ უქსოვს, წითელ ქარგის.

გავითვალისწინოთ თუ რა აღშფოთებს „ქართული მწერლობას“ შესატერის „თეორეტიკოსს“¹⁾.

მოქ. საქარელს, რომელსაც სალათას ძილიდან ვამოლვიძებულს, შეუმჩნევია, რუსეთში ხელოვნების საკითხებზე კამათი და არ მოსწონებია—მით, რომ მკვაბე და ხრინწიანი ხმები ისმისო, — „რაც

1) ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო.

ასოთამწყობი.

ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ჰქეებს და აუგემურებს“—ო. სახელ-დობრ, რომელი ხმები არ მოსწონებია, ამ ჩვენ ტებილეულობის მო-ყვარულ მოაზროვნებს—(რომელიც აღბათ ნასადილებს ფიქრობს, ხე-ლოვნების საკითხებზე.) ამას ქვემოთ დავინახავთ, მის დებულების გადასახვაზე.

მოქ. საქარელს— „უგემურს“ ხასიათზე აყენებს ის გარემოება, რომ არის ხალხი, რომელთაც არ ესმისთ ხელოვნება როგორც მა-რადიული კატეგორია, როგორც ისეთი რამ, რომელიც დაუქვემდე-ბარებელია ცვლილებებისთვის, „ხელოვნება ხომ არ გავს დრო-მო-ჭმულ პოლიტიკურ ინსტიტუტს, გადასავარდნ პოლიტიკურ წყობილე-ბას“ (ნ. ს.) ესა თუ ის კლასი ხელოვნებას მხოლოდ იყენებს და აქე-დან ის არ უნდა დავსკვნათ „ვითომ გაბატონებული კლასების დაცემას, თან უნდა მოყვეს ხელოვნების დაცემა“—ო. არა, საქარელის წარმო-დგენის ნისლში ხელოვნება მუდმივია, და მხოლოდ როგორც პრი-ველიგია გადადის ერთი კლასიდან, მეორე კლასის ხელში; და არა გაბატონებული კლასია, მისი მკებავი, შინაარსის მიმცემი და ემო-ციანალობა—თვისიობრივობის განმასაზღვრელი.

ასეთი შემცენებაა მიზეზი, რომ საქარელის „თეიმურაზის“ წი-გნურ ტემპერამენტს აღელვებს, რომ „ვილაცები“ ფიქრობენ „ყო-ველი ხელოვნების ნაწარმოები ან „ჩვენი“ უნდა იყოს, ან „სხვისი“, ან ამ კლასს უნდა ექვთვნოდეს ან იმ კლასს,“ (ნ. ს.) ამგვარი კლასიფიკაცია მიაჩნია, მოქ. საქარელის „ზოგადყაციობრიულ“ აზროვნებას, ბოროტებათ. ესაა ალფა და ომეგა მისი „ისტორიულ-ევოლუციონურ თვალსაზრისის“, „გაყინულ წერტილისა, რის და-მტკიცებასაც სცდილობს, „ქართული მწერლობის“ ყველა ნომრებში მოთავსებულ წერილებში. მის წარმოდგენაში, ხელოვნება, „ეროვ-ნულ საზოგადოებრივობის“ კუთვნილებაა, რომელიც ერთი საზოგა-დოებრივათ მთლიან თაობიდან გადადის მეორე თაობაში, როგორც უცვლელი—კონსერვი; რა შუაშია აქ ხელოვნების კლასიურობა, მისი ამა თუ იმ ფენის კუთვნილება? როგორაა წარმოსადგენი, რომ; ხე-ლოვნება არ არის მუდმივი, უცვლელი. მისი ესა თუ ის სახე, თვი-სება და დანიშნულებაც კი, გარდამავალი კატეგორიაა ისე—რო-გორც, საზოგადოებრივი წყობილების ესა თუ ის სახე, ესა თუ ის „პოლიტიკური ინსტიტუტი“—როგორც იარაღი გაბატონებულ კლა-სისა. ხელოვნების და საერთოდ კულტურის შეუქმნა შეუძლია მხო-ლოდ, გაბატონებულ კლასს, როგორც საამისო პირობების მქონეს და ეს გარემობა ძირითადში საზღვრავს კულტურა-ხელოვნების კლა-სიურობას. გაბატონებული კლასის ფსიხოლოგია, სურვილები,

ინტერესები და მსოფლ-შეგრძნობა ჰპოულობს გამოხატულების ხელოვნების არსში. ეს ფაქტებით მტკიცდება, კულტურათა ის-ტრანსიულ თანამიმდევრობით მსელელობაში. ხელოვნება ყცემა მისი კლასის დაცემასთან ერთად. იგი პრივილეგია კი არ არის, არა-მედ კუთვნილებაა, და როგორც ასეთი, სახეს იცვლის თავის კლასის დაცემასთან ერთად. მისი სპეციფიური კლასიური ელემენტები ის-ტრანსის პბარდება, და ნაწილს ელემენტებისას კი მემკვიდრეობათ იღებს ახალი კლასი, ქრიტიკული გადამუშავებისათვის. მოქ. საქარელისათვის როგორც ხელოვნების „მარადიული სიწმინდის“ და საუკუნეობრივი „უმანკოების“ ერთგული დარაჯისათვის,—წარმოუდგენელია კლასიტიკაცია კლასიური—რომელიც მის დამტრთხალ აზ-როვნებაში პრიმიტიულ „სხვისია“ „ჩვენია“—ს სახით გადამტყდარა. ამ „ბოროტების“ საწინააღმდეგოთა მოქ. ს. მალამის ლრიალი გააბას— ხელოვნების სტეროში, ვანდალების შემოსევაზე. საინტერესოა ის დამახინჯების ტენდენცია, რომელიც ემჩნევა საქარელს. მოქ. საქარელო, სად, როდის და რომელმა „ზოგიერთებმა“ „მარქსიზმის და პროლეტარული მოთხოვნილებების სახელით“ სრულიად უარყვეს წარსულის სულიერი კულტურა, მისი პოეზია და ლიტერატურა, „როგორც რეაქციონური ნაშთი და „ბურჟუაზიული იდეოლოგია“. თუ თქვენ ეს ამბები, იმიტომ მოგეჩვენათ რომ „ბურჟუაზიული იდეოლოგია, „აღმოაჩინეს“? (თქვენთვის) და აღნიშნეს. თქვენთვის არ არსებობს ბურჟუაზიული იდეოლოგია, არა?

ბურჟუაზია იშვიათად ლაპარაკობს, პოლიტიკის, ხელოვნების, ტაქტიკის, თუ რომელიმე სხვა დარგის ბურჟუაზიულობაზე, მით უმეტეს მისი გულმოდგინე კომენტატორები. —ამრიგათ გასაგებია ზღაპარი „ზოგიერთების“ წარსულის კულტურის ხელაღებით უარყოფის შესახებ. რაც თურმე—საქარელის წარმოდგენაში გამოიხატება— „ბურჟუაზიული იდეოლოგიის“ გამოყოფაში.

ჩვენ დასრულებული გვეგონა, საქართველოში კულტურის კლასურობის მტკიცების, აუცილებლობა.

პირიქით: ეხლა იცლიან „ზოგიერთები“ ზოგად კაცობრიულ თეორიების სამტკიცებლათ. სხვა საქმეებისაგან თავისუფალი ენერგია, ხელოვნების სფეროში გადააქვთ. „ქართული მწერლომბის“ მხატვრული პრაქტიკის „საქარელისებური“ თეორიების კედლები, სწორეთ ის შემოპარვითი მანევრია, რომელითაც, ძველი ფენა გახუნებული სახე-ცვლილებით, იდეოლოგიაში იმტკიცებს თავს.

დეკლასიური ფრაზის, კლასიური ტენდენციები, ამის მაუწევებელი¹⁾.

საინტერესოა „ფიქრების“ ფრთა, „ქართულ მწერლობაში“, მისი წარმომადგენელი ნ. მიწიშვილი.

ამ თავისებურ ფრთა, დეკლარაციით შეწითლებულ უურნალში ხაზი, საერთოდ ერთია. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია, სპეციფიური მხარეები ამ დაგვიანებულ „სმენა-ვეხოვურ“ სახეცვლილებების.

მნიშვნელოვანია ამ ხაზის, თავისებური სახეები; ერთის მხრივ საქარელის ზოგადი მანევრები და მეორეს მხრივ მიწიშვილის ფიქრები „საწყალ“ საქართველოშე, მისი ხილილიზმის ბუნება. არ გავარკვევთ „ქართული მწერლობის“ მოწინავეების დებულებებს, იმას თუ რატომ არის ქართული ლიტერატურის ამ ფენისთვის ეს დრო „ბურუსიანი“. რატომ არის რომ ის ეხლა ახერხებს, თვალების გახელვას. ეს ადვილი გასათვალისწინებელია რევოლუციიდან უკამცეულმა ფენამ ეხლა სცადა პირდაპირ შეხედვა თანადროულობისათვის —ეხლა სცადა თავის წარსულის სქელი ქურქის გამოცვლა, მაგრამ მის წარსულის სევდის ნისლით დამზრალ თვალებისათვის ჯერჯერობით ღიბრედათ სხანს ახალი ცხოვრება, ჯერჯერობით ეს დრო მისთვის „ბურუსიანია“; ესვევა მიზეზი, რომ მათი მიზნების და მოქმედების აზრი ისევე ძველ ბუტაფორიულ ჩარჩოებშია მოქცეული. მათი მოღვაწეობის პროგრამის ზოგადი ცნებები, არაფრის მთქმელი არ არის.

„ამ ასპარეზს ჰქვიან — სამშობლო და კაცობრიობა“.

აცხადებს, „ქართული მწერლობა“, მოწინავეში. „ახალი მოედანი ნიჭის გამოჩენისა და მსხვერპლის ჯერ შემოქმედისათვის არ აღმოჩენილა“ — შემოქმედების და კულტურის ისტორიას მეტი კონკრეტულობა ახსოეს. „ქართული მწერლობის“ ძველი ფენაც კი მეტი კონკრეტული ტევადობისაა — მაგრამ ის ჯერ შეგნებით ვერ მისულა ამის შეცნობამდე, ან და უფრო მნიშვნელოვანია — კაცობრიული დონის გაშლილობა — და აյ შეიძლება შეგნებულ გაკეთილშობილე-

1) მოქ. საქარელის მოკლე ტევადობის მოსახრებებს, მგონი, სადღაც დაკარგულ ბიბლიოგრაფიაში, ინიციალებში დაკარგული (თუ —?) ავტორები, მგონი „მარქსიზმათ“ აცხადებდენ. სიამის მეფესთან ურთო ახლოსაა მარქსიზმი, ვიდრე მოქ. საქარელის, ზოგად განურჩევლობის, „მატერიალსტურ“, სიჩრდენგასთან. ბურჟუაზიულ-პროლეტარულობის, მაგაშვილურათ შემაერთებელი, აზროვნება, რა შუაში უნდა იყვნეს მარქსიზმთან. თუ არსებობს მაშვილური „მარქსიზმი?“ მაშინ იგი საქარელისათვის დაგვითმია, თუ გამოაცხადებს პრეტენზიების მარქსისტობაშე.

ბასთან გვაქვს საქმე,—რაც გარეგნული მხარეა და საერთოდ, წარ-
სულის ფენათქ ფსიხოლოგისათვის დამახასიათებელია.

რევოლუციის აღმშენბლობის პერიოდში, განსაზღვრული ფე-
ნის, განსაზღვრული სახის გასარკვევათ, ნიშნეულია ნ. მიწიშვილის
„ფიქრები საქართველოზე“.

საერთოდ ერთ ფენას რევოლუციონურ მშენებლობის დროს
იპყრობს ფიქრები, და მისი არსებობა ისაზღვრება ფიქრებით. კერძოთ
საქართველოა უხერხულ მდგომარეობაში, ამ ფიქრებიც ჩაყენებული.

ფიქრების ისტორია ძველია. საქართველოზე ფიქრობდენ. მუდამ
თავგმეტებით სვამდენ ისტორიულ სადღეგრძელოებს საქართველო-
ზე და ფიქრობდენ.

ფიქრები გრძელდება მაშინაც, როდესაც შრომის საქართველოს
უდიდესი ნაწილი მოქმედების კატეგორიაში გადავიდა, როდესაც
შენდება ახალი საქართველო. როდესაც განწყობილების ოპტიმის-
ტური სისალეა—და გაუორებლათ მომქმედ ფენას, იქვები არ აწვა-
ლებს; სჯერა ის რასაც აკეთებს, რადგან რეალურათ განიცდის მო-
ქმედების ნაყოფს.

ეს საერთოდ ფიქრების გენეალოგიაზე; კერძოთ მიწიშვილის
ფიქრების ობიექტია საქართველო, მაგრამ მთლად „გასაწყლებული“.

თურმე საჭირო იყო სტაბილის მინარეთების ხილვა, რომ სა-
ქართველოზე ფიქრების ბურანს შთავანთქა, პოეტის „გრძნობიერი“
გული და უარყოფის „მიქრობებით“ გაბრჯნილიყო.

საქართველო „უყვართ“ ყველის; მაგრამ სხვა და სხვა მიზნებით
აკტორი აღნიშნავს სპეცულიანტურ სიყვარულის სახესაც და აღშ-
ფოთებულია ამ წმინდა „სიყვარულის“ გამოყენებით. მიწიშვილი
თავის ჯგუფის სახელით, ეფიცება და ედავება—„ვიღაცას“—მათ მიერ
სამშობლოს სიყვარულის გრძნობის არ ქონების—ბრალდების წა-
მოყენებაში, და „ამტკიცებს წინააღმდეგს. დამაჯერებელია, „სამშობ-
ლო—საქართველო“ სხვებთან ერთად „უყვართ“ და შეიძლება მათზე
ძლიერათაც.

ეს დიდი სიყვარულია მიზეზი, რომ მიწიშვილი უარყოფს სა-
ქართველოს. სტანჯავს ისტორიული ეპვები. ესაა მიზეზი რომ თავს
იმტკრევს რასიულობის პრობლემაზედ.

შეიძლება ამ ნილილიზმის ტალღაში, ადგილი—ჰქონდეს როლში
შესვლას, თეატრალურ დრამატიზმს, მაგრამ „ქარტონის“ პოზათ
მაინც არ ჩაითვლება. პოეტის, რასიულობის სტიქის, ძიების სევდა
ვერ ამჩნევს და საკუთარი თავის არსებობაში, საკუთარი ჯგუფის
პოეზიის სახეში, საქართველოს როგორც სპეციფიური სტიქის მქო-

ნე-ეროვნულ მოვლენაში—ექვი ეპარება, რაც უმტკიცფება და მოს-თქვაშს. აქედან იშლება ტრაგედიები და „წყეული“ პრობლემები. ფიქრები, ფიქრებს მისდევს და პოეტი საქართველოს „უშვილოსნობის“ დასკვნაზე—ახრჩობს თავის ფიქრებს. იგი გულმოკლულია და მის წარმოდგენის საქართველოსთან ერთად, გაპასიურებული. ესაა მიზეზი რომ არ ეძებს „უშვილოსნობის“ წამალს, როგორც კარგი ჭირისუფალი, მაგრამ მისი იმერული ჭირისუფლობა, მხოლოდ მო თქმით ისაზღვრება.

იქნებ უფრო მარტივათ იყვეს საქმე—ვიდრე დაუსრულებელი ფიქრების ტრაგედიაშია? საქართველო ერთია და ის საქართველო ბერწი, თუ კიდევ შეიძლება „მოვნახოთ“ სხვა საქართველო, რო-მელიც იმდროინდელ ნ. მიწიშვილს ვერ მოუწახავს. ეს ნილილისტური განწყობილებები ემიგრაციის, როგორც შინაურის ისე გარეულის— კუთვნილებაა. მოქმედების უნარს და ასპარეზს, მოკლებული ფენა ნილილიშით ირთობს თავს რაც ახასიათებს, ნიადაგ გამოცლილ, კლასიურათ დაბნეულ ინტელიგენციის ფენას.

ისტორიებზე ფიქრს იწყებენ მაშინ, როდესაც აწმყოში, არაფერი აქვთ საკეთებელი და თავის არსებობისათვის სამედო. ბურუჟაზიის და თავადური ხანჯლის საქართველო, არამც თუ ბერწია, არამედ კვდება სამუდამოთ. რეალურია ახალი, შრომის საქართველო, რო-მელსაც არ ევჭვება თავი, არც ეროვნული თვისობრიობით და არც შემოქმედებით—კლასიურ პოტენციის დაღვეუით.

ახალი საქართველო მოქმედებს და არ ფიქრობს მხოლოდ სი-ბერწეზე. შენდება, და გვჯერა ახალი საქართველო, როგორც ასეთი, და არა როგორც განწყობილებათა ვაქრობის ობიექტი, არა როგორც წარსულის კოშმარი, აწყოსა და მომავლის მაჯლაჯუნა. მომქმედ ფენებისათვის, კლასიურ სარჩულიან, ბოლომოლებულ, ფიქრების ნისლს არა აქვს ადგილი და დრო; მაშინ როდესაც მოელი ენერგია გაშლილია, მუშისა და გლეხის საზოგადოებრივი ჩაქუჩით, გადადნო-ბილ საქართველოსათვის, ძირეულათ შეცვლილ ცხოვრებით.

რაც შეეხება კულტურის შემოქმედ უნარის დაწურვას, ეს მიწი-შეილის ჯგუფის ფენისათვის ბუნებრივია, „ცისფერი ყანწელების“ შემოქმედების განშსაზღვრელი ფენა, თავის „ოქროს ხანაშიდაც“ (თუ კი ასეთი პქონდა) არ ხასიათდებოდა დიდ შემოქმედ უნარით, და ეხლა მით უმეტეს, როდესაც მისი სოციალური ატროფია ხდე-ბა; მთლიანათ კი ბიოლოგიურ რაოდენობით, განსაზღრულ ერის, საკუთარი სახის გრანდიოზულ სტიქიაზე ლაპარაკი არ შეიძლება,

მაგრამ ეს სრულებით არ არის მიზეზი ჩიხში მოქცეულ ნიღიღისმის
რომლის სარჩევლი ვიწრო-კლასიურია.

ქართული კულტურა-ლიტერატურას, ახალი გზები აქვს. მას
მეთაურობს პერსპექტივის მქონე კლასი რომლის მოქმედება მიმა-
რთება, საზოგადოების სოციალურ მთლიანობათ გარდაქმნისაკენ.

ქართული მწერლობის თეორიები და ფიქრები, ამდაგვარ
რკალით იზღუდება. არის კიდევ სხვა „სასურველი“ მოსახრებები,
კულტურის ტემპერატურის მიხედვით, მოგზაურობის მავარი, მაგ-
რამ საერთო სახით „თეორიები“ შეფარდებულია, თავის პრაქტიკას-
თან და მასთან ერთად, უმწეო სახის მქონე.

არ ვფიქრობთ რომ ქართული მწერლობა ისაზღვრებოდეს ამ
შემოქმედებით, მაშინ მართლაც, ქართულ კულტურაზე „დაფიქრება“
დაგვჭირდებოდა, არამედ ქართული ლიტერატურა—უფრო ახალი
ფენებიდან მოდის, რომლიდანაც ჯერ კიდევ შორსაა ტრადიციული
ქართულ მწერლობის განსაზღვრული ფენა.

27 წ. 27 იანვარი.

„პროლეტარიატშა უცდა“

შეინარჩუნოს, განამტკიცოს გააფართოვოს, თავისი ხელმძღვანელობა და დაიკავოს სათანადო პოზიცია იდეოლოგიურ ფრონტის მთელ რიგ ახალ ნაწილებშიაც. დიალექტურ მატერიალიზმის შექრა სრულიად ახალ-ახალ დარგებში (ბიოლოგია, ფსიქოლოგია და საბუნებისმეტყელო მეცნიერებებში საერთოდ) უკვე დაიწყო. პოზიციის დაპყრობა მხატვრულ ლიტერატურის დარგში, სწორედ ასევე აღრეთუ გვიან ფაქტად უნდა გახდეს.“ (კომუნისტური პარტიის რეზოლუციის მე-6 მუხლი).

კრიტიკული ნაშრომით მელავნდება აგრეთვე კრიტიკოსის საკუთარი კრედოც, მისი შეგნების სისტემის პრინციპიალი საძირკვლები—მისი კონცეპცია.

ხშირად კრიტიკული წერილი ავტორის მიერ ყოველივე ამის უქონლობის დამამტკიცებელი საბულია. მისი იდეოლოგიურ ქაოტიურობის ილუსტრაციაა.

ერთი სიტყვით, კრიტიკულ ნაშრომში ისე, როგორც ყოველგვარ ლიტერატურულ, თუ სხვა ფაქტში, ცოტათ თუ ბევრად ავტორის სახე სჩანს, თუნდაც რომ ის თეორეტიკოსობაზე სრულიად არ აცხადებდეს პრეტენზიებს.

უკანასკნელი ხანები, ყოველ დარგში დადებით მეცნიერებისაკენ განსაკუთრებული სწრაფვით ხასიათდება. შეიძლება საკითხის მობრუნებული დაყენებაც — მეცნიერება ცხოვრების ყოველ დარგში იქრება თავის ძლევამოსილობით და სწორეთ ეს არის მიზეზი თანდროულ მიღწევების, აღმოჩენების და კაცობრიობის გიგანტიურ ნაბიჯით წინსკვლისა.

ეს იწვევს ცხოვრების გეომეტრიულ პროგრესით სტრუქტურას, უფრო და უფრო მიზანშეწონილ, კონსტრუქტიულ ფორმებისაკენ. ამიტომაც საერთო ტენდენციაა—საკითხის მეცნიერული დასმა.

განსაკუთრებული სიბეჭითით მოითხოვს ამას თავის იდეოლოგით (მარქსიზმი-ლენინიზმი), ცხოვრების არენაზე ახლად გამოსული, როგორც მისი მესვეური, ხოლო საერთოდ თავის ბუნებით ერთად-ერთი პროგრესიული კლასი საზოგადოებისა—პროლეტარიატი.

ასე უდგება ცხოვრების ყოველ დარგს თუ მხარეს, პროლეტა-
რიატის ავანგარდი — კომუნისტური პარტიაც.

მაგალითისათვის: ამხ. სტალინი სვერდლოვის სახელობის უნი-
ვერსიტეტის სტუდენტების შეკითხვაზე — „მუშარ-გლეხური მთავრობა
ფაქტიურად — თუ როგორც საავტაციო ლოზუნგი“, — უპასუხებს:

„გამოდის, რომ თითქოს პარტიას შეეძლოს ისეთი ლოზუნგების
გამოსწოლა, რომლებსაც არა აქვს და არც შეიძლება ქონდეს მეცნი-
ერული დასაბუთება. მართალია ეს? რა თქმა უნდა არა. ასეთი პარ-
ტია იმის ლირსი იქნებოდა, რომ ცოტა ხნის არსებობის შემდეგ
გამჭრალიყო, როგორც საპნის ბუშტი. ჩვენი პარტია მაშინ პროლე-
ტარიატის პარტია კი არ იქნებოდა, რომელიც მეცნიერულ პოლი-
ტიკას აწარმოებს, არამედ ის ცარიელი, უბრალო ქაფი იქნებოდა
პოლიტიკურ მოვლენათა ზედაპირზე“.

(ხაზი ჩემია — ლ. ე.)

ამრიგად, ცხადია რომ პროლეტარულ იდეოლოგიის მატარე-
ბელი თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ხელოვნების ყოველ დარგის
საკითხებსაც მეცნიერულად უნდა მიუდგეს. მკვლევარის, კრიტიკო-
სის მიღვომის ძირეული პრინციპები დიალექტიკურ-მატერიალიზმი
უნდა გადიოდეს. ყოველ შემთხვევაში, მისი შეხედულებათა კომპ-
ლექსი ყოველ სფეროში იმდენად იქნება თანდროული და მეცნიე-
რული, რამდენადაც ის გამომდინარეობს მარქსისტულ-მატერიალისტუ-
რი მსოფლგაგებიდან. ხოლო რამდენადაც ის მოწყვეტილია ასეთს,
იმდენადვე დაშორებული იქნება ყოველგვარ დადებით მეცნიერებას
საბოლოო ანგარიშით.

კველაზე უფრო დაუმუშავებელ, შიშველ ფრონტს ამ მხრივ
ჩვენთვის წარმოადგენს ხელოვნება, კერძოთ მხატვრული ლიტე-
რატურა.

თუმცა ძირეულ საკითხებში საკმაო მარქსისტული ფორმულე-
ბიც მოგვეპოვება სახელმძღვანელოდ; საერთოდ საორიენტაციო ლა-
ტანები (ვეხ) არის.

სიძნელე კონკრეტ სინამდვილესთან შეფარდებაში მდგო-
მარებს.

ამიტომ აქ არის მრავალი გაუგებრობები.

მთავარი: ზოგიერთ „მარქსისტების მიერ ხელოვნების საკითხე-
ბის იდეალისტური „ცოხნა“.

რომლებიც გარკვეულ მეთოდის (პრინციპების სისტემის) უქონ-
ლობის გამო ერთნაირად ამართლებენ და უარყოფებ ყოველ ლიტე-
რატურულ მიმართულებას, თუ ლიტფაქტს.

საგანთან მათ მიერ დადებითი თუ უარყოფითი მიღვომა
ალბად პირად განწყობილებაზეა დამოკიდებული. ჩვენ კი გვჯერა,
რომ საკითხის ყოველგვარი იდეალისტური მიღვომა თუ „გადაჭრა“,
მეცნიერული არ შეიძლება იყოს საბოლაო ანგარიშით. მხედველო-
ბაში ვიღებთ იდეალისტურ აზროვნების „უკანასკნელ სიტყვა-
საც“ კი.

სწორეთ აქ არის პარტიის რეზოლუციის უაღრესი სისწორე,
როდესაც ის აღნიშნავს და მიუთითებს პროლეტარულ იდეოლოგიის
მატარებელ ლიტერატურულ კრიტიკოსებს და თეორეტიკოსებს მხა-
ტვრულ ლიტერატურაში დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდით
მისვლას და გარკვეულ მარქსისტულ-ლენინისტური პოზიციების
შექმნას, რაიც იქნება ამ სფეროში პროლეტარიატის ოქტომბრიულ
გამარჯვების უტყუარი საბუთი და წინამდლვარი.

მეორეს მხრივ დიალექტიურ-მატერიალიზმის რომელიმე დარგში
შექმნა, თვით ამ დარგის ვიწრო, სპეციფიურ პროგრესის თვალსაზრი-
სითაც, მისი სტატიკურ მდგომარეობიდან წინდაძვრის და შეუწყვე-
ტელი განვითარების მომასწავებელია.

აქ, დასამტკიცებლად მრავალი დამარტინებელი მაგალითების
მოყვანა შეიძლებოდა. თუნდაც იმავე რეზოლუციაში მოხსენებული
დარგების (ბიოლოგია, ფსიქოლოგია და საერთოდ ბუნებისმეტყვე-
ლების მეცნიერებათა, სოციოლოგიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია)
გრანდიოზული წინსვლა და დადებითი შედეგები (რეფლექსოლოგია)
იმის შემდეგ, რაც დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდი იქნა
გამოყენებული ხსენებულ დარგების კვლევაში. მაშასადამე თვით ამ
დარგების განვითარების ინტერესები მოითხოვს, საკითხის მარქსის-
ტულ-ლენინისტური, ე. ი. მეცნიერული მსოფლ-გაგებით დასმის,
რაიც წარმოუდგენელია დიალექტურ-მატერიალისტური მეთოდის
გარეშე. ამიტომაც პროლეტარულ ლიტერატურის თეორეტიკოსი და
კრიტიკოსისათვის აუცილებელი პირობაა: თავის მოლიანი შეგნების,
ლიტერატურულ კონცეპციის — ხსენებულ მეთოდის საფუძვლებზე
აგება.

უამისოდ არც თეორია და არც კრიტიკა მეცნიერული და
მაშასადამე პროლეტარიატისათვის მისაღები, არ იქნება.

უკეთეს შემთხვევაში ის მხოლოდ ეკლეკტიური „პოხლიობება“
ან კადევ რეაციონური „ჩაბნელება“ იქნება, მიუხედავად ყოველ-
გვარი ავტორიტეტიან მარქსისტთა ნაშრომიდან „დათრეულ“ ციტა-
ტებით „შემკობა—გამშვენიერებისა“.

ესა თუ ის საკითხი იმიტომ იწვევს გამძაფრებულ მსჯელობას, რომ ის მართლა ბნელია; ხოლო დანარჩენ 99 შემთხვევაში ის ბნელი ხდება იმიტომ, რომ მასზე გამძაფრებით მსჯელობენ“ (ე. პოე).

ძევლი კრიტიკა ვერ აქმაყოფილებდა თანდროულ მოთხოვნილებებს. ძევლი კრიტიკის მეთოდები ვერ უდგებოდა მთელ რიგ ახალ ლიტერატურულ შეკლებს და ფაქტებს (კუბიზმი, ფუტურიზმი, იმაზენიზმი, ექსპრესიონიზმი, დაღაიზმი, კონსტრუქტივიზმი).

მთელი რიგი მხატვრული მიმართულებებისა გარეთ დარჩა, მიუდგომელი შეიქნა ძევლი კრიტიკისათვის. ეს იმიტომ რომ ძევლი მეთოდოლოგიური ხერხები და კელვეის იარაღი ძლიერ ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

ამიტომაც მათთვის ერთ-ერთი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან ამ ახალ მიმართულებათა ხელალებით უარყოფა შეიქნა.

ძევლი კრიტიკის „ხსნა“ მხოლოდ ამ ახალი ფაქტების „კანონს გარეშე“ გამოცხადებაში იყო.

უკეთეს შემთხვევაში ძევლი კრიტიკა მხატვრული ფრაზებით, ათას გვარი ფრთხოსან კალამშურებით და „ასტრალი სახეებით, მახვილობდა ხელოვნური ნაწარმოების შესახებ („იმპრესიონისტული კრიტიკა“). ის ფაქტთან ყოველგვარი აშეარა და პრინციპიალურ-მეცნიერულ მისვლას მოქლებული, თითონ იყო მხატვრული ნაწარმოები. მაშასადამე თითონ ითხოვდა კვლევას, კრიტიკას. ცხადია კრიტიკის ასეთი „მეთოდები“ ვერ დააქმაყოფილებდა თავის დანიშნულებას; თითონ ვერ იტანდა ვერავითარ კრიტიკას და განწირული იყო სასიკედილოდ.

ე.წ. რეალისტური კრიტიკა გადაქცეულ იყო „ლიტერატურულ გენერლების“ ბიოგრაფიად. ავტორის ცხოვრების აღწერით ამოიწურებოდა; შემოქმედებითი ფაქტები და მათი განვითარების კანონების შესწავლას კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა; მისი უპირველესი დანიშნულება გვერდზე ჩრებოდა, ან კიდევ მეორე ხარისხოვანი საკითხი იყო.

ამ რიგად საჭირო შეიქმნა ხელოვნების კვლევის ახალი შეთოდი.

ამას ყველა მიმართულებები გრძნობდა.

მარქსისტებს გარდა ხელოვნების, კერძოთ ლიტერატურულ კრიტიკის პრინციპების გადაფასების და მისი მეცნიერულ გზაზე გამოყვანისათვის გამოვიდენ ე. წ. ფორმალისტები.

მეცნიერების და ხელოვნების დაახლოვების აუკილებლობაზე ჯერ კიდევ ჰეგელიანობის დროს მარქსი სწერდა თავის მამას:

„მე დავწერ დიალოგი 24 ფურცელზე... აქ მე რამდენიმედ ვაერთიანებდი ხელოვნებას და მეცნიერებას, რომლებიც სავსებით დაშორებულია ერთი მეორს...“

სამწუხაროდ, მარქსის მარქსისტობის დროს ეს საკითხი დეტალურად არ დაუმუშავებია. მაგრამ მის ნაშრომებში საკმაოდ არის საფუძვლები იმისა, რომ ხელოვნება და მეცნიერება დღეს-დღეობით ერთი მეორისაგან დაშორებული — არა ნორმალური მდგომარეობაა.

რომ მარქსისტისათვის ხელოვნების დარგში უპირველესი ამოცანა — ფაკტების და მათი განვითარების (ისტორიის) მეცნიერულად ახსნა განმარტება და შესწავლა.

თავის თავიდ ცხადია, რომ მარქსის ზემოხსენებული „გაერთიანების“ დროს კომპრომისებზე დადგებითი მეცნიერება ვერ წავიდოდა. შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნების კაპიტულიაცია მეცნიერების წინაშე მისი არა მეცნიერულ მხარეების უარყოფით. ამით მე მინდა ვსთქვა, რომ ზემეცნიერულზე და ქვემცნობიერ მეტადესტრიზმს და მხატვრულ ლიტერატურას პროლეტიარული იდეოლოგია ვერ მოიტევს.

პროლეტიარული „ესტეტიური კულტურა“ მეცნიერული დასაბუთების გარეშე და დიალექტიურ-მატერიალისტური მხედველობის იქთ — გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. დოგმატიურ ესტეტიზმს მარქსისტულ მსოფლგაების მატარებელი კლასი ბურжуაზიული მხრებიდან, ძირეულად, გადაუფასებლად და რეაქციონურ ელემტებისაგან დაუსუფთავებლად ვერ მიღებს.

ფორმალისტებმა ხელახლა დასვეს ხელოვნების რაობის საკითხი და სწორეთ, ამის პასუხშე აეგო მთელი ფორმალური მეთოდის სისტემა (თეორეტიული და ისტორიული პოეტიკა).

ეს სისტემა მით არის საინტერესო, რომ მას არც ერთი ლიტერატურული მოვლენა არ ჩეხბა კრიტიკის და კვლევის გარეთ. განსხვავებით ძველი კრიტიკისა, ფორმალისტებმა ყოველგვარი ლიტერატურული მიმართულებები, ხელოვნების განვითარების მთლიან ჯაჭვი მოაქციეს. ხოლო ამ მიმართულებათა შემოქმედებითი ცალკე ფაქტებს თანდათანობითი ურთი-ერთ დამოკიდებულების, სპეციფიური კანონები მოუნახეს. თუმცა ისინი კვლევის დროს შინაგან ლიტერატურულ არედან არ გამოდიან.

მათ მიერ გადაფასების და ხელახალი განხილვის შემდეგ ძე-

ლმა ლიტერატურლმა ფაკტებმაც კი სრულიად ახალი და უფრო
ნათელი სახე მიიღო.

ლიტერატურულ ფაკტებს და მათ განვითარების, ფორმალისტები
იკვლევენ მხოლოდ ლიტერატურულ იმანენტური, ვიწრო, სპეციფი-
კურ კანონების მიხედვით, დამოკიდებლად ყოველგვარი სოციალ-
ეკონომიური სარჩევისა; გამოკიდებით: უირჩუნსკი, ტომაშევსკი და
ო. ვალცევისა—ყოველგვარ იდეოლოგიურ, ფილოსოფიურ, რელი-
გიურ, უფლებრივ და სხვ. გარემოების დამოკიდებულებათა გარეშე.
დასახელებული ავტორები კი ნაწილობრივ სცნობენ „საზოგადოე-
ბრივ აზრის“ ზედავლენას ლიტერატურაზე; რა თქმა უნდა ამ უკა-
ნასკნელის კონკრეტ საფუძლებიდან მოწყვეტით.

ჩვენთვის, მარქსისტებისათვის ასეთ ვიწრო ფარგლებში ახსნა
ლიტერატურულ ფაკტების და მისი განვითარების მისალები და
დამაკმაყოფილებელი, რა თქმა უნდა არ არის.

ეს აღნიშნა ამხ. ბუხარინშა თავის საბასუხო სიტყვაში ბ. ეიხენ-
ბაუმის*) მოხსენების გარეშემო ისტორიული (მორფოლოგია) პოე-
ტიკის შესახებ. ამხ. ბუხარინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ თუმცა
მარქსისტული შეგნება ვერ დაკმაყოფილდება ლიტერატურულ კრი-
ტიკის ასეთ ვიწრო დერეფანში (კარილო—მისი თქმა) მომწყვდე-
ვით, მაგრამ მას შეუძლუა გამოიყენოს ფორმალიზმის ანალიტიური
ძიების ხერხები და მიღწევები. რაც შეეხება მეთოდის სინთეზიურ
მხარეს, აქ კი ჩვენ უფრო ფართო გაშუქებას მოვითხოვთ.

მარქსისტული მეთოდი ითხოვს ლიტერატურის ისტორიის და
ცალკე ფაქტების ყოველ მხრივ შესწავლას დამოკიდებით გარესენტე-
ლის ყოველმხრივობასთან. ხშირად სოციალ-ეკონომიურ საფუძვლისა
და მისი ზედნაშენის ურთიერთობის სქოლასტიურად გამეცენი, სრუ-
ლიად არ იღებენ მხედველობაში ლიტერატურის განვითარების სპე-
ციფიურ თვისებებს. ამა თუ იმ დარგის ერთი ისტორიული ფაქტის
მეორესთან ურთიერთობას და აქედან გამომდინრარე კანონებს. კანონებს.
ისინი ყოველ ფაქტის მხოლოდ ეკონომიურ საფუძვლის ძიებით კმა-
ყოფილდებიან, ხოლო ამა თუ იმ ზედნაშენის დამოკიდებულება
მისი წინა ფაკტთან ავიწყდებათ, ან კიდევ სრულიად უარყოფენ.

ასეთი შეხედულების საწინააღმდეგოთ: მაგალითად ავიღოთ
თეთი მარქსიზმი. ის სოციალ-ეკონომიური განვითარების გარეშემული
სტადიის ზედნაშენია.

*) უკიდურესი ფორმალისტი, მორფოლოგის ავტორი, რომელიც უარ-
ჰყოფს ლიტერატურის განვითარების ყოველგვარ დამოკიდებულებას სხვა იდეო-
ლოგიურ და მატერიალურ გარესკნელთან.

მაგრამ ამავე დროს: „მარქსიზმი არის გაგრძელება და გენია-ლური დასრულება მე-XIX საუკუნის სამი უმთავრესი იდეურ მიმ-დინარეულებისა, რომლებიც კაცობრიობის სამ უაღრესად მოწინავე ქვეყნებს ეკუთვნოდა: გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიისა, ინგლი-სურ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიისა და ფრანგული სოცია-ლიზმის“ სწერს ლენინი (Ленин „Карл Маркс“).

ამ რიგად იდეოლოგიურ ზედნაშენს თავისი სპეციფიური გან-ვითარების კანონებიც აქვს.

ფორმალისტები კი სწორედ წინააღმდეგ — ამ სპეციფიურ (მორ-ფოლოგიურ) ურთიერთობით კმაყოფილდებიან და იღებენ ლიტერა-ტურის და საერთოდ ხელოვნების განვითარებას მხოლოდ მის იმა-ნენტურ კანონების მიხედვით.

რა თქმა უნდა არც ერთი და არც მეორე მარქსისტულ-მატე-რალისტური საზრისით აღნიშვნული სახით მისაღები არ არის.

რატომ მოითხოვს მარქსისტული კრიტიკა ამა თუ იმ ფაქტის სოციალ-ეკონომიური საფუძვლების გამორკვევას?

ჩვენ ვიცით, რომ ეპოქის რომელიმე ლიტერატურული გაბა-ტონებული მიმართულება ამოსწურავს რა თავის განვითარების შე-საძლებლობებს (ფორმალიზმის ენით — ავტომატიზაციის გამო) მისი მასაზრდოვებელი სოციალ-ეკონომიური წყაროების გამოფიტვით, მისი მოთხოვნილება და მომხმარებელზე ემოციონალური ზედმოქმე-დების ძალა იკარგება! ამ ნიადაგზე ჩნდებიან მრავალი ახალი ლი-ტერატურული მიმართულებები. ფორმალისტური საზრისით — გაუც-ხოვებული (იცვანენს) ფაქტები.

მაგრამ საქმე სწორეთ იმაშია რომ სოციალ-ეკონომიური სა-ფუძვლის თავისებურობის მიხედვით, ხდება მათი „ბუნებრივი შერ-ჩევა“ და ყველა მათგანში ძლიერდება და ღებულობს სასრულობლო, არსებობის საშვალებას (აუდიტორიას), ურომლისოდაც მას არსებობა არ შეუძლია, — ძხოლოთ ისეთები (გაუცხოვებული ფაქტები), რომლე-ბიც აქმაყოფილებენ გარკვეულ სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის თავისებურობით შექმნილ აუდიტორიის ფსიქიურ განწყობილებებს. დანარჩენი მიმართულებების ემბრიონალური საწყისები დავიწყებას ეძლევიან.

აქედან:

დლევანდელ, არსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა შო-რის, როგორც მიმდინარე ეპოქის „სტილის“, გამომსახველი დარჩება ისეთი მიმართულება, რომელიც დაკმაყოფილებს თანამედროვე სო-ციალ-ეკონომიური გარესკნელის თავისებურობებს.

მაგრამ ამავე დროს ეპოქის მოთხოვნილებები განიყოფება უმ-
თავრესად ორ მოწინააღმდეგე ხასიათის მოთხოვნილებათ, ისევე რო-
გორც ყოველი ხანა.

ერთი—ძველი, რეაქციონური.

მეორე—ახალი, რევოლუციონური-პროგრესიული.

მათი საფუძვლები: დღეს—ერთის მხრივ ეკონომიური მდგომა-
რეობის ბურუუზიული ელემენტები; მეორეს მხრივ ეკონომიურ მდო-
მარეობის სოციალისტური ელემენტები.

ვისაც არ სჯერა ჩეენი სოციალისტური მშენებლობა და მისი
უტყუარი გამარჯვება—ის პირველის ორიენტატორია. ვინც ხვდება
პროგრესის (მინიმუმ) რეინის კანონებს—მეორეს ემხრობა.

აი რამდენად არის დამოკიდებული სოციალ-ეკონომიური გა-
რემოებასთან ლიტერატურული მიმართულების არსებობა.

გაშასადამე მორთოლოგიურ კვლევის მიხედვით—იმანენტური
კანონებით, ყოველგვარ სოციალ-ეკონომიური და იდეოლოგიურ სა-
ფუძვლის შესწავლას და მასთან კონკრეტულ ურთი-ერთობის გამორ-
კვევის გარეშე აუცილებელია შეცდომა. ან კიდევ კვლევის შედეგები
დამოკიდებული იქნება ფატალურ არჩევანზე. იმის გამორკვევა, თუ
რომელი შეიძლო თანდროულ ლიტერატურულ მიმართულებათა შო-
რის—გაძლებს და შეიქმნება ეპოქის „სტილის“ გამომხატველი მთლი-
ანად ე. ი. ლიტერატურული ჰეგემონი,—ფორმალური მეთოდის მი-
ხედვით რამდენადაც დამოკიდებულია „ფატალობასთან“—იმდენად
ის არა მეცნიერულია,

ამიტომაც იმ სახით, როგორც ამას ფორმალიზმის თეორეტი-
კოსები „ასაბუთებენ“ მიუღებელია ჩვენთვის.

აქ შეიძლება ფორმალისტებმა საკითხი ასეც კი დააყენონ, თი-
თქოს ლიტერატურული ახალი (გაუცხოვებული) ფაქტი ქმნიდეს
აუდიტორიას. „საზოგადოებრივი აზრის“ იმანენტიური განვითარება
ქმნიდეს ცხოვრების სტრუქტურას. ეს იგივე იქნება—შეგნება ქმნის
მდგომარეობას და არა მდგომარეობა შეგნებას. ასეთი შეხედულების
საწინააღმდეგო დასაბუთებაა მთელი მარქსიზმი-ლენინიზმი.

ყოველ შემთხვევაში ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლიტერატურა
არ ახდენდეს სრულიად ზედგავლენას საზოგადოების ფსიქიურ გან-
წყობილებაზე.

ფორმალურ მეთოდის მიღება ჩვენ შეგვიძლია მისი დაყირავე-
ბულ მდგომარეობიდან მარქსისტულ-მატერიალისტური იდეოლოგიის
გარკინულ ბეტონის ფეხებზე დაყენებით.
ფორმალურ მეთოდებში მოცემულია ლიტერატურულ ფაკტების დრო-

ში დენის და ურთი-ერთ დამოკიდების კანონები; ლიტერატურის განვითარების თანდათონბითი ცელილებათა პრინციპები. მაგრამ რომ ის გახდეს მეცნიერული (მაშასადამე ჩვენთვის მისაღები), ამომწურავი მეთოდი, ამისათვის საჭიროა მისი „სოციალურ ენაზე“ გადმოყენა, მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგიურ მთლიანობა-ში მოქმედი.

მარქსისტური კრიტიკა ვერ აცდება და არც აცდება ფორმა-ლიზმის მიღწევებს და კვლევის ხერხებს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მან გარდა ამისა ლიტერატურის განვითარების ჯაჭვის ყოველ რგო-ლს სოციალ-ეკონომიური აუცილებელი, მასაზრდოებელი საფუძველი უნდა მოუნახოს. აქედან კი, მისი კლასიური ექვივალენტი.

მხოლოდ ამის შემდეგ წარმოგვიდგენია ჩვენ მარქსისტებს ესა-თუ ის ფაქტი ახსნილად და განმარტებულად.

„რა“ თუ „როგორ“

„ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი უდრის მისი სტი-ლისტიურ ხერხების ჯამს“ (ვ. შელოვსკი)

„ხელოვნებაში მთავარია არა „რა,“ არამედ — „როგორ“ (ვ. კირ-მუნსკი, ო. ვალცელი).

„ხელოვნება როგორც ხერხი“ (ვ. შელოვსკი).

ფორმალისტებს აინტერესებს ლიტერატურული ნაწარმოები იმდენად, რამდენადაც ის მხატვრული სტილისტიურ ხერხების ჯამს წარმოადგენს.

არც მეტი არც ნაკლები.

ლიტერატურული ნაწარმოები იმდენად არის მხატვრული და მაშასადამე მხატვრული კრიტიკის (ფორმალური მეთოდის) კილევის საგანი, რამდენადაც ის ხელოვნურად არის ასრულებული. ე. ი. რამდენადაც ის პოეტურია.

მაგალითისათვის:

„კაკ ყაჩალი“: ბატონი ცემით კლავს ყმას. ყმის ვაჟი კაკო შურს იძიებს ბატონზე და კლავს მას, ამიტომ ის იძულებულია გა-დავარდეს ყაჩალად.

ეს არის პოემის ფაბულა. მაგრამ ეს ფაბულა აღნიშნული სახით მხატვრული ნაწარმოები არ არის. ჯერ ის ჩვეულებრივ საგანზეთო ქრონიკას გავს.

ასეთი ამბები ხშირად ცხადდება გაზეთებში, მაგრამ მათი გან-ხილვა მხატვრულ კრიტიკას არ ევალება.

როდესაც პოეტი იღებს ამ ფაბულას (როგორც მასალას) და მხატვრულად დაამუშავებს მას, განსაკუთრებულ ფორმებში მოქმედს

სიუკეტად გაშლის. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ის მხატვრული ნაწარმოები—პოემა.

ამის შემდეგ იქცევა ის ფორმალური მეთოდის საკლევ რაობად; და არა მარტო ფორმალური მეთოდის—საერთოდ მხატვრული კრიტიკის.

აქედან ხელოვნების თვალსაზრისით აქ მთავარია—თუ როგორ ფორმებშია ის მოქცეული.

თუ ჩვენ აღნიშნავთ:

ხელოვნური ნაწარმოები მთლიანად—A

ფაბულა (და საერთო მასალები)—B

მაშინ, წმინდა ხელოვნება იქნება: A—B=X

ფორმალური მეთოდიც არ შორიდება X-ს ფარგლებს.

ის ფორმა (კონსტრუქცია), რომლის საშუალებითაც ვითვისებთ მხატვრულ ფაკტს—არის ხელოვნება და არა რაიმე ამბავი (ფაბულა, თემა), თუნდაც ადამიანის ძლიერ შემაძრწუნებელი თავის ტრაგიულობით.

ფაბულა (საერთოდ—„რა“) ერთ-ერთი მასალათაგანია ხელოვნური ნაწარმოების. შინაარსი კი ამ „სტილისტიკურ ხერხების ჯამით“—ხელოვნურ ნაწარმოებით აუდიტორიაში ჩამოწვეულ ემთკის მიზანმიმართებაა.

მაგრამ ფორმალური მეთოდი ხელოვნების გარეთ არ გამოდის და ამიტომ არ სთვლის თავის ამოცანად ამ შინაარსის განხილვა—კრიტიკას.

ფორმალური მეთოდისათვის ის არ არსებობს. ასეთი საზრისით ხელოვნების კლასიურობაზე ლაპარაკი ისევე შეუძლებელია, როგორც მათემატიკაზე და სხვ. დადგებით მეცნიერებაზე.

ჩვენ კი გვევნია, რომ კლასიური საზრისით ხელოვნებასთან მისასვლელ გზების მოხსნა საბოლოო ანგარიშით, მაინც არის ვიწრო კლასიური მისვლა საგანთან. მიუხედავად ავტორების ყოველგვარი კეთილი სურვილებისა ის მაინც ბურუუაზიულ იდეოლოგიის კლასიური პირმშოთა. ზემოთ მოყვანილ პირველ შემთხვევაში გვაქვს „კაკო ყაჩალი“—ამბავი.

მეორე შემთხვევაში „კაკო ყაჩალი“—პოემა.

პირველ შემთხვევაში „კაკო ყაჩალის“ ამბავს ხელოვნებასთან არა-ფერი საერთო არა აქვს. მეორე შემთხვევაში ის ხელოვნური ნაწარმოებია. მხატვრულ კრიტიკისათვის სწორეთ ის მომენტია (ის ხერხია) საინტერესო, რომელმაც ის მხატვრულ ნაწარმოებად აქცია.

აქედან ხელოვნება მხოლოდ ხერხია.

„ხელოვნება არის ნივთის (მხატვრული ნაწარმოების—ლე) კუთების განცდის საშუალება (მომხმარებლისათვის—ლე), ხოლო გაკეთებული ხელოვნებაში არაფერია (ჩევაჯი)“ სწერს ვ. შელოვასკი. ხერხების ანალიზში შელოვასკი მიიყვნა იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნური ნაწარმოები არის მისი (ნაწარმოების) კეთების პროცესის განსაცდელი აპარატი მომხმარებლისათვის.

წიგნის კითხვის დაწყებით, თქვენ იწყებთ მის კეთების განცდის და ათავებთ კითხვის დასრულებით.

ხელოვანი კი აშენებს ამ „აპარატს“ (ამ შემთხვევაში წიგნს) ისე, რომ მკითხველმა რაც-შეიძლება უცხო, ახალ ფორმებში და დიდხანს (არა მომაბეზრებლად) გაგრძელდეს მისი კეთების, განცდის პროცესი.

განცდის პროცესი „თვით მიზნობრივია“ — ამბობს შელოვასკი. ასეთი ვიწრო ხელოვნების თვალსაზრისით, ესა თუ ის ემოცია, ამა თუ იმ განცდის გამოწვევა შეიძლება თვითმიზნობრივი იყოს, ვინაიდან ის (თვალსაზრისი) ცხოვრებიდან სრულ იზოლიაციაშია. ყოველ შემთხვევაში ფორმალისტები ცდილობენ, რომ ეს ასე იყოს.

მაგრამ რამდენადაც მომხმარებელი (მკითხველი), რომლებზე-დაც ის ახდენს გავლენას და იწვევს გარკვეულ კატეგორიის ემო-ციას, მხოლოდ ხელოვნურ ნაწარმოების შეგრძნობისათვის გაჩენილი არსება არ არის და სინამდვილის კონკრეტ თავისებურობებში მცხოვრები სოციალური არსებაა, ხოლო ამიტომ მას განაგებს ბრძო-ლა ასრულებს გარკვეულ მიზანმიმართულების ფუნქციებს. ეს სწორეთ ასე ხდებოდა და ხდება ამ უამაღაც.

უპარტიო ემოცია არ არის.

ამ რიგად კრიტიკა დგება ხსენებულ ექიუითა, მიზანმიმართების მიხედვით კლასიფიკაციის წინ. არის ისეთი ემოციონალური გან-წყობილებების შემქმნელი ხელოვნური ფაქტები, რომლებიც ადა-მიანს ხასიათს უფუქებს, აღნებს, სასოწარკვეთილებაში აგდებს. სა-ერთო მიზნებისაგან უკუ აქცევს. ეს მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში.

ერთი სიტყვით ხელს უწყობს მისი ფსიხიკის უარყოფითად ყა-ლიბობას.

ერთის მხრივ: „სახალხო თეატრის (საერთო ხელოვნება—ლე) პირველი თვისებაა: იგი უნდა იყოს დასკვნების აღგილი. თეატრი დღიურ შრომით დაქანცულ მუშებისათვის ფიზიკური და მორა-ლური დასვენების აღგილი უნდა იყოს. თეატრი უნდა იყოს ენერ-გიის წყაროც. იგი უნდა ერიდებოდეს ყველაფერს, რაც სულს კუმ-

შავს და ავიწროვებს, თეატრი გონიერი და სულიერ განვითარებას უნდა ემახსოვრებოდეს“ (რომენ როლანი).

ყოველივე ამისათვის გარკვეული მიზანმიმართების ემოციაა საჭირო და არა ანარხო-თვითმიზნობრივი.

„პოეტის განვითარებაში დადგა ახალი ეტაპი. ავტორმა უნდა ისწავლოს თავისი ასოციაციების ანგარიშის გაწევა“ (ადალისი).

მეორე მხრივ ჩენ ვიცით, რომ რამდენადაც ხელოვნება, ძალით თუ ნებით, ბურუუაზიულ კლასიურობისაგან ემანსიპაციას პოულობს, —იმდენად ის სოციალურ-უტილიტარული კათეგორია ხდება.

ხელოვანთა კაღრები, ბურუუაზიულ კლასიურ მოთხოვნილებათა სამსახურს შორდება და ჯერ (დან-მდე) პროლეტარულ კლასიური არიენტაციით, საკაცობრიო მიზნის „ცხოვრების შენებლობაში“ ებმება.

აქედან ხელოვნების კვლევის გარკვეული პრინციპიალი საფუძვლები იბადება. ეს პრინციპები უნდა ექსოვოდეს მთლიან იდეოლოგიას.

ამით მე მინდა ვთქვა, რომ ვიწრო შინა-ხელოვნების თეალ-სახრით მთავარია „როგორ“ (—თვით ხელოვნება—ფორმა) ხოლო მთლიან მსოფლმხედველობის საზრისით კი უპირველესია შინარხი ზემოაღნიშნული გაგებით—დანიშნულება.

დანიშნულება განსაზღვრავს, ფორმას („როგორ“-ს), ხოლო შინარხი,—ყოველი ფორმის ფუნქციაა.

ასეთი ფორმულით შეიძლება მისვლა როგორც პაეროპლანთან, ისე რომანთანაც.

აქ იწყება შიშველი სიტყვიდან კონკრეტ მასალებზე გადასვლა.

1. 7. 26

ტფილისი.

ლიტერატურის მეცნიერების მეთოდი

მეცნიერების თვითეული დარგი თავის პირველ ამოცანად განსაზღვრული სფეროს ფაქტების და მოვლენების შესწავლას, დაგროვებას და სისტემატიზაციას ისახავს. მაგრამ თვითეულ მეცნიერებას, თუ კი ის მართლაც მეცნიერებაა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ევალება არ დაკმაყოფილდეს დაგროვილი ფაქტების და მოვლენების მხოლოდ და მხოლოდ აღწერით. განსაზღვრული ჯგუფის მოვლენების და ფაქტების უფრო სრულად შესასწავლად, მათი სწორი სისტემატიზაციისათვის, აუცილებელია მეცნიერებამ გამოარკვიოს მათი ურთიერთ კავშირი, თვითეული მოვლენის ადგილი სხვა მოვლენათა შორის, ასენას თვითეული ცალკე ფაქტი სხვა ფაქტის დახმარებით. ამიტომ მეცნიერება არ კვევს თვითეულ შესასწავლ მოვლენას შორის განსაზღვრულ მუდმივ კავშირს, კანონებს, რომელიც გამატონებულია ხსენებულ სფეროში. კანონთშესაბამობის შორის, რომელიც აღმოჩენილია ამა თუ იმ სფეროში, ზოგიერთს შეიძლება ჰქონდეს საერთო ხასიათი. გამომდინარე თვითეული ცალკე სფეროსათვის ამ უფრო საერთო, ძირითადი კანონებისაგან; ყოველი მეცნიერება აწესებს უურო სპეციალ კანონებს, მეთოდს, რომლის დახმარებითაც ხდება ფაქტების შემდეგი დაგროვება და შესწავლა ასეთი სპეციალისტური მეთოდის დაწესება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს თვითეული მეცნიერული დისკიპლინისათვის „უმეთოდოდ არ არის სისტემა, უსისტემოდ არ არის მეცნიერება“ — ამბობდა ჯერ კიდევ ჰეგალ.

ლიტერატურათ მეტყველება — საზოგადოებრივი მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ მხარეს. მისი ძირითადი ამოცანაა, — როგორც მეცნიერების ყველა დარგის — ასენას მოცემული მოვლენა და გაითვალისწინოს მისი შემდგომი განვითარება. ამიტომ ლიტერატურათ მეტყველებასაც, ლიტერატურის მეცნიერებასაც ესაჭიროება თავისი კვლევა-ძიების გზა-მეთოდი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძნელია ვნახოთ მიმართულება-თა იმდენი სხვა და სხვა გვარობა, როგორც ეს არის ლიტერატურის მეცნიერების სფეროში.

ჩვეულებრივად, ყოველი მეთოდოლოგი, აცხადებს რა პრეტენზიებს მეცნიერულბაზე ლიტერატურის ობიექტის შესწავლის საქმეში, უდგება ლიტერატურის რომელიმე ერთი საზომით (სთვლის რა სწორედ ამას ლიტერატურის „სპეციფიკათ“).

ერთი ჭიქრობენ, რომ ლიტერატურა ეს არის ფორმალურ ხერხების შეჯამება, და ამიტომ იწყებენ ბერითი ინსტრუმენტი-როგორის, ასონანსების, დისონანსების, რიტმის, გაუცნაურების და სიუჟეტის გაშლის ხერხის შესწავლას.

მეორენი აცხადებენ, რომ ლიტერატურა ეს უანრების ჯამია, და იკვლევენ რომანის, დრამის, ნოველის და ლირიკის ისტორიას.

მესამენი ლიტერატურაში ხედავენ გამოხატულებას ისტორიაში განუშეორებელ შემოქმედებითი ინდივიდუალობას. ავტორის ფსიქიკას, და სწავლობენ ლიტერატურას, როგორც შეჯამებას გამოჩენილ აღამიანების მსოფლ-მხედველობის და მსოფლ-შეგრძნობის.

მეოთხენი ლიტერატურულ ნაწარმოებს სთვლიან ინფერნაციონალურად და სწავლობენ მას, როგორც პროდუქტს ერთი ხალხის მეორენე იდეოლოგიურ და ფორმალურ—ენითი ზეგავლენას.

მესუთენი ლიტერატურის ისტორიის ძეგლებში ხედავენ მთელ რიგ ლიტერატურულ სკოლების ცვალებადობას, რომლებიც განს-ზღვრულ დროის შემდეგ კალავ მეორდებიან (კლასიკიზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, ნატურალიზმი, ნეოკლასიკიზმი, ნეორომანტიზმი, ნეორეალიზმი, ნეონატურალიზმი და ასე შეძღვომ).

ამ ნამდვილი ქაოტიური სურათი ლიტერატურის მეცნიერებისა). ყველაფერი ეს იმას გვიმტეკიცებს, რომ მეცნიერული აღმშენებლობა ლიტერატურის მეთოდოლოგიის სფეროში მიხვეულ-მოხვეული გზებით, ზიგზაგებით და ზოგჯერ მეტად სახითათ გზებით მიმდინარეობს.

უკვე ეს მდგომარეობა ჩვენს წინაშე სკამს საკითხს, მოენახოთ სად არის კეშმარიტება. „ლოლიკას შეუძლებლათ მიაჩნია იცნოს მეცნიერულად ღირებული ის მსჯელობები, აზრები, რომლებიც ერთის მხრივ დამოკიდებულია ავტორის განწყობილებაზე და მეორეს მხრივ

1) მიითხვე ფესტ ალბათ გაუკვირდებათ, რომ მე არ მყავს მოხსენებული ამა თუ იმ მეთოდოლოგიის წარმომადგენელი, შრომები, ციტატები და სხვა, მაგრამ რა უყოფა! ამ წერილის ავტორს სრულიად არ ჰქონია მხედველობაში მოეცა სრული ნარკოზი ყველა თვალსაზრისის ლიტერატურის მეცნიერებაში. აღნიშვნავთ ზოგიერთი მომებს. რომლებიც ეხებიან სხვა და სხვა მეთოდებს ლიტერატურის ისტორიაში: В. Перетц—„Краткий очерк методологии истории русской литературы“, А. Евлахов „Введение в философию художественного творчества“ т. I, II и III.

ტ—ნებას გვაძლევს ერთ და იმავე ფაქტზე ვამტკიცოდ ერთმანეთის
საწინააღმდევო“ (პეტეტცი).

ამასთანავე არ შეიძლება დავიკიწყოთ, რომ საკითხი ლიტერა-
ტურის მეთოდოლოგიის შესახებ დღეს მეტად მკვეთრად სდგას იმი-
ტომაც, რომ მეთოდოლოგია ბოლოს და ბოლოს არის „მსოფლიშე-
დველობა“, ხოლო ჩვენი დრო კი წარმოადგენს სწორედ ასეთ მსო-
ფლმხედველობათა ბრძოლის და შეჯახების ასპარეზს.

ყოველივე ამის გამო, ჩვენი აზრით მეტად საჭირო და დროუ-
ლია შევეხოთ ლიტერატურის მეცნიერების, ლიტერატურის მეთო-
დოლოგიის საკითხს.

* * *

ამგვარათ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტერატურის მეცნიე-
რების მეთოდოლოგიის სფეროში დიდი არეა-დარევაა გამეფებული.
ამ საერთო მდგომარეობის რეალშია მოქცეული ჩვენი ლიტერატუ-
რის მეცნიერების მეთოდოლოგებიც. საილიუსტრაციოდ შევეხებით
მხოლოდ ერთ მეთოდოლოგს, სახელდობრ ვ. კოტეტიშვილს. მან თა-
ვისი „მეთოდი“ გაგვაცნო შრომაში: „ქართულ ლიტერატურის ის-
ტორია“ (1 ნაწილი).

უდავოა, რომ ლიტერატურის მეთოდოლოგიის პრობლემები მე-
ტად როული და დაუმუშავებელია, მას ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყა-
ლიბებული თავის ამოცანების და მეთოდის სისტემატიკური კლასიფი-
კაცია. ამას ვრძნობს ვ. კოტეტიშვილიც. ის სწერს: „დიდი სიფრთ-
ხილით აღვძარით ისეთი საკითხები, რომ. მაგალითად... ლიტერატუ-
რის მეცნიერების მეთოდოლოგიური მხარე... (გვ. VI). მაგრამ ეს
არაფერი. აქ ისეთივე მობოლიშებაა, როგორიც სჩევეგიათ ჩვეულე-
ბრივად აკადემიური შრომების ავტორებს. გავუვთ ქვევით.“

როგორ ესმის ვ. კოტეტიშვილს მეთოდი? როგორც უბრალო
ტეხნიკური ხერხი თუ მსოფლმხედველობა? ან სხვა რამე, რომელ-
შიაც ხერხი მტკიცებადა შეკავშირებული მსოფლმხედველობასთან?

კამათი ამ საკითხში კოტეტიშვილთან საკმაოდ ძნელია; ძნელია
იმიტომ, რომ მას არ აქვს სწორი კატეგორიული განმარტება, გან-
საზღვრა მეთოდის, როგორც შემცნების მეცნიერული იარაღის,
ხოლო მეცნიერებაში კი ის იმდენათ გაბერილია, რომ თუ მას გან-
საზღვრულ ჩარჩოში არ მოვათავსებთ, თითქმის ყოველთვის არევ-
დარევამდე და წინააღმდეგობებამდე მიგვიყვანს. ამ მდგომარეობას
გვერდი ვერც ვ. კოტეტიშვილმა აუარა. ის ცდილობს გვერდი აუხ-
ვიოს „ფრაციონურ გატაცებას“, ამიტომ მისი აზრით: „ერთი მე-
თოდის ხმარება ცალმხრივობამდე მიგვიყვანს... აქ შეიძლება კი არა

უნდა იხმარებოდეს კველა მეთოდი... რამდენი ახალი მხარეც აღმო-
უჩნდება საგანს, იმდენივე იქნება ახალი მეთოდიც. მეთოდთა სიმ-
რავე არაფერი არ არის, გარდა მეცნიერულ კვლევის მრავალ მხრი-
ვობის... რასაკირველია აქ ერთი მეთოდის შესახებ არ იქნება საუ-
ბარი, რადგანაც ჩვენი კვლევის საგანი—მხატვრული შემოქმედება,—
იმდენათ როგორია და თავისებური, რომ მრავალი მეთოდის ხმა-
რებაა საჭირო ამ ჭირვეულ ქვეყნის დასამორჩილებლათ“ (გვ. 8—9).
შევეცადოთ გავერკვეთ ამ სიტყვებში. აქ ბევრი რამ საერთო ხა-
ზებში, და მშრალად არის ნათქვამი.

ზევით მოყვანილი სიტყვების მიხედვით გამოდის, რომ ვ. ქო-
ტეტიშვილს რამდენიც უნდა იმდენი „მეთოდი“ ჰქონებია მას. მაგ-
რამ ეს დიდი შეცდომაა: მეტად ფართო გავება—მეთოდი. სრულიად
დაუმსახურებლად, უკანონოდ და უსაბუთოდ დაყვანილია ტეხნიკურ
ხერხის გავებამდე. განვმარტოთ ეს მაგალითებით:

როდესაც არქეოლოგი მეცნიერულ გათხრების დროს მოულო-
დნებათ ოღონიშვილის უკნობ ნანგრევებს, მაშინ ის უპირველეს
ყოვლისა ცდილობს საბოლოოთ გასწინდოს თავესი აღმოჩენა,
ჩამოაშოროს მას დაყრილი მიწა და ფერფლი, გაიგოს მისი სიდიდე,
მოახდინოს მისი კლასიფიკაცია და სხვ.—ყველაფერი ეს იქნება სა-
ურადღებო და აუცილებელი მუშაობა, მაგრამ მხოლოდ დამხმარე
და ხელის შემწყობი ძირითადი იმოცანისათვის—აღმოჩენილის და
გაწმენდილის ახსნა-განმარტებისათვის. ეს იქნება მასალის წინასწარი
დამუშავების ხერხი.

ან კიდევ, მეორე მაგალითი: ფიზიკის თავის ცდების მოსახ-
დენათ შეუძლია ლაბორატორიაში იხმაროს რომელი ხერხიც სურს
მას: შეამციროს ან გააძლიეროს, ატმოსფერა, შექმნას უფრო თავის-
უფალი ან შეკუშული მდგომარეობა და სხვა. ყოველივე ეს ლაბო-
რატორული ცდის კანონიერი და გასაგები ხერხი იქნება, მაგრამ
ეს ჯერ კიდევ მეთოდი არ იქნება, მეთოდი კიდევ უფრო შორსაა.

როდესაც იგივე არქეოლოგი ცდილობს გაიგოს მის მიერ აღ-
მოჩენილი ნანგრევების შრიასარსი, გაიგოს მისი მიზეზები, იპოვნოს
ცენტრი და საფუძველი, საიდანაც ის წარმოიშვა, განასხვავოს უმ-
თავრესი მეორე ხარისხოვანისგან, ძირითადი და აუცილებელი შემთ-
ხვევისაგან, მუდმივი დროებითისაგან, ადრინდელი შემდეგ დროინ-
დელისაგან, განსაზღვროს უპირველეს ყოვლისა ძირითადის და
მუდმივის მიზანშეწონილება ე. ი. მისი აღმოცენების მაზეზები მო-
ცემულ ადგილზე და პირობებში და ა. შ. აი მხოლოდ აქ იწყება
მეთოდოლოგიური მომენტი.

როგორც მაგალითი ჩვენ მოვიყვანეთ მეცნიერების ცალკე შემთხვევები, მაგრამ ის დამთხასიათებელია მთლიანად მეცნიერებათა უმეტესობისათვის, კერძოთ ლიტერატურაზე მეტყველებისათვის, ყველა იმ განსხვავებით, რომელიც ახასიათებს მხოლოდ მას (გ. პოსპელიავი).

როგორც ვიცით ლიტერატურაომეტყველებას თავის სმენათ
აქვს უამრავი რაოდენობა პოეტურ ფაქტების, რომლებიც ქრონო-
ლოგიურათ გაფანტულია წარსულში და კვლავ წარმოიშობიან აწ-
მყოში, ან, პირიქით, რომლებიც მოკვდნენ. გარდა ამისა, მას აქვს
თავისი მეცნიერული ამოცანები: ახსნას ლიტერატურული ეკოლიუ-
ციის აზრი წარსულში, რომ გავიგოთ ის თანამედროვეობაში და
გავითვალისწინოთ მისი მომავალი; ნახოს წარსულის პოეტური ფაქ-
ტების ცხოვრების და სიკვდილის მიზეზები, რომ ამით საშვალება
მიეცეს მას გაითვალისწინოს ეს აწყობა ფაქტებისათვის; ამა თუ იმ
მეთოდოლოგიურ ხედვით მან საერთო ლიტერატურულ ტალღებში
უნდა გამოჰყოს ცალ-ცალკე შტოები, რომლისაგანაც ეს ტალღები
შესდგება; ამისათვის კი უნდა შეგვეძლოს გავარჩიოთ უმთავრესი
მოვლენები მეორე ხარისხოვანისაგან, —ძირითადი უსარგებლოსაგან,
აუცილებელი შემთხვევითისაგან. მაგრამ ამავე დროს ეს პროცესი
მოვლენათა გამოყოფისა, მეორე მხრივ წარმოადგენს ფუნქციონალურ
კავშირის გამორჩევების პროცესს. ამ განსხვავებათა და განწესრიგე-
ბათა გარეშე შეუძლებელია მეცნიერულ ამოცანის პირნათლად შეს-
რულება (გ. პოსპელოვი).

ამის შემდეგ მაინც ცხადი იქნება ვ. კოტეტიშვილისათვის
იმის გათვალისწინება თუ რა განსხვავება არსებობს ხერხსა და
მეთოდს შორის. რომ ისინი ერთი და იგივე არ არის.

უდავოა, რომ მეთოდი ბევრ რამეში კვლევის ამოცანებისაგან
და გამოსაკვლევ საგნის ბუნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს და-
მოკიდებულება არის არა აპსლიუტური, არამედ შედარებითი. მაგ.
რომელიმე ქიმიური მოვლენის შესწავლის ხერხი სულ სხვაა, ვინებ
მხატვრული ნაწარმოების ფორმის გამოკევლევის ხერხი. მაგრამ ამავე
დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოვითეული მეცნიერება განყე-
ნებული ცნებებით სარგებლობს, რომლის მოხმარებას გვერდს ვერ
აუხვევს ვერც ერთი მეთოდი, თუ გინდ როგორც ხერხი.
ხოლო ეს სართო განყენებული ცნებები გამომდინარებს მსოფლ-
მხედველობის ძირითად საკითხებიდან. ამ უკანასკნელის გადაწყვეტა
კი დამოკიდებულია მთელ რიგ მოვლენისაგან და ამოცანისაგან,
რომელსაც საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავს საზოგადოებრივი
ყოფა.

ამგვარად ვ. კოტეტიშვილი ჰქადაგებს და ამართლებს პლიურალიზმს. ის თითქოს „ყოველგვარ დოგმის“ „წინააღმდეგია“ მაგრამ ასეთი თვალსაზრისით დღეს შორს ვერავინ წავა. პრობლემა დაარჩება მხოლოდ დასმული და არა გადაჭრილი. აქ სწორედ კოტეტიშვილი იმავე თვალსაზრისზე დგება, რასაც ის სხვას უკიინებს „პირველი ცდა ამ მხრივ (ე. ი. ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევა-ძიებაში. შ. რ.) პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილს ეკუთვნის... მართალია, მის შრომას ნაკლიცა ხდევს, იქ არ არის არც მეთოდოლოგიური მთლიანობა, არც ავტორთა ღრმა ანალიზი და სხვ... გვ. III).

როგორც ცნობილია მეთოდის ვარგისიანობა და მეცნიერულობა პრაქტიკაში ირკვევა. როგორია ამ მხრივ ვ. კოტეტიშვილის „მეთოდის“ მდგომარეობა? ხშირად ვ. კოტეტიშვილი გამოუსვლელ, ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩიხში ვარდება. ერთის მხრივ ის ამტკიცებს განსაზღვრულ დებულებას, ხოლო მეორე შემთხვევაში თითონვე იძულებულია უარყოს თავისი მტკიცება. მაგ. ერთ ადგილს ის სწერს: „რაც უფრო დიდია პოეტი, მით უფრო ახლო სდგას გარემოსთან, მით უფრო მძლავრად შეისუნთქავს ეპოქის სულს, მით უფრო ორგანიულათ შეეწყობა სახოგადოების განვითარების პროცესს“. „რაც უნდა ინდივიდუალური იყოს ნაწარმოები,— მაინც იგი ეპოქის მიერ არის ნასულდგმულევი, და მაშასადამე მაჩვენებელი ორიგინალობის. ხოლო ფესვები მაინც პიროვნების გარეშე იმყოფებიან“. შევადაროთ ეს სიტყვები შემდეგს: „პოლიტიკურ-ეკონომიურ რიგის მოვლენები ხშირად ახდენენ გავლენას კულტურის სფეროზე, მაგრამ კულტურული აღორძინების თუ დაცემის ფაქტები სულ სხვა სივრცეში იშლებიან. აქ ჩვენს წინ იშლება ფიქოლოგიის ვრცელი პრეცანა და ამ მეორე შემთხვევათა ახსნის საშვალებანიც ფიქიურ ფაქტორების სამყაროში უნდა „მოიძებნოს“. ეს უკანასკნელი რა თქმა უნდა ეწინააღმდეგება ავტორის ზემოთ ამოწერილ სიტყვებს და აზრებს.

როგორც უკვე სამართლიანად აღნიშნეს—ასეთი „მეთოდის“ შედეგია ის, რომ ვ. კოტეტიშვილს „მექანიურად შეკარისტიული გამოვდის ეკონომიური, კულტურული, პოლიტიკური ფონის და ისტორიულ-ლიტერატურული მსელელობის შეწყობა ერთმანეთთან. ამით აიხსნება ისიც, რომ ერთი და იგივე მწერლის შემოქმედებაში მეტად მკრთალად არის გამორკვეული სხვადასხვა მომენტების გადაქცევა ერთ მთლიან პროცესათ. მკითხველის შთაბეჭდილებაში

სხვადასხვა ნაკადულებათ რჩებიან ამა თუ იმ მწერლის სევდიანობა
და ეპიკურეიზმი, ეროვნული და საკაცობრიო წუხილი“...

ვ. კოტეტიშვილს კარგათ უნდა ახსოედს, რომ მეცნიერულ
საკითხებში განსაზღვრული გარკვეულობა და ნათელყოფაა საკირო.
მისი მიღწევა კი შესაძლებელია მთლიან მაშინ, როდესაც გვექნება
ძირითადი გამოსასვლელი, პრინციპი, რომელშიაც შეიძლება აშენე-
ბული იქნეს მეცნიერული შენობა.

* * *

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ეპოქის შინაარსი ყოველ-
თვის აყვნებს ახალ თვალსაზრისს და ახალ საკითხებს და ის აუცი-
ლებლად დააჩინს თავის კალს კვლევა-ძიებას. ლიტერატურის ის-
ტორიის მკვლევარს ყოველ გვის ამოძრავებს რაღაც ინტერესები,
რომე ლხაც ღლდრავს მ. ს. ში მისი თანამედროვე ხანა. მას შეაქვს
თავისი მაშინაც კი, როდესაც ის დარტმუნებულია თავის მიღების მიუ-
რობაში, მიუდგომლობაში. ეს იმიტომ, რომ ყოველ დროს და სა-
ზოგადოებას ახასიათებს თავისი მიღების მიუდგომა.

ლიტერატურის ისტორიის სტეროზი ჩენ ვიცით მეთოდები:
ესტეტიური, ბიოგრაფიული, ფილოლოგიური, ფორმალური, ეკო-
ლიურიონური და მთელი რიგი სხვა მეთოდების. თვითეული ამა თუ
იმ მეთოდის მომხრე ყოველთვის ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ის შე-
ეფურება და გამომდინარეობს გამოსაკვლევ მიღების არსებიდან.
მაგრამ სად არის საბუთი იმისა, რომ სწორედ ეს მეთოდი გამომ-
დინარეობს გამოსაკვლევ საგნის თვისებათაგან? — გვიპასუხებენ — მი-
ღებულ კეშმარიტებაში. მაგრამ რა არის თავისთავად კეშმარიტება?
განა ის არ განისაზღვრება საზოგადოების კლასიურ მდგომარეობით?
დიახ, რომ განისაზღვრება; არ არსებობს წმინდა განყენებული კეშ-
მარიტება. ასევე, არ არსებობს მეთოდიც თავისთავად. ესტეტიური,
ბიოგრაფიული, ფორმალური და სხვა მეთოდები წარმოადგენს სა-
ზოგადოების კლასიურ განვითარების შედეგს და შეიცავს ბურუა-
ზიულ მსოფლმხედველობის განსაზღვრულ კომპლექს. აქედან, არ შე-
იძლება ვილაპარაკოდ მეთოდთა ისეთ მოხმარების შესახებ, რო-
გორც ამას ვ. კოტეტიშვილი ფიქრობს. მაგალითად, ესტეტიური
მეთოდი თავისთავად ცუდია, განსაკუთრებით კი პროლეტარიატი-
სათვის, მაგრამ ის კარგი იყო ბურუაზისათვის და მისი შემეცნე-
ბის და განწყობილების მეცნიერული გამოხატვისათვის. რომ მეთო-
დი კარგი იყოს, ის დამყარებული უნდა იყოს კეშმარიტ მეცნიე-
რულ მსოფლ-მხედველობაზე. გამოსაკვლევ მიღების ბუნება და და-

სახული ამოცანები კი საზღვრავს მხოლოდ მეთოდის სარგებლობის ხერხს, როგორც შემეცნების განსაზღვრულ მეცნიერულ იარაღს (პოლიანსი).

მეთოდის საკითხი მეცნიერებაში არც ისე უბრალო და პატარაა, როგორც ეს ვ. კოტეტიშვილს ჰვინია. — ეს მეტად რთული და ღრმა პრობლემაა, რომელიც მტკიცედ არის შეკავშირებული მსოფლმხედველობის საკითხთან.

ვ. კოტეტიშვილის ძირითადი დებულება ლაპარაკობს: „აუცილებლით საჭიროა, რომ ნაწარმოები განხილული იყვეს სრულიად დამოუკიდებლათ, როგორც ერთად-ერთი მოვლენა, მოელი თავისი მხატვრული ელემენტებით... როგორც უშუალოდ მოცემული თავის შინაგან რაობით“ (გვ. 9). რას ნიშნავს ნაწარმოების დამოუკიდებელი, იმანენტური შესწავლა? კოტეტიშვილის აზრით აქ შესწავლილი უნდა იქნას ნაწარმოების კომპოზიცია, თემა, სახე და სხვ. მაგრამ მან კარგად უნდა იკოდეს, რომ ეს ჯერ კიდევ არაა ისტორიულ-ლიტერატურული „შესწავლა“, ან უფრო პირდაპირ, რომ გამოვსთქვათ, მხატვრული ნაწარმოების იმანენტური შესწავლა შეუძლებელია და რომც შესაძლებელი იყოს ის არც სიჭირო იქნებოდა.

ტყუილად ფიქრობს ვ. კოტეტიშვილი, რომ თითქოს სტატიკის საშუალებით შესაძლებელი იყოს მხატვრული ობიექტის შემცნობა. ჩვენი გავებით, მხოლოდ დინამიური თვალსაზრისის დროს არის შესაძლებელი მხატვრული ობიექტის ბუნების და სახის გამოჩენა, მეცნიერული გარკვევა. ხოლო სტატიკა კი იზოლიაციით, სინამდვილეში ძლიერ ანელებს და გაუგებარს ხდის შემოქმედებითი ობიექტის ბუნებას.

ცხადია, თუ ჩვენ მოვისურვებთ არ გვექნეს წარმოდგენა ეპოქაზე, ეს მეტის მეტი უცნარი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი იქნება, რომელსაც ჩვენ საეუთარ თავზე ვაწარმოებთ, მაგრამ, გარდა ამისა, ეპოქის გავებისაგან ასე განზე განდგომას შესასწავლი ნაწარმოების გავების მხრივ არაფრის მოცემა არ შეუძლია, გარდა ზარალისა. რომ მაგ. გავიგოთ 6. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, საჭიროა ბარათაშვილი შევისწავლოთ „ეპოქის“ ფსიგოლოგიასთან, ე.-ი. თავის კლასთან, იმ საზოგადოებრივ მდგომარეობასთან ერთად, რომელიც გამოხატულია ნაწარმოებში. თუ ჩვენ შევეცდებოდით გაეხსნათ რთული ხლართი, რომელიც აკაეშირებს ნაწარმოების ბაზისს იდეასთან, კომპოზიციასთან, სტილთან და ჩვენ თავს კი ვაიძულებდით უყურადლებოდ დაგვეტოვებია უოველივე ეს, ამით ჩვენ მოგვესპობოდა ლიტერატურული ნაწარმოების სწორედ გაგების საშვალება.

რას ნიშნავს მოთხოვნა მხატვრული ნაწარმოები აუცილებლათ განხილული უნდა იქნას პირველად, „როგორც უშეალოდ მოცემული თავის შინაგან რაობით?“ რას ნიშნავს მოთხოვნა მაგ. „ბედი ქართლისა“ უპირველეს ყოვლისა შესწავლილი იქნეს თუ რას წარმოადგენს ის, როგორც მხატვრული შემოქმედება „უშეალოთ მოცემული თავის შინაგან რაობით?“ თუ აქ ლაპარაკია იმ სიტყვისა და სახეების მასალის ელემენტარულ გაცნობაზე, რომლითაც აშენებულია „ბედი ქართლისა“, კერძო საკითხების პროცედურტიკულ განხილვაზე, რომელიც დაკავშირებულია პოემის რიტმიკასთან კომპოზიციასთან, წყობასთან და ა. შ., მაშინ ეს არ არის სადაცო, ეს თავის თავად ცხადია, მაგრამ კოტეტიშვილი აქ სულ სხვას, უფრო მეტს გულისხმობს. როგორ შეიძლება საგანი ინდეტერმინულად გავიგოთ, როდესაც სერთოდ არ შეიძლება არსებობდეს ინდეტერმინულად წარმოშობილი საგანი? ან, განა ეს არ ნიშნავს საგანთა და მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობის დარღვევას და ყალბ დასკვნებზე წინასწარ განწირვას. ის, რაზედაც ლაპარაკობს კოტეტიშვილი არის მხოლოდ მასალების წინასწარი დაგროვება და დამუშავება. მაგრამ აქ არ უნდა დაგვავიწყდეს მეცნიერების საბოლოო მიზნები. ამ მასალების დაგროვების დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს დეტერმინიზმი და ისტორიზმი, უამისოდ ჩეკნი მუშაობა ცალმხრივი იქნება. რომ იცოდე რა დააგროვო და როგორ დააგროვო, რას უნდა მიაქციო ყურადღება და რა მიზნით, რომ არ ჩავარდე დაუშევებელ შეცდომებში, რომ უსარგებლოთ არ დაკარგო დრო, რომ არ ჩავარდე წინააღმდეგობებში. ამიტომ, თვით ამ წინასწარ მასალების მომზადება-დაგროვების დროსაც საჭიროა გვასოვდეს თვითეულ მოვლენის ორგანიული კავშირი მთელ პროცესთან და მეცნიერების საბოლოო მიზანი.

* * *

ამგვარათ, უდავოთ უნდა მივიღოთ ის დებულება, რომ მოცემულ ობიექტის ბუნების გაება დამოკიდებულია მკვლევარის მსოფლმხედველობაზე. ამას თ-თქოს ვერ გრძნობს ვ. კოტეტიშვილი, ის არ ლაპარაკობს თუ რომელი მსოფლმხედველობით უდგება ლიტერატურის შესწავლის. კიდევ მეტი. ის თითქოს უარყოფს კიდეც „მსოფლმხედველობას“ გამოსაკვლევ საგნის ქალწულებრივ სიწმინდის გულისათვის, მაგრამ სინამდევილეში საეჭვო ობიექტივისტი გამსჭვალულია უკიდურესი სუბიექტივიზმით, არსებითად მოჩვენებითი ობიექტივისტი მალავს თავის საიდუმლო ავადმყოფობას, თავის „მსოფლმხედველობას“. ეს მსოფლმხედველობა კი არის იდეალიზმი. მაგრამ ვ. კო-

ტეტიშვილს აეიწყდება, რომ დღეს ვინც იდეალიზმის თვალსაზრისზე
სდგას, მას არ შეუძლია მეცნიერულად ახსნას ისტორიულ-ლიტერა-
ტურული პროცესი. უამრავი დამამტკიცებელი ფაქტები არსებობს
იმისა, რომ პრაქტიკაში იდეალისტი მეთოდოლოგები უკუკელად ვარ-
დებიან მისტიკაში ან, დაბოლოს სრულიად უარყოფდნ სინტეზს,
ქმაყოფილდებიან ცალკე საკითხების და ამოცანების გადაწყვეტით.
მეცნიერებაში არავითარი კომპრომისი არ შეიძლება. ყოველგვარი
ექლექტიზმი და პლიურალიზმი მავნებელია. საჭიროა სრული გარე-
ვიულობა.

დღეს, თანამედროვე პირობებში მხოლოდ მატერიალისტურ-
მარქსისტული მეთოდია მეცნიერების ძირითადი მეთოდი, ის იმდე-
ნათ მნიშვნელოვანი, ფართო და საფუძვლიანია, რომ მის გარეშე არ
შეიძლება მეცნიერული მუშაობის წარმართვა.

თუ როგორია ლიტერატურათ მეტყველების მარქსისტული მე-
თოდი—ამაზე შემდეგ წერილში.

თანამედროობა და პარტული გურილობა.

ა) ქართული მწერლობა და თანამედროობა, ბ) ლიტერატურული ინტელიგენციის სოციალური ფაქტორები, გ) თანამგზავრობის აღმაფალი პროცესი და რამდენიმე კურიოზი, ე) მეზარჯვენე-თა ფრთა და რეაქციის ნიშნები, ვ) პროლეტარული მწერლობა.

ჩენ უშუალოთ ვაყენებთ საკითხს ქართული მწერლობის მხატვრული პროდუქციისა და თანამედროვე ცხოვრებითი ფაქტების ურთიერთობის შესახებ. ჩვენის დაკვირვებით ქართული მწერლობის ლიტერატურული—იდეოლოგიური პოზიციები გამოურკვეველ და მეტათ კუსტარულ მდგომარეობაშია. ოთქოს მწერალთა შემოქმედებითი ხასიათის თუ სოციალური ტიპის საზღვრები წაშლილია. ერთის შეხედვით შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიწანოთ.

საქართველოში მოსახლეობის წერილ-ბურჟუაზიული შემადგენლობა არის უპირველესი მიზეზი ქართულ ლიტერატურულ ინტელიგენციის კლასობრივ ბრძოლიდან დაცილებისა და გამოურკვევლობისა. ამით ჩენ არ ვამბობთ, რომ ქართულ მწერლობაში არ იყენებ მოწინავე სოციალური ჯგუფების გავლენა და მისი ტოლფასი (ექვივალენტი) შემოქმედებითი ფაქტები.

ამისთვის თანადროულ ქართულ ლიტერატურულ მიმართებათა და მკითხველი მასის ურთიერთ დამოკიდებულებათა წინასწარი განხილვა საჭიროა ქართული მწერლობის იდეოლოგიურ ბუნებისა და პერსპექტივების ხასიათის გამოსარკვევებათ.

ამ საუკუნის პირველ მეხუთედში ლიტერატურულ ინტელიგენციის სოციალური ტოპორგრაფია შემდეგ სურათს იძლევა: თავად-აზ-ნაურული ინტელიგენციის მიერ მე-XIX-ე საუკუნის მწერლობიდან ინერციით წამოღებული ულტრა-პატრიოტული ტალღები.. შემდგომ განვითარების პროცესი ეს ფენა ახალ საზოგადოებრივ-საწარმოო ძალთა გავლენით, აშკარა ბურჟუაზიულ და რეაქციონურ ატროსტერაში მოექცა.

ამ ფრთის ლიტერატურულ ინტელიგენციის უფრო „ახალ-გაზრდა“ ნაწილი ე. წ. „ცისფერი ყანწელები“. (სიმბოლისტები) ერთ დროს თავის ბეჭვდით სიტყვას ქართული იმპერიალიზმის სა-

აგიტაციო მოვალეობას აკისრებდა. ცნობილი „ირჩედენტა“-ს წამოწყება გახ. „ბარიკადი“-ს ფურცლებზე. ამ გაზეთში ესთეტიკისა და კრიტიკის გვერდით პოლიტიკასც თანაბრძოლულებიანი აღვილი ქონდა დათმობილი. ეს იყო ამ ლიტერატურულ თაობის სოციალური გაკურრების მიღწეული საზღვრები, როდესც ტრაპიზონის მიდამოებში სოლომონ მეფის საფლავთან ეძებდენ ქართული იმპერიალიზმის პატარა გვირგვინს.

მეორეს ხერივ ხალხოსნურ ინტელიგენციისა და შენშეკვიურ-დემოკრატიულ ინტელიგენციის ქრელი ფენა, რომელიც თავისი ოპორტუნიზმით გამოიჯნა მუშათა კლასის ინტერნაციონალურ მოძრაობას და საბოლოოთ ქართული მოზარდი ბურჟუაზიის ნაციონალისტური პროგრამის იდეოლოგი გახდა.

1905 რევოლუციის დამარცხებისა და მის შემდეგ დაწყებულ რევოლუციონურ ლირებულებათა გადაფასების ლიტერატურა რომანტიზმისა და მისტიკურიზმის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. შემდეგში რევოლუციონური გარდატეხების ირიბი გავლენით ამ თაობის რომანტიული ხედგა პოლიტიკური რომანტიზმის ტალღებს დამორჩილდა. ეხლა კი რევოლუციონური გარდატეხების პირდაპირი გავლენით ეს ინტელიგენცია იწყებს „კეხების გამოცვლას“.

საქართველოს გასაბჭოების ფაქტით ერთხელ და სამუდამოთ გაიფანტა პოლიტიკური რომანტიზმის ნისლები. ქართულ ინტელიგენციის წინაშე დადგა საკითხი ოქტომბრის რევოლუციისა და პროლეტარულ საზოგადოებრიობის მიღება-არ მიღებისა.

აუცილებელი გახდა ახალ ცხოვრებასთან მხატვრულ პროპორციების დაჭერა. ან და იდეურ დაუძრებელობის შემთხვევაში უნდა განეცადათ ლიტერატურული სიკვდილი.

ძველმა მწერლობამ ვერ შესძლო თანამედრობის მიმართ თვალის გასწორება. უფრო აქტიური და რევოლუციონური ძარღვის მქონე ნაწილი გამჟყვა ახალ ცხოვრების მიმდინარეობას. თუმცა თანამგზავრობის აღმავალ პროცესში შემოქმედებითი გამოსვლების დროს ადგილი ქონდა კურიოზულ მოვლენებსაც.

ყოველ შემთხვევაში ქართველ მწერალთა ყრილობამ გასული წლის თებერვალში დეკლარატიულათ მაინც აღიარა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, საბჭოთა საზოგადოებრიობის მიღებით. ეს კი თავისთავად ნიშნავდა „ახალი ხანის“ დაწყებას ქართულ მწერლობის ცხოვრებაში.

შეკვებისა და ნილილიზმის დიდი პლანით ჩენება, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა გარდატეხის პერიოდის ინტელიგენტურ ფე-

ნებს, ქართულ „ტრადიციულ მწერლობის“ რიგებში პოლიტიკური რომანტიზმის გამოთხვევების წინ გამოძახილი ჰპოვა ნიკოლოზ მიწი-შვილის სტამბოლიდან გამოგზავნილ მოქითხვის წერილში „ფიქრები საქართველოშე“...

„მე არ მინდა უარყო საქართველო წარსულში და მომავალში. მაგრამ ეს ხდება ეს. თუ ერის სახე იხატება მის შემოქმედებაში— საქართველოს სახე დღეს განსაუთრებით ძნელი სანახავია. ხოლო ჩვენს შემდეგ რა მოდის ხელოვნებაში და პოეზიაში ეს თქვენი იცით. ეს საუკუნე ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ პოეტს, ვერც ერთ ჭეშმარიტ მწერალს“..... „და როცა კვლავ უბრუნდები საქართველოს, მე მას ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუ თუ საქართველო მარტო ეტნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული? („ქართული მწერლობა № 4—5)

თუ ბევრისთვის სამშობლოს „სიყვარული“ სპეციალიაციის სავანს შეიცავს, რატომ დასჭირდა ნ. მიწიშვილს სამშობლოს გზების გზა-ჯვარედინზე კველა ჯიბეების გაღმობრუნება და „უშვილოსნო“ სამშობლოს სხეულში ცარიელ სილრმეების მისამართით ნეიტრალურ აღსარების აღება? მისმა თაობამ „ვერ აიმალლა თავი შემოქმედებაში“. ეს კრიზისი რატომ უნდა გავრცელდეს მოლიანათ ქართულ მწერლობაზე? ასეთი „კულტურული“ თავმოყვარეობით დაავადება ლაპარაკობს ამ ლიტერატურულ ჯგუფის ბუნებრივ კრიზისზე.

კრიზისი კი გამოიწვია სოციალური საფუძვლების დარყევამ და დაქანებამ, რომლის პირდაპირი გავლენით ამ ჯგუფმა ეჭვი შეიტანა თავის შემოქმედებით რაობაში. აღრევე იგრძნო თავის ლიტერატურულ-მორფოლოგიურ რევოლუციის გავარდნა, ქართული ლიტერატურის ორგანიულ განვითარებაში.

წინააღმდეგობათა ხვეულებში მოცეული ინტელიგენციის ფუნა ზოგჯერ პერს ჟერაზის რეულით დაკარგვის გამო, ამ წინააღმდეგობათა რკალებში წყევს თავის გამართლებას. კერძო შემთხვევაში პოეტის და ადამიანის გაყიდვის ფორმულა, სიმბოლიზმის მსოფლ-მხედველობითი კონცეპციის უფრო გაშიშელებული ნაყოფია.

შეიძლება მიმდევნო მოვლენაც იყო ის გარემოება, რომ ქართველი მწერლების აქტივში ადგილი ქონდა ძეველი ფსიხოლოგიური ფორმულების დაშლის ნიშნებს, ამის გამო გამოწვეული დრამატიზმი და პოზიციების გადასინჯვა თავისთავად იძლეოდა სტიმულს რევოლუციით შექმნილ საზოგადოებრიობის შეგრძნებისათვის.

მაგრამ სრულ საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო „ქარ-

თული მწერლობა“ - ს თეორეტიული ნარკევები და შემოქმედებითი
პრაქტიკა თანამედროობასთან შეფარდებით თანამედროობისთვის
მიუღებელ ფაქტების ჯამს იძლევა.

„ქართული მწერლობა“ ახალი საქართველოს „მონახვის“ ამო-
ცანებით გამოვიდა.

ყველა აქნამდე გამოცემულ ნომრების მასალების 80%, ობიგა-
ტელურ სულიერ განწყობილებათა „გარითმულ მიქარებს“, გვიწვ-
დის. თითქოს ეს მწერლობა უდიდეს აღმშენებლობით ეპოქაში აღარ
ცხოვრობდეს. თითქოს თანამედროვე ცხოვრება ისე უმნიშვნელოა,
რომ ყურადღების მიქცევათ არა ღირს. თითქოს რევოლუცია სა-
ქართველოში მართლაც ფოსტით იყოს ჩამოტანილი!

შემოქმედების მხრივ, როგორ გამოიხატა საბჭოთა საზოგადო-
ებრიობის „მიღება“?

იგივე ობიგატელური ილიუზიები: ინდივიდუალიზმი, სილამა-
ზის „მარადიულები“ - ს ტრაფიალი, რეაქციონურ წარსულის რომანტიკა,
მხატვრული მეტაფიზიკა, დაცემულის განწყობილებანი, პასიური სა-
ხელობა. მთლიანათ: **თანამედროობიდან მოწყვეტა.**

ასეთი ინდივერუენტიზმი ერთის მხრივ აიხსნება ძველი მწერ-
ლობის შემოქმედებითი იმპოტენტობით. ეს პირდაპირ გამომდია-
რეობს, როგორც „თაობების ცვლის“, ისე ლიტერატურის მორ-
ცოლოვის დიალექტიურ კანონიდან.

ზოგჯერ მეტი როლს თამაშობს ლიტერატურის ხა-
სიათის შექმნაში. თანამედროვე ქართველი მეტიხედვითი მეშ-
ჩანური ფენა, თანამედროობის უარყოფითი გაგებით თავის „კონ-
სერვატიული“ ემოციების მოსხოვნილებას აყენებს. ამას ემატება
თვითონ მწერლის ამავე ფენიდან გამოსვლა, რომლის მსოფლ-შეგრ-
ძნება უმრავლეს შემთხვევაში განპირობებული და განსაზღვრულია
ამ სოციალური სარჩულით.

რამდენათ რთულია ჩეენი ეკონომიკა, რამდენათ მასში იბრძ-
ვის და ვითარდება ურთიერთ დაპირისპირებული სამეურნეო ფორმე-
ბი, ამდენათ პარალელურათ საქმე გვაქს ახალი ბურჟუაზიის წა-
რმოშობასთან, რომლის რეაქციონური იდეოლოგიის შინაარსი სა-
თანადო გამოხატულებას პოულობს ლიტერატურულ ფაქტებში.
„როგორც არ შეწყვეტილა კლასობრივი ბრძოლა საერთოთ, ასევე
არ შეწყვეტილა ის ლიტერატურულ ფრონტზეც“. (პარტიის რეზო-
ლუციიდან ლიტერატურულ პოლიტიკის შესახებ).

მაგრამ „ნების“ პირობებში შერჩენილი და თავშამოყოფილი
მჩაგვრელი კლასების ფენები ისტორიის რკინის აუცილებლობით სა-

ბოლოოთ განშირული არიან ხანგრძლივი არსებობისთვის. ამიტომ კლასიური დაცემის შეგნება გამოსახეას პოულობს იდეოლოგიურ სისტემაში.

მწერლის ფსიქოლოგიური ტიპი და მხატვრული ნაწარმოვანის მორფოლოგიური ნაშენობა შეფარდებულია თავისი კლასის სოციალ-ეკონომიკურ საფუძვლების და მთლიანათ გარესკნელის მდგომარეობასთან.

თუ ეს საფუძვლები დარყეული და დაქანებულია „ისტორიის გარდერობა“-ში ჩასაწყობათ, მაშინ ამ ფენის მწერლის ფსიქოლოგიური ტიპი, მთლიანობა დარღვეული და ვიწრო პორიზონტში მოქმედი, ლიტერატურულ ფაქტის გაკეთების ანუ შემოქმედებითი ხერხების მოცვეთით, უგარების ხდება ემოციონალური ზედ-მოქმედებისათვის. რაც თავის მხრივ უდრის მხატვრული ნაწარმოების მოხმარებითი ღირებულების ანუ დანიშნულების დაკარგვას.

იდეურ-შემოქმედებითი უძლურება „ქართული მწერლობის“ მხატვრული პრაქტიკის ფაქტების უმრავლესობით მტკიცდება. მაგრამ ლიტერატურული-მხატვრული სისუსტე არ რიცხავს მემარჯვენეთა საფრთხის ფაქტის არსებობას, რომელიც შესამჩნევათ და გარკვეულათ გატარებულია „ქართული მწერლობის“ ტეხნიკურათ შეკოწიწებულ „ლიტერატურულ ოჯახში“.

„ქართული მწერლობის“ პოეზიის ნიშანდბლივი მხარე ირკვევა, როგორც არსებულ სინამდვილესთან დაპირისპირება. შეიძლება ეს „შეუგნებლათ“ ხდებოდა, მაგრამ პოეზიის ფაქტიური მასალა კონკრეტულათ მიუთითებს დაცემულობის დამახასიათებელ განშეყობილებებსა და განცდებზე.

„საკუთარ ძმასაც ვეღარ გაუმწელ,
რაც ჩაეირულა გულში ბალდამია“
„მხოლოთ ჩენ სხვა დრო წამოკვეწია,
ჩენც მალე სადმე ჩაგვაძალუებენ“. (ტ. ტაბიძე).

„მე შენხე ფიქრი მაშინ მღალავდა,
დღეს მოწყებილი მიედინარ გშაშქ,
რა უყო ყველამ თუ მიღალატა,
რა უყო ცხედარს თუ დავემსგავსე. (ტ. გრანელი).

„ვეყყანავ ჩემო, ზეცით ნაკურთხო
უხვად მორწყულო მზითა და მთვარით!
მე უბინადრო, დავეძებ კუთხეს—
მომეცი შენთან თავშესაფარი. (კ. ნადირაძე).

„მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი,—
დაეცა ლოცვა და პოეზია
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს—ჩრდილი შემოვსია“. (ს. აბაშელი).

წყლილი იყოს დიდი ქალაქი,
ჩემგან ვით ციხე უარყოფილი.
მე მირჩევნია ქუჩას—ჟალაკი,
ჩემი სამშობლი არის სოფელი. (ვ. გაფრანდაშვილი).

„და როცა ვხედავ ხალხს ყუიმშე გამოლვიძებულს
ეჭებ დაარქვან ჩენ სიმღერას უკანასკნელი...
...გვირტყას ტალღები ცროვებიდან დასაღუპავათ
მგოსნებს და ქარებს ამ პროსპექტზე აჭრიალებულს (ს. ჩიქოვანა)
და სხვ.

ასეთია უურნალ „ქართულ მწერლობა“ს პოეზიის ცენტრალური განწყობილება. სად არის თანამედროვე ემოცია: ფსიხიკა: ინტერესი: ნივთი: განცდა?

მაგრამ ეს „ნაღველიანი ტონი“, „მებრძოლ“ ხასიათს ატარებს იმდენათ, რამდენათ გაშაბლონებულ ლექსებში თანამედროობისადმი უქმაყოფილების გრძნობა, ქმაყოფილებას იწვევს ბევრ რეაქციონურ მკითხველში.

როგორ ესმით თანამედროობის ცნება? ამ საკითხზე „ქართულ მწერლობამ“ შოათავსა ს. ჩიქოვანის სადასკუსიო წერილი „თანამედროობა და ქართული პოეზია“. ამავე კითხვას აყენებს ნ. მიწიშვილი „ფიქტები ქართულ მწერლობაზე“. („საბჭოთა ხელოვნება № 1).

რა მასშტაბით ხელმძღვანელობენ ხსენებული ავტორები თანამედროობის ცნების რეალურ შინაარსის გასარკვევათ და როგორია მათ მიერ „ქართული მწერლობის“ მიმართ წამოყენებული საპროგრამო ამოცანები?

ძალიან მოქნილი გზით და მეტად მოხერხებული „თავის შემოვლით“ დარიგებულია „სმენა-ვებურ“ ლიბერალიზმის „მოწყალება“, რომლის იდეოლოგიური ბუნება ქართულ სინამდვილეში თავისებურ სახეს ატარებს.

„სმენა-ვებიზმი“ მდგომარეობს საბჭოთა ხელისუფლებასთან განსაზღვრული მიზნებით „ვეხების გამოცვლასა და შეგუების პოლიტიკაში. ეს არის ახალი ბურუუაზის იდეოლოგია, რომელიც ძირითად ამოცანათ ისახავს ინტელიგენციის ყველა ლუნების გადაბირებას პროლეტარიატის იდეურ ჰეგემონიის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ის ჩენს მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების წინააღმდეგ კა-

პიტალისტური ელემენტების გამარჯვებას სცნობს. მას სასურველათ მიაჩნია სოფლის კულაკზე გადაცემა. მას სასაცილოდაც არ ყოფნის ბრძოლა მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის დამყარებისათვის და ო კიონალურათ მოწყობილ ცხოვრების მიზნები. მას მარადიულ კათე-გორიაში გადაყავს „ნეპი“. ამიტომ ის თავის ლიტერატურის იდეურ ამოცანათ ისახავს ჩვენი რევოლუციის ბურჟუაზიული გადაგვარება დამტკიცოს.

საქართველოში ჩვენ არ გვევანან პროფესორ უსტრიალოვისა და ლეიქნეის ტიპის „სმენა-ვეხელები“. მაგრამ ქართულ „სმენა-ვე-ხიზმს“ საფუძვლათ უდევს ნაციონალისტური ინტელიგენციის იდე-ოლოგია, რომელიც „ახალი საქართველოს“ მონახვის მიზნით რეა-ლურ პოლიტიკისკენ იხრება. „რაც არ მოხდა ისტორიულათ ეს უკ-ვე ვიცით—რაც მოხდა, ეს უნდა შევაფასო“. (ნ. მიწიშვილი).

ამრიგათ ეს გზა გამოიჩეკა ქართულ ეროვნულ პრობლემიდან მხატვრულ მწერლობის დანიშნულებამდე. ბუნებრივათ დაღვა საკითხი „ქართული მწერლობისა“ და თანამედროვე ცხოვრებითი ფაქტების შეფარდების შესახებ.

„არც ერთ დროს და არც ერთ ქვეყანაში მწერლობა არ ყო-ფილა ჩავარდნილი ისეთ წინააღმდეგობათა ხვეულებში, როგორ-შიაც მოქცეულია დღეს ჩვენი ლიტერატურა... და მე ვფიქრობ, რომ ამ წინააღმდეგობიდან ქართული მწერლობა ვერ გამოვა, იგი შეპყ-რობილია რაღაც გამოუცნობი „სევდით“. რამდენათაც შესაძლებე-ლია, ჩვენ უნდა დავზოგოთ ასეთი „სევდა“ განსაკუთრებით, როცა იგი შეგნებულათ არაა მიმართული რევოლუციის წინააღმდეგ. მის „დარჩენაც“ მეტი აზრი აქვს, ვიდრე „წასვლას“. (ნ. მიწიშვილი).

„თანამედროობის მცნება გარკვეული არ არის, არსებობს იმ-დენი „თანამედროობა“, რამდენიც პოეტი და რამდენიცაა შეითხვე-ლის ფენები.

აუდიტორიასაც ესმის, რომ ის არაა მთლიანი და მთლიანო-ბას იგი პოეზიაში ეძებს, მაგრამ საქართველოში პოეტი ვერ ხედავს ცხოვრების მასალების მთლიან ფორმულას და ამ ცენტრალურ ფო-რმულის შესაძლებლობას“. (ს. ჩიქოვანი).

არა პროლეტარული მწერლობის ბანაუში საკითხის დასმა თა-ნამედროობის შესახებ ხასიათდება ლიბერალიზმის აშკარა ნეიტრა-ლური ხაზით.

ოქტომბრის რევოლუციამ რადიკალურათ გარდაქმნა საზო-გადოებრივ ეკონომიკური ცხოვრების პირობები. გზა გაუხსნა მცირე ეროვნებათა კულტურების განვითარებას. რევოლუციის შემდეგ გა-

ნეითარების პერიოდში მტკიცე კალაპოტში ჩადგა სოციალისტურა აღმშენებლობა და თანდათანობით კულტურულ რევოლუციის ამო-ცანების განხორციელება დაიწყო. კულტურულ რევოლუციის ფარ-გალში კლასობრივი ბრძოლა არ შეწყვეტილა და ლიტერატურული ფაქტიც არ შეიძლება ნეიტრალური იყოს. კულტურულ რევოლუ-ციის ამოცანებთან დაკავშირებულია პროლეტარულ კლასიურ კულ-ტურის მშენებლობა, რომელიც თავის განვითარებაში დიალექტიუ-რათ გადაეზრდება მომავალ სოციალისტურ კულტურას.

მაგრამ გარდა იმისა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ისტო-რიულ აუცილებლობის და მიზანშეწონილების ფარგლებში დააყენა პროლეტარულ კულტურის განვითარება, დამოუკიდებელი პროლეტა-რული ხელოვნების ფაქტი და იქმნება საკმაოთ ძლიერი პროლეტა-რული ლიტერატურა, ამის გარეშე მოქმედობენ სხვადასხვა ლიტერა-ტურული ჯგუფები, ლიტერატურული შეხედულებანი, რომელთა სო-ციალ-პოლიტიკური შინაარსისა და მნიშვნელობის ამოხსნა შესაძლე-ბლათ ხდის ამ ჯგუფების სათანადო შეფასებას რევოლუციის თანა-მგზავრობის აღმავალ პროცესში.

რეს ბელეტრისტმა პილინიაქმა ოქტომბრის რევოლუცია ი- თვისა, როგორც გლეხების ბუნტი და სლავიანოფილური დაბრუნე-ბა. ალექსანდრე ბლოკმა რევოლუცია შეიგრძნო მისტიურ ფენომე-ნათ და რევოლუციის „სკვითებს“ ქრისტე დაუყენა წინამდლოლათ. ესენიმა გამოიტირა მატარებელს ჩამორჩენილი კვიცი და რიაზანის შკულტურო სოფელი.

საერთოდ რევოლუციის ლიტერატურული თანამგზავრები მთლიანათ ვერ ითვისებენ რევოლუციას. ვერ გარკვეულან რევო-ლუციის პოლიტიკურ პრესპექტივებში. თავი ვერ დაუღწევიათ შე-მოქმედებით გაორებას, ვერ დაუმკვიდრებიათ იდეოლოგიური მთლი-ანობა.

ესენინისა და მაიაკოვსკის პოეტური ხედვის სხვადასხვაობა ამ-ტკიცებს თანამედროობის ცნების ორ უმთავრეს გაგებას. თუ მაია-კოვსკი პროლეტარულ საზოგადოებრიობის მოწინავე ფენების სო-ციალურ შეკვეთას ასრულებს, მისი ლიტერატურული ფაქტი გამი-ზნულია აღმშენებლობითი მიმართულებით. თავის პოეზიით ცდი-ლობს პრაქტიკულ ენასთან დაახლოებას, სასაუბრო ენის დაკანონე-ბას პოეზიაში,—ესენინი მთლიანათ თანამედროობას ჩამორჩენილ განწყობილებათა ვირტუოზია, დაცემულობის კლასიკური გამომსა-ხველი, რომელიც მოსკოვის ლვინის ლუქნების ავანტიურული გადა-

მლერებით და უკანასკნელათ ფიზიკური დაცუმით პროგრესიულ თა-
თანამედროობის გაგნების გარეშე დარჩა.

ამ ორ პოეტს ყავს გარკვეული აუდიტორია. ეს მკითხველი ფიზიკური
ფენები ურთიერთ დაპირისპირებულ განწყობილებათა მოთხოვნილების
ბებს აკენცებენ. პოეზიის ამთვისებელი ხალხი მთლიანი არ არის და
და არც შეიძლება იყოს. მთლიანობა გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს
ახასიათებს. პოეტი რომელიმე სოციალური ჯგუფის ემოციონალურ
მოთხოვნილებას უპასუხებს. ამ გაგნებით მაიაკოვსკი არის თანამედ
როვე პოეტი, რომელსაც შეგნებულათ გათვალისწინებული აქვს
პროლეტარიატის დიქტატურის თანამედროობა. მაიაკოვსკი გარდა
იმისა, რომ ლექსის უდიდესი ისტატია, წმინდა ტეხნიკური თვალ-
საზრისით, ამას გარდა გარკვეულათ ხედას ცხოვრების მასალებს და
ამ მასალების პოეტური წარმოება გარკვეული დანიშნულების ნიშ-
ნის ქვეშ მიმდინარეობს.

რუსულ თანამგზავრულ ლიტერატურაში შესაძლოა თანამგზავ-
რების ღიფერენციაციის პროცესის აღნუსხვა. მემარცხენე ფრთის
ძლიერი ფიგურა მაიაკოვსკი თავის თავს პროლეტარულ პოეტს უწ-
ოდებს. მაგრამ ამავე ღრუს არის მთელი ფრთა თანამგზავრებისა,
რომელნიც მარჯვნით იხრებიან.

ყოველ შემთხვევაში რუსულ თანამგზავრულ ლიტერატურაში
იგრძნობა თანდროული ატმოსფერია, შესამჩნევათ დარღვეულია წარ-
სულთან შემაჟავშირებელი ტრადიციები. იხალი ცხოვრების მასალე-
ბის დასაძლევათ გარკვეული სურვილი არსებობს და საჭირო მუშა-
ობა სწარმოებს. ამ მხრივ ქართული მწერლობის განვითარების სა-
საფეხურებზე მოძრაობა შეჩერებულია, „ქართულ მწერლობა“ თა-
ნიმედროობის თვალსაზრისით გაყინულ წერტილს ვერ გადასცდა.
„ქართული მწერლობის“ ფურცლებზე დასახლებულია „გამოუცნო-
ბი სევდა“. უმთავრესი ბრალდების საბაბი არის ის ფაქტი, რომ
საქართველოს ექვსი წლის გასაბჭოების შედეგათ ვერ მივიღეთ „ქა-
რთული მწერლობის“. გასაბჭოება, არ ხანან გარკვეული სახის მქო-
ნე ლიტერატურული თანამგზავრები.

მემარცხენეობის პრეტედენტი ქართული „ფუტურიზმის“ ლი-
ტერატურული ჯგუფი დეკლარატიულათ აღიარებულ მემარცხენეობი-
დან თანამედროობასთან ორგანიულათ შეუკვრელობის მიზნით თი-
თქმის ლიტერატურულ უნაყოფობამდის მივიდა. ამ ჯგუფის მიერ
გადაშენებულ არისტოკრატიულ ოჯახებისა და სალონურ მკითხვე-
ლზე ორიენტაციის აღებამ, ფუტურიზმი როგორც ასეთი ჩანასახში-

ვე გადავგვარა. სამაგიეროთ მივიღეთ ფაქტები, რომ ეს ჯგუფი „ცისფერი ყანწების“ დეკადენტურ ტრადიციებს აგრძელებს.

ქართული პოეზიის ფორმალური რეფორმის მოხდენა მათ ვერ შესძლეს. რაღაც ახალი საზოგადოებრიობასთ ან კაშირის დაუჭირლით, პოლიტიკური მემარცხენოების გარეშე შეუძლებელია ლიტერატურულ რევოლუციის ფაქტი.

მაშასადამე ლიტერატურული მემარცხენეობა არსებითათ დაკავშირებულია პოლიტიკურ მემარცხენეობასთან. გერმანელი მხატვარი გორგ გროსი ბურუჟაზიულ მარტვრობის ფორმალურ კონსერვატიზმის დაძლევით მიერთა პოლიტიკური სატირის წმინდა კლასიურ პროლეტარულ იმოცანამდე. საერთოთ დადაიზმი თუ შეიძლება გავიგოთ ორგორც ტერორი ბურუჟაზიულ საზოგადოებრიობის და ხელოვნების ფეტიშებისა, მაშინ ასეთი „ტერორისტ მხატვარის“ ძიების გზა პროლეტარულ იდეოლოგიისკენ გადის პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მისაღებათ. როგორც ეს გერმანეთში გეორგ გროსმა მოიმოქმედა.

ფუტურიზმი როგორც ლიტერატურული მიმართულება, ევროპისა და რუსეთის მაგალითით, გარკვეულ ლიტერატურულ მოსაზრებებს იძლევა, განსხვავებული ფორმალურ კანონებით ხასიათდება, მაგრამ გარდა ამისა ფუტურიზმი ორგანიულათ უკავშირდება რომელიმე საზოგადოებრიობას. განსაზღვრულ საზოგადოებრივ—კლასიურ ამოცანებს ითვისებს. ქართულ „ფუტურიზმია“ თავის მხრივ ვერ გამოარყენა თავისი საზოგადოებრივი ფუნქცია. ზოგადი ფრაზებით და აბსტრაქტიული მსჯელობით არ შეიძლება თანამედრობასთან ორგანიულ კავშირის დამტკიცება, იტალიაში მარინეტი გარკვეულათ მუსოლინის იმპერიალიზმის ორიენტატორია, რუსული ფუტურიზმი ასი პროცენტით ცდილობს თავისი შემოქმედებითი მუშაობა დაუკავშიროს ოქტომბრის რევოლუციის მიზნებს. და პროლეტარულ პელოვნების შექმნაში დაინტერესებულია. მემარცხენე ფრონტის პოეტები (მაიკოვსკი, ასევე, ტრეტიაკოვი და სხვ.) ძალიან ახლოს დგანან პროლეტარულ პოეტებთან.

რუსული ფუტურიზმის სკოლური ამოცანა-თანამედროვე¹ ინდუსტრიალურ ეპოქის შესაბამისი ბევრა-რიტმის მოვლენების დამუშავება მიზანშეწონილების და უტილიტარული დანიშნულების ნიშნის ქვეშ სწარმოებს. აუცილებლათ დიდი მნიშვნელობა ქონდა რუსული ფუტურიზმის განვითარებაში ხლებნიკოვის ლაბორატორიულ მუშაობას სიტყვაზე. სიმბოლიზმით გადაგვარებულ ლექსს სჭიროდა სასიცოცხლო ენერგიის აღმოჩენა, მხატვრული ხერხების გაშიშვლება

(обнажение приемов) პოეზიის მასალებამდე დაყვანით, სიტყვების ძირების გამოშეგვნით, რათა შემდეგ დაწადებულ მასალებით შესაძლო გამხდარიყო ახალი მხატვრული კონსტრუქციების აშენება, ახალი ადამიანის ემოციონალური მთლიანობის მოცემა:

ქართული „ფუტურიზმის“ ლაბორატორიული მუშაობა თვითმიზნურ „ზუმის“ ფარგლებს ვერ გასცილდა. ლიტერატურული ფაქტი არ შეიძლება იყოს ჰაერში გაღმოყიდებული-საჭიროა გარკვეული ნიადაგი, განსაზღვრული საზოგადოებრივი არე, იდეოლოგიურ-ლიტერატურული მთლიანი ხედვა, რომელიც ქართულ ფუტურიზმს ჯერჯერობით არ ახასიათებს.

თეორეტიულათ ხელოვნებაზე შექნებლობითი ამოცანების დაკისრება, ქართული პოეზიის იგტომატიურობიდან გამოყვანა, ვისმეს-თვის მხატვრული პროცესის გაუცნაურება, ახალი მკითხველის შეძენა-ქართული „ფუტურიზმის“ განუხორციელებელ ამოცანათ დარჩება, თუ ამ ლიტერატურულ ჯგუფმა თავი არ დაიხსნა გამოურკვეველი მდგომარეობიდან, პირდაპირი თანამშრომლობა არ დაიწყო პროლეტარულ მწერლობასთან-ლიტერატურული ინერციით აღებული მემარცხენების გეზი არ შეუთანხმა თანამედროობის საერთო მიმართულებას სოციალისტურ აღმშენებლობის ამოცანებს.

უალრესათ ლიბერალური გრძნობისაა ის დებულება რომ თანამედროობის მოთხოვნილება მხოლოთ მწერლის „ხალხამდე დასვლით“ განისაზღვრებოდეს. ის გარემოება, რომ ხალხსა და პოეტებს შორის ხიდი არი ჩატეხილი და ამ ხიდის გასადებთ „საკმაო სწერო გასაგებათ“. არ რიცხავს „ქართული მწერლობისათვის“ შეუმჩნეველ ფაქტს, რომ თვით ხალხის, დემოკრატიის მცნება ფრიად განურჩეველია, რომ თვით ხალხის ფენებს შორის ხიდი არის ჩატეხილი, არსებობს განსაზღვრული კლასობრივი დაპირდაპირება, კლასობრივი გემოვნება და კლასობრივი მკითხველი.

თუ ჩვენ ასე განურჩევლათ მივიღებთ „ხალხის—მკითხველის“ მცნებას, მაშინ „ნეპის“ პირობებში შერჩენილ და აღმოცენებულ წვრილ-მესაკუთრეთა, ქალაქის მეშჩანობის და ახალი ბურკუაზის იდეურ-ესთეტიურ მოთხოვნილებებზედ უნდა ავილოთ ორიენტაცია. მაშინ მართლაც უნდა დავზოგოთ „ქართული მწერლობა“, რადგან ამ მწერლობის „გამოუცნობ სევდას“ და შინაგან წინააღმდეგობებს ეს ფენები ასაზრდოებენ. მაგრამ საკითხის ლურსმანიც აქ არის ჩამჯდარი, რომ სწორეთ ასეთ ნეიტრალურ და რეაქციონურ გაგებასა და განწყობილებებში ბრალს ვდებთ „ქართულ მწერლობას“.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესთან დაკავშირებულია

მუშათა კლასის ზრდა საქართველოში. პროლეტარული ყოფა ყალიბდება ფორმების მაქსიმალური მიზან-შეწონილებით.

მხატვრული ფორმების ცხოვრების ფორმებზე სრულ დამთხვევამდე პროლეტარულ ხელოვნების მოვალეობაში შედის მხატვრული შეწებლობითი ცხოვრების შეესება. მშრომელთა ფენებიდან მოძღვავებულ ფაქტებით ახალ მკითხველთა კადრების ფსიხიკის ორგანიზაცია კომუნიტურს მიმართულებით. ახალი მკითხველის ემოციონალური მთლიანობის მოცემა. ახალი მკითხველი კი დღითი დღე იზრდება. აქ შეიძლება ხელოვნურ ფაქტების მოხმარების ფარგლებში ადგილი ქონდეს სოციალური გემოვნების ჩამორჩენილობას მავრამ შეიძლება გემოვნების გაკეთებაც. ხელოვნება ცხოვრების შეწებლობის აქტიური იარაღია და ამიტომ იგი მკითხველის მხატვრულათ აღზრდის საშუალებაც არის.

ქართული პროლეტარული ლიტერატურა თანამდებობით იდეოლოგიურ-ლიტერატურულ მთლიანობას აღწევს. ზოგიერთ პროლეტარულ მწერალში ქართული აუდიტორიის რეაქციონურ და შოვინისტურ დოდი ფენის დაწოლამ ზოგიერთი გადახრები გამოიწვია. ეს მოვლენაც დაძლევულ იქნა დროზე. პროლეტარული ლიტერატურის საერთო ხაზი დაცულია, „ძველმა მწერლობამ“ არ ისურვა თუ ვერ შესძლო თანამედროობის პოლიტიკის გახსნა. პროლეტარული მწერლობა სდგას ამ ამოცანების წინაშე. რამოდენიმე არის ნიშნები ახალი ცხოვრების მასალების მხატვრულათ დაძლევისა. აქ საჭიროა უპირველეს ყოვლისა კლასიური-პროლეტარული ხედვა, მერე ლიტერატურული კვალიფიკაცია. (ამ საფეხურზე თითქმის მიაღწია პროლეტარული მწერლობამ). ამ ორი ელემენტის თრგანიული დაკავშირებით ფაქტი გახდება პროლეტარული ლიტერატურის ისტორიული ჰეგემონია როდესაც სრული დამტკიცებით შეიძლება ითქვას პროლეტარულ მწერალზე:

Знал он все человеческие чувства
Но он в чувствах
был един.

(ბეჭიმენსკი)

რომანტიზმი რეალიზმი და ქართული პროლეტარული მწერლობის პერსპექტივები

1. რომანტიზმი რეალიზმი

ქართული პროლეტარული მწერლობის ანალიზი ყოველთვის გვარწმუნებდა, რომ მისი განვითარება მხატვრული რეალიზმის გზით უნდა წარიმართოს. მაგრამ რას ნიშნავს მხატვრული რეალიზმი საქართველოს თანამედროვე პირობებში, როგორია მისი კონკრეტული სახე და პერსპექტივები, — ყოველივე ეს დღემდე გამოუჩკვეველია. მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკა, მეცნიერული ესთეტიკა აჩვევს ლიტერატურული განვითარების შესაძლებლობის და არა ნდომის ფარგლებს. ჩვენ ხშირად ვუდგებოდით ქართულ პროლეტარულ მწერლობას ნდობის სახომით, ვარკვევდით: „რა გვინდა“ და გვავიწყდებოდა გამოგვერკვია: „რა შეგვიძლია“.

განვითარების სინამდვილემ გაანადგურა მრავალი ბუტაფორიული თეორიები იმის შესახებ, რომ შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციონური და არა პროლეტარული მწერლობის შექმნა. მაგრამ ამავე სინამდვილემ მოითხოვა შესწორებანი შეგვეტანა მხატვრული რეალიზმის გაგებაში. პროლეტარულ მწერალთა ცნობილ ჯგუფ „პროლემაფ“-ის (პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტი) დეკლარაციაში წამოყენებული იყო ლოზუნგი მხატვრული რეალიზმის შესახებ და მოთხოვნილება ახალი ყოფა-ცხოვრების ასახვისა ჩვენ მწერლობაში. გადის ორი წელი „პროლემაფ“-ის გამოსვლის შემდეგ და უკვე შეგვიძლია ჯამი გაუკეთოთ მიღებულ გამოცდილებებს.

მაშინ მხატვრული რეალიზმი პროლეტარულ მწერლობაში ჩვენ გვესმოდა, როგორც დოკუმენტალური ასახვა ახალი, მიმღინარე ყოფა-ცხოვრებისა. ეს იყო ვიწრო და პერსპექტივის მოკლებული ფორმულა. განვითარებამ მოითხოვა ამ შეხედულებათა „რევიზია“ და მხატვრული რეალიზმის ფუნქციის, მისი მოქმედების სფეროს გაფართოება.

მხატვრული რეალიზმი არის არა მარტო ასახვა სინამდვილისა, არამედ განსაზღვრული მსოფლშეგრძნობა. რეალისტური შეიძლება

იყენებს ის მხატვრული ნაწარმოებიც, რომელშიაც ეპიურად ასახული კი არ არის ცხოვრება, არამედ გამხატვრულებულია, თუ გინდ ლი-რიკის საშუალებით განსაზღვრული რეალისტური გრძნობა.

სხვადასხვა ეპიურებში, მაშინ როცა გაბატონებული ან მებრძო-ლი ქლასი ჯერ კიდევ პროგრესიულ ძალას წარმოადგენს, მის მხა-ტვრულ მწერლობაში იმარჯვებს რეალიზმი. ყოველ ამ რეალიზმ-თავანს შეეფერება განსაზღვრული საზოგადოებრივ ლიტერატურული და ფორმალურ ლიტერატურული შეფასება. მაგრამ რა არის საერ-თო მათ შორის? ზოგიერთი და მნიშვნელოვანი ხაზები მსოფლ შეგ-რძნობისა: ლტოლვა ცხოვრებისაკენ როგორც ის არის, არა გადა-ხრა სინამდვილისაგან, არამედ მისი შხატვრული მიღება, მისდამი აქტიური ინტერესი, მის კონკრეტულ სინამდვილისადმი ან ცვალე-ბადობისადმი,—ლტოლვა ეს ცხოვრება,—ან გარდაქმნა შედევრად, ან გაამართლო, ან გაამტყუნო, ან ფოტოგრაფიულად გადაიღო, ან გააფართოვო, ან გაასიმოლიურო, მაგრამ სახელდობრ მაინც ეს ცხოვრება, ჩეენი სამი განზომილების ცხოვრება,—როგორც საქმა-რისი, სრულლირებული და ოვითლირებული მასალა შემოქმედებისა. ასეთ ფართო და არა სკოლურ-ლიტერატურულ მნიშვნელობით და-ბეჯითებით, შეიძლება ითქვას, რომ ახალი ხელოვნება იქნება რეალისტური". (ტროცკი „ლიტერატურა და რეეოლიუცია").

თქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

პირველი: ყოფა-ცხოვრების ასახვა არ არის აუცილებელი რე-ალისტ პროლეტარულ მწერლისთვის, იგი იქნება რეალისტი მაშინაც თუ მის შემოქმედებაში პროლეტარულ-რეალისტური პათოსია¹⁾ გამეფებული. ყოველივე ეს არ უარყოფს მაინც იმ დებულებას, რომ რეალისტი მწერალი უმთავრესად სინამდვილის კონკრეტულ მხატვრულ სახეებში ასახვით ხასიათდება. ამ მხრივ მთავარია, როგორც უორუ ზანდი იტყოდა ხოლმე: უცქირო ქვეყანას თვალთახედვის ჯანსაღი ორგანოებით, ასახო ყოველივე ის, რაიც საინტერესოა ადამიანისა-თვის ცხოვრებაში (ჩერნიშევსკი), გიყვარდეს „პოეზია ფაქტების“, გიყვარდეს ცხოვრება ისე როგორც ის არის, და შეგეძლოს უბრა-ლოების სილამაზის აღმოჩენა თვით თანამედროვე ცხოვრებაში და არა შორეულ ემპირერიაში.

მეორე: რეალისტი პროლეტარული მწერალი, თუ კი იგი მხო-

¹⁾ წერილში თითქმის ყველგან სიტყვა „პათოს“-ს ჩეენ გემარობთ „ში-ნაარსეს“ მაგრენ. ასე ვიტარებით ჩეენ არა მარტო ბელინსკის კრიტიკის ტრადი-ციების მიხედვით, არაერთ იმიტომ, რომ განსაზღვრული საზოგადოებრივი იდეა, მხატვრული აზრი მწერლობაში მხატვრული პათოსის სახით გვევლინება.

ლოდ რეალისტია, კმაყოფილი უნდა იყვეს სინამდვილით, მისთვის
მიმღინარე ცხოვრების სტატიური განაკვეთი ყოველივეზე მაღლა
უნდა იდგეს. ამ. მხრივ რეალიზმში არის კონსერვატიზმის ზოგიერთი
სიმბრომები. პროლეტარიატი პექმნის ახალ ცხოვრებას, პროლეტა-
რულ კლასობრივ დიქტატურაზე დაფუძნებულს არა იმიტომ, რომ
იგი კმაყოფილია საერთოდ რომელიმე კლასის დიქტატურით და
კერძოთ პროლეტარიატის კლასობრივ დიქტატურაზე აღმოცნებულ
ცხოვრებით. მისი მიზანია არაკლასობრივ სოციალისტურ საზოგა-
დოების შექმნა და ამიტომ მხოლოდ ის, რაიც უკვე არსებობს პრო-
ლეტარიატისათვის და მისი მწერლობისათვის არ შეიძლება საკმა-
რისი იყვეს. ახალი ყოფა-ცხოვრება, რამდენადაც ხანგრძლივი პრ
უნდა იყვეს ივი, მხოლოდ საშეოლებაა, გარდამავალი საფეხურია
სოციალიზმია და კაპიტალიზმის შორის. ამიტომაა, რომ პროლეტა-
რული მწერალი არ შეიძლება იყვეს და არც არის მხოლოდ რეალი-
სტი. მასში უნდა სცხოვრობდეს, უნდა ვითარდებოდეს რომანტი-
ზმისა და პრაქტიკული იდეალიზმის ზოგიერთი დადგებითი მხარეები.

ჩამოვთვალოთ რომანტიზმის ზოგიერთი დამახასიათებელი თვი-
სებები.

რომანტიკოსი მეოცნებეა, რომანტიკოსისათვის უფრო ლირე-
ბულია იდეალი ვიდრე სინამდვილე, რომანტიკოსი მოუსვენარი და
მუდამ მომქმედია, რადგან არ კმაყოფილდება კაცობრიობის შეირ
უკვე მიღწეული მწერლებით, რომანტიკოსი ბაირონოვით მშეო-
თავი ბრძოლისა და შეტევის, ქარიშხალისა და დაუდეგრობის მომ-
ლერალია. ყოველივე ეს განსაზღვრულ შესწორებებით არ არის უც-
ხო თანამედროვე ადამიანისათვის და განსაუთრებებით პროლეტარუ-
ლი მწერლისათვის. პროლეტარული მწერლისათვის, რა თქმა უნდა,
მიუღებულია ძევლი რომანტიკოსების ბურუუზიული ეგოიზმი, არა
მუდმივობა და მუდმივი რყევა, პესიმიზმი და მისტიკიზმი. მაგრამ
ოცნება დამყარებული მეცნიერულ მიღწევებზე და სინამდვილეზე,
პრაქტიკული იდეალიზმი, გატაცება ჯანსაღი პროლეტარული, რეა-
ლური და არა უტოპიური იდეებით, ჯანსაღი კრიტიკა თანამედრო-
ვებისა მომავლის სახელით—ყოველივე ეს უნდა ახასიათებდეს ქარ-
თველ პროლეტარულ მწერლებს.

რეალისტ მწერლისათვის დამახასიათებელია უფრო გარევანი
ფაქტიური ცოდნა საგნისა და ცხოვრების. ადამიანის პროლეტარუ-
ლად გარდასაქმნელად კი საჭიროა ისეთი მწერლობის შექმნა, რო-
მელიც იძლევა ადამიანის შინაგან ფსიქოლოგიურ სამყაროს და არა
მარტო ამბავს ადამიანთა შესახებ. პროლეტარული მწერლისათვის

აუცილებელია თანამედროვე ადამიანის ყოველმხრივი შესწავლა, შას უნდა შეეძლოს გადმოცემა იმისა, რასაც ფიქრობენ და განიცდიან სხვები. ამისათვის, რა თქმა უნდა, არ არის საჭირო ადამიანის ხელოვნური გაორება, დღეს არ არსებულ ჰამლეტიზმის პრობლემის ამოტივტივება. დღევანდელი ადამიანი არ განიცდის ტრაგიულ გაორებას, მაგრამ მასში მაინც სწარმოებს ბრძოლა ძევლისა და ახლის. ახალ ადამიანში ძევლის დასაძლევად ერთი საუკეთესო საშვალება-თაგანია პროლეტარული მხატვრული მწერლობა.

ამრიგად რომანტიზმის გარდა ჩვენ ვღებულობთ ფსიქოლოგიური რეალიზმის საჭიროებას. პოეზია ფაქტების (გარეგანი ფაქტების), პოეზია ფსიხიკის (შინაგანი ფაქტების) და პოეზია იდეების—აი ის, რაც უნდა ახასიათებდეს, შეიძლება ახასიათებდეს და ნაწილობრივ უკვე ახასიათებს ჩვენ პროლეტარულ მწერალს. აქედან გასაგები ხდება, თუ რატომ არ მიგვაჩნია ჩვენ დამაკაცოფილებლად ტროკის ფორმულიროვა გარდამავალი პერიოდის ხელოვნების რეალისტური ხასიათის შესახებ. ამ საგანზე პირდაპირ წინასწარმეტყელურ სიტყვებს ვხვდებით პლეხანოვის ნაწერებში: „ის ცხოვრება, კარგი ცხოვრება, როგორიც უნდა იყვას იგი მომავალში, ჯერ ხომ არ შექმნილა. ახალი კლასი ჯერ ხომ მხოლოდ მიიღწვის თავის განთავისუფლებისკენ—იგი (საბოლოო განთავისუფლება, ანუ სოციალიზმი პ. ქ.) ჯერ კიდევ თვით არის იდეალი. ამიტომ ხელოვნება, რომელიც იქმნება ამ ახალი კლასის მიერ, იქნება ერთგვარი ნარევი იდეალიზმისა რეალიზმთან. იმ ხელოვნებაზე კი, რომელიც წარმოადგენს ასეთ ნარევს, არ შეიძლება ითქვას, რომ იგი მიიღწვის ასახოს შშენიერება არსებული მხოლოდ სინამდვილეში. არა! ასეთი ტიპის მხატვრებს არ შეუძლიათ დაქმაყოფილდენ სინამდვილით, მათ, ისე, როგორც იმ კლასს, რომლის მხატვრები არიან ისინი, სურთ ნაწილობრივ გარდაქმნან, ნაწილობრივ დაუმატონ ამ ცხოვრების თავიანთი იდეალის მიხედვით“.

ამრიგად აზროვნებისა და სინამდვილის ლოლიკას მიყვართ იმ დასკვნამდე, რომ მხატვრული აზროვნება პროლეტარული მწერლის რომანტიულ-რეალისტურია, რომ მისი ლიტერატურული კვალიფიკაცია შეიძლება რომანტიული რეალიზმის სახით, ანუ გმირული რეალიზმი, როგორც ნათქვამია რეკოლიუციონურ რესერტის მხატვართა ასოციაციის (AXPI) დეკლარაციაში. ეს ის რომანტიული რეალიზმია, რომელიც იძლევა იმას, რაც არის სინამდვილეში, რაც არ არის, მაგრამ უნდა იყვას და რაიც გვინდა, წრომ იყვეს მომავალში. ასეთი რომანტიული რეალიზმი შეარიგოს თანამედროვე

მწერლობაში თანამედროვე ბალზაკი და ეორუ ზანდი სწერდა ბალზაკს: „ოქვენ იღებთ ადიმიანს ისე, როგორც იხატება იგი თქვენს შთაბეჭდილებაში; მე კი ვგრძნობ ჩემში მოწოდებას განვასახიერო იგი ისეთად, როგორადაც მინდა ვხედავდე“. რომანტიკული რეალიზმი შეარიგებს „ნდომასა“ და „არსებულს“. ხდება შერწყება იდეის და სინამდვილის, რაც შესაძლებელია მხოლოდ ჩვენ პროლეტარულ საზოგადოებაში, სადაც სინამდვილე არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ იდეალს და პირიქით.

2. მხატვრული-აზროვნების სტაგილიზაცია

ყოველ ახალ ლიტერატურულ ეპოქას მიუძღვის ეპოქის მხატვრული აზროვნების წინასწარი განმტკიცება-სტაბილიზაცია. ახალი საზოგადოებრივი პირობები იძლევიან მარაგს ახალი მხატვრული აზროვნებისას. ნაწილობრივ მაინც საჭიროა განმტკიცდეს ახალი საზოგადოებრიობა, ახალი ყოფა-ცხოვრება, რომ მომწიფდეს ამ საზოგადოებრიობისათვის შესაფერისი მხატვრული აზროვნება. ქართული პროლეტარული მწერლობის მთელი ტრაგედიაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ახალი პროლეტარული საზოგადოებრიობის მოუმწიფებლობის გამო, ჯერ მოუმწიფებელი რჩება პროლეტარული მხატვრული აზროვნებაც. რუსეთში პროლეტარულ საზოგადოებრიობას შედარებით ძლიერი წარსული და ტრადიცია აქვს. ამიტომაა, რომ რუსი პროლეტარული მწერლები ნაკლებ რყევას განიცდიან. იქ მხატვრული აზროვნება გარდამავალი პერიოდისა უკვე მომწიფებულა, რადგან მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი და პროლეტარული საზოგადოებრიობა ასაზრდოებს მას. ჩვენში პროლეტარიატი სუსტი და მცირერიცხოვანია, პროლეტარული საზოგადოებრიობა თითქმის პარტიისა და კომერციის რიგებით ამოიწურება. ამ მხრივ ჩვენი პროლეტარული მწერლობისათვის ყველაზე უფრო ღირებულია და საყურადღებოა ის, თუ რამდენი ქარხანა გაიხსნება ქუთაისსა, ხონისა, ოზურგეთსა და სხვაგან, რომ განვითარდეს პროლეტარული საზოგადოებრიობა, რომ აღიზარდოს მკითხველი და მწერალი.

სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ პროლეტარული მხატვრული აზროვნების სტაბილიზაცია არ დამთავრებულა, დაუმთავრებელი და მოუმწიფებელი რჩება ჩვენში მხატვრული რეალიზმი, ფსიქოლოგიური რეალიზმი და პროლეტარული რომანტიზმიც—თუმცა ყველა ამათი ელემენტები უკვე მოგვეპოვა.

„პროლემატი“-ის გამოსვლამდე ქართულ პროლეტარულ მწერლობაში გაბატონებული იყო სამოქალაქო ომის განყენებული ლი-

რიკა. მოხდა გადასცლა რეალიზმში და ემოციონალურ ლირიკაზე. ამ გადასცლას ხელი შეუწყო სოციალისტურ აღმზენებლობის დასაწყისმა და ახალი საზოგადოებრიობის ნაწილობრივია ზრდამ. სამიწყისმა და ახალი საზოგადოებრიობის ნაწილობრივია ზრდამ. სამიწყისმა და ახალი შეციდა პროლეტარული მარტივული რეალიზმის განვითარება: ფსიქოლოგიური რეალიზმის, რომანტიული რეალიზმის და ახალი ყოფა-ცხოვრების ასახვის გზით. ფსიქოლოგიური რეალიზმი კულტურული უფრო განვითარდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. ნაწილობრივ ამავე გზით წავიდა კარლო კალაძის, კალე ფეოდოსიშვილის, ალიო მაშაშვილის და სხვათა შემოქმედებაც. გმირულ რეალიზმს იძლევიან იგივე მწერლები, უმთავრესად მაშაშვილი, კ. ფეოდოსიშვილი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ. ამავე ავტორებს და ელიზბარ პოლუმორდვინოვს აქვთ ცდები ყოფა-ცხოვრების ასახვისა.

მაგრამ წინასწარ საჭიროა, გავარკვიოთ რა არის მთავარი რეალიზმის ამ სხვადასხვა ნაწილებში. ფსიქოლოგიური რეალიზმისათვის ჩვენ პროლეტარულ მწერლობაში დამახსიათებელია ახალი ადამიანის ტპირები რიგში თვით შემომქმედის შინაგანი სამყაროს ხილვა ანუ ემოციონალური ლირიკა. აქ ჩვენი ავტორები აშიშვლებენ თავიანთ ფსიქოლოგიას, ეთიურ მორალურ და ესთეტიურ სახეს. კ. ლორქიფანიძე ანგითარებს კულტურულის სიყვარულისას, ააშ-კარავებს ახალ ადამიანის ეროტიულ განცდებს („წერილი სატრფოს“, „მე და შენ“ და სხვ.), კ. კალაძე ფართას ხსნის ახალ ადამიანში კომუნისტურ ინტერნაციონალიზმის შოვინიზმთან ბრძოლისას („ტფილისი“, „ნახტომი გულიდან“ და სხვ.) ა. მაშაშვილი იძლევა სურათს ახალ ადამიანში პესიმიზმის და მისტიკურიზმის ოპტიმიზმთან და აღმშენებლობითი პათოსთან ბრძოლისას („გადახრა მთვარისენ“, „მტკვარისტანი“ და სხვ.). კ. ფეოდოსიშვილი ანგითარებს კულტურულ ეთიკისას. მოვიყვანოთ მშვენიერი მაგალითი მის ლექს „ქალაქის ბალში“-დან:

„მე მამას მოვკლავ, დავახრიობ დედას,

რევოლუციამ თუ კი მიბრძანა...“

ამრიგად ფსიქოლოგიური რეალიზმი ქართულ პროლეტარულ მწერლობაში ხასიათდება შემდეგი თემებით: „სიყვარული“, პიროვნების როლი რევოლუციაში, ნაციონალური საკითხი, კომუნისტური ეთიკა, პესიმიზმის, გაორების პრობლემა და სხვ. ჩვენ ქვემოთ დაუსამთ საკითხს, თუ რამდენად პროლეტარულად გადასჭრეს ეს თემები ჩვენმა ავტორებმა, ჯერ კი გვაინტერესებს მხოლოდ თემატიური საზღვრების აღმოჩენა.

გმირულ რეალიზმს, იდეათა პოეზიას ჩვენში ახასიათებს

შემდეგი თემები: რევოლუციონური ბრძოლის პერსპექტივები, კლასობრივი იდეათა იდეალიზაცია, ურბანიზმი,—სოციალისტური აღმშენებლობა, რევოლუციონური ინტერნაციონალიზმი და სხვ.

ყოფა-ცხოვრების ასახვის ცდები კი მიმდინარეობს ორი მთავრობითი გარი თემატიურ-გეოგრაფიული დაყოფის მიხედვით: ქალაქი და სოფელი. ჩვენი ქვეყანა გლეხური ქვეყანაა და ამიტომ გასაგებია, რომ ამ ორ თემათაგან უფრო გულდასმით მუშავდება სოფელი. ამ მხრივ არის ზოგიერთი საშიშროებანი: პროლეტარულ მწერლობის ცენტრი—ქალაქი ან გაქალაქებული სოფელი უნდა იყვეს. მაგრამ რადგან მცირეოდენი მოგვეპოება ასეთი ცენტრები, შესაძლებელია პროლეტარულ მწერლობაში გლეხური გადახრები.

ყოფა-ცხოვრების ასახვის მხრივ ცდები ჰქონდათ: კ. კალაძე (“ტრადიცია ამ!“ და სხვ.) კ. ლორთქიფანიძეს (“გუგა როგავა“ და სხვ.) ა. მაშაშვილს (“ურმული“) და ე. პოლუმორდვინოვს. შეეცადა აგრეთვე იონა ვაკელი ჩვენი რევოლუციონური წარსულის ასახვას (“ნასაკირალი“), რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა მწერლებმა. ასეთი ცდები ჰქონდა ნოე ზომლეთელსაც.

როდესაც ჩვენ განვსაზღვროთ თემატიური საზღვრები, შევიძლია დავსვათ საკითხი: რამდენად პროლეტარულად გადასჭრა ჩვენმა მწერლებმა და პოეტებმა წამოჭრილი პრობლემები? საკითხის ასეთი დასმა ააშეარავებს მთელ რიგ გადახრებს ჩვენ პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებაში. დავიწყოთ ნაციონალური საკითხით; რადგან ამ საკითხში შედარებით მეტია გადახრები. ინიციატივა ეკუთნის კ. კალაძის პოემა „ტფილის“-ს, სადაც იგი აცხადებს:

„და თუ ტფილისის სიყვარულმა ბევრი მოღალა

სამშობლო მიწის რაინდებთან ვდგები მხარ და მხარ!!!“

ამ პოემას მოჰყვა მთელი „ლიტერატურული ალიაქოთი“. მაგრამ კალაძისათვის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ იგი შეძლებს ამ გადახრათა გამოსწორებას და „ნახტომი გულიდან“ უკვე ნაბიჯია წინ „ტფილის“-თან შედარებით. „ხომ სულ ერთია არ დავბრუნდები“ ძველ საქართველოსკენ—ამბობს ამ ლექსში პოეტი.

ა. მაშაშვილსაც ემჩნეოდა ზოგიერთი რეება ნაციონალურ საკითხში („ლოდინი“, „გადახრა მთვარისკენ“ და სხვ.) „გადახრა მთვარისაკენ“-ში პოეტი, თუმცა თვალცრუმლიანი, მაგრამ მაინც სამუდამოდ ემშვიდობება მთვარეს, სადაც მთვარე ძველი საქართველოს სიმბოლოა:

„თუ კიდევ ეს მთვარე პოეტის გულია,

და გინდა იცოდე სად მივა, სად...“

ბედო უბედურო, ხომ დაკარგულია
შენი დრო, იმედი და შენი გზაც!?.“

შედარებით უმტკიერეულოდ გადასჭრა ნაციონალური საკითხი
პროლეტარულ პოეზიაში კ. ლორთქიფანიძემ:

„სანამდე ელავს გაბასრული ხმალი კომუნის
მე ჩემ სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშვივი.“

(„წინაპრებს“)

რა-თქმა უნდა გაუგებრობა იქნებოდა ნაციონალურ საკითხ-
ზე ლექსების წერის წინააღმდეგ გალაშქრება. კარლ მარქსის დებულე-
ბა იმის შესახებ, რომ პროლეტარს სამშობლო არა აქვს,—მასინჯად
არ უნდა იქმნეს გაგებული. ეს პოლიტიკური დებულება მექანიკურად
არ შეიძლება გადავიტანოთ ფსიხოლოგიის სფეროში. ფაქტია ის,
რომ პროლეტარს შრომის სამშობლო უყვარს და არ შეიძლება გა-
ვამტკიეროთ პროლეტარული მწერალიც შრომის სამშობლოს, სამ-
შობლო ბუნების, მისი ყოფა-ცხოვრების სიყვარულში. მაგრამ გადა-
ხრები იწყება იქ, სადაც ჩენი მწერლები წარმოიდგენენ „საქართ-
ველოს“, როგორც განყენებულ ზეკლასიურ ცნებას, როცა დაიწყე-
ბენ ძელ ფერდალურ, ერეკლესა და სააკადემიის საქართველოს იდე-
ალიზაციას.

ჰქონდა ადგილი ჩვენს პროლეტარულ მწერლობაში ინდივიდუ-
ალისტურ და მისტიურ გადახრებასაც. ესენინის ინდივიდუალურმა
ტრადიციამ ღრმა კვალი დააჩინა მთელ ლიტერატურას. ესენინის
გავლენით, ავადმყოფურ მისტიკიზმის ნიმუში მოგვცა კ. ლორთქი-
ფანიძემ ლექსით „შავი კაცი“. ეს ჯერ-ჯერობით ერთად ერთი ლე-
ქსია ლორთქიფანიძის, სადაც იგი გადახრების გზით მიდის, საერ-
თოდ კი მისი შემოქმედება ყველაზე უფრო „უცოდველია“. რა თქმა
უნდა, ისევ შეცდომა იქნებოდა, გვეთქვა, თითქოს პროლეტარული
მწერლისათვის არ არსებობს მწუხარება, ინდივიდუალიზმის პრობ-
ლემა, რომ ის კლდესავით ურყევი უნდა იყვეს და სხ. ყოველ შემთხვევაში
ასე აცხადებდა ერთი პროლეტარული პოეტი გაზეთ „5 მაისის“ ფუ-
რცლებზე. აქ რა თქმა უნდა შეცდომასთან გვაქვს საქმე. პროლეტა-
რული მწერლისათვის არსებობს, და არ შეიძლება არ არსებობდეს
მწუხარება. ლენინის სიკვდილის დღეს ყოველი პროლეტარული მწე-
რალი მწუხარებამ მოიცო, მაგრამ ეს მწუხარება ნამდვილ პროლე-
ტარულ მწერალს პესიმიზმადე არ მიიყვანს. მან იცის, რომ მოკ-
ვდა ადამიანი, მაგრამ სცოცხლობს საქმე და იდეები. პროლეტარული
მწერლისათვის არ შეიძლება არ არსებობდეს პიროვნება, მაგრამ
მხოლოდ და მხოლოდ, როგორც ჰარმონიული ნაწილი კოლექტივისა.

აელნიშნეთ რა მთელი რიგი გადახრებისა ჩვენ პროლეტარულ
მწერლობაში, საჭიროდ მიგვაჩნია გამოვარკვიოთ მათი გამომწვევი
მიზეზები. გადახრების მიზეზები ჩვენ უნდა ვეძიოთ პირველ რიგში
ჩვენი პროლეტარული სახოვადოებრიობის სისუსტეში. მეორე: პრო-
ლეტარული მხატვრული აზროვნების მოუმწიფებლობაში; მესამე:
ახალ ეკონომიკურ პოლიტიკის არ გაეგებაში და მის მიერ გამოწვე-
ულ „პესიმიზმში“; მეოთხე: ჩვენი მწერლების ცხოვრებიდან ნაწი-
ლობრივ ჩამოშორებაში და მეხუთე: ემოციონალური ლირიკის სი-
კარბეში. ამ მიზეზების კომპლექსი საქმაოდ ღიძიები ძალაა, რამაც
გადახრების მთელი რიგი გამოიწვია.

ამ გადახრებმა, როგორც ვსთვეთ, ემოციონალურ-ფსიქოლო-
გიურ ლირიკაში ჰპოვეს თავისი ფორმა. ხოლო ემოციონალური ლი-
რიკა კი არ არის საშიში მხოლოდ ისეთი პროლეტარული მწერლი-
სათვის, რომლის შინაგან ბუნებაში არავთარი „ფრაქციები“, არ
იბრძვიან, რომელიც მთლიანად, სისხლითა და ხორცით პროლე-
ტარული, ახალი ადამიანია, რომელსაც კ. ფეოდოსიშვილივით შეუ-
ძლია სთვას:

„მე გადავწყვიტე მთლიანი გულით
ახალი ქვეყნის დავრჩე ერდგული!“—

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური
რევოლუცია მოხდა, ძევლი ყოფა-ცხოვრების ნგრევა და ფსიხიკის
რევოლუცია მხოლოდ ეხლახან დაიწყო. ამიტომაა, რომ ბევრი ქა-
რთველი პროლეტარული მწერალი რევოლუციასთან გონიერივად
და არა ემოციონალურად მოვიდა. ამიტომაა, რომ განყენებულ და
გონიერივ საბარიკადო რიტორიულ ლირიკიდან ემოციონალურ ლი-
რიკაზე გადასვლისას, ჩვენი ზოგიერთი პროლეტარული მწერალი,
ლირიკაში თავისი შინაგანი ბუნების გაშიშვლების შემდეგ,—ფსიქო-
ლოგიურად ნაწილობრივად კონსერვატორი აღმოჩნდა.

3. უსაგნო ლირიკის ზინააღმდეგ!

უანრის პრობლემა პროლეტარულ მწერლობაში ერთ საყურად-
ღებო საკითხთაგანია და ჩვენ უნდა განვიხილოთ იგი, რადგან ლა-
პარაკი გვქონდა ლირიკის სიჭარეზე. ჩვენ არა ერთხელ აღნიშნეთ
ის ფაქტი, რომ ჩვენში განსაკუთრებით მოისუსტებს ეპოსი და პრო-
ზა. ამიტომაა, რომ დღესაც არ ჰქარგავს აქტუალობას ქართული
პროლეტარული მწერლობის ეპიური გადახალისების ლოზნგი. რო-
გორც ვსთვეთ, რეალისტისათვის დამახასიათებელია ყოფა-ცხოვ-
რების ასახვა. რეალისტს უყვარს ცხოვრება და ეძებს მასში ტიპი-

ურს და საინტერესოს. იგი ცდილობს მხატვრულ სისტემაში მოიყვანოს ეს ტიპიური, რისთვისაც აუცილებელია ცხოვრებისადმი ეპიური მიღვომა. ეპოსი, ეპიური პროზა, ეპიური პოემა, სიუჟეტიანი ლექსი—ყველა ფორმებზე უკეთ იძლევა საშუალებას ცხოვრების ასახვისას. ქართულ პროლეტარულ მწერლობაში გამეტებულია უმთავრესად უსაგნო, არა კონკრეტული, რაღაც საერთო ხასიათის ლირიკა. არის მრავალი ლექსი, სადაც შეგიძლიათ უკანასკნელი ტაეპი პირველის ალაგის მოათავსოთ, პირველი კი შუაში და ლექსი ისეთივე დარჩება, როგორიც იყო. შეგიძლიათ შეამოკლოთ ან გაადიდოთ ასეთი ტიპის უკეთ დასტამბული ლექსი—და იგი ისევ არ შეიცვლება. ყოველივე ეს მომასწავებელია ავტორთა, არა მარტო ფორმალური სისუსტის, არამედ იმისა, რომ მათ არ გააჩნიათ მთლიანი მხატვრული განცდა, დასრულებული ემოციონალური გეგმა (замысел), ერთი სიტყვით ემოციონალური ქაოსია.

რუსეთის კონსტრუქტივისტები ერთი მხრივ და პროლეტარული მწერლობის თეორეტიკოსი გ. ლელევიჩი მეორე მხრივ დაექინებით მოითხოვენ რუსული მწერლობიდან კონკრეტულობას, სიუჟეტის დიქტატურას და ეპიურობას. აქ ჩვენ გვიხდება მხოლოდ გავიმეოროთ ურნალი „Госплан литературы“. „ლიტერატურულ კონსტრუქტივიზმის ოთხი მთავარი პრინციპი—შემდეგია: 1) აზრითი დომინანტა, 2) ლიტერატურულ მასალის ერთეულზე აზრითი დატვირთვის გადიდება, მხატვრული სიტყვის ტექადობა.

3) ლოკალური პრინციპი ე. ი. თემის დაძლევა მის ძირითად აზრით შემადგენლობიდან. აქედან გამომდინარეობს თემისთვის ლექსიკონის, რიტმის ეპიტეტის და სხვ. შერჩევა.

4) გამოყენება პოეზიაში თხრობისა და საერთოთ პროზის ხერხებისა.“

ჩვენშიაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთივე შინაარსიანობისათვის, სიუჟეტისათვის და სიტყვიერი მასალის ეკონომიკისათვის ბრძოლას. მაგრამ ამასთანავე შეცდომა იქნებოდა მოგვეთხოვა პროლეტარული მწერლობიდან მხოლოდ ეპოსი. ერთ-ერთი საკუთხეს მებრძოლი ახალი ადამიანის ფსიქოლოგიურად განმტკიცებისათვის—ლირიკა და მის წინააღმდეგ ბრძოლაც გაუგებრობა იქნებოდა. ჩვენ მხოლოდ აღნიშნავთ, რომ უნდა მოხდეს და ნაწილობრივ უკვე ხდება კიდევ მხატვრული პროზის და ეპოსის გაძლიერება, რაც სრულებით არ ნიშნავს კონკრეტული ლირიკის უარყოფას. ამ მხრივ—მხატვრული პროზის სასარგებლოდ, კრიტიკის მიერ წარმოებულმა აგიტაციამ საგრძნობი დადებითი ნაყოფი გამოილ.

ზოგიერთი პროლეტარული პოეტები, რომლებსაც შეეძლოთ, გადადიან ან უკვე გადავიდენ პროზაზე (კ. ლორთქიფანიძე, ე. პოლუშორდვინოვი), გამოდის ახალი კადრიც, რომლებიდანაც შესაძლებელია, საქმაო თვითგანვითარების შემდეგ კარგი პროლეტარული ბეჭდეტრისტები გამომუშავდენ (ლომია და ზოგიერთი კამაჯაშირელი მწერალი), ყურადღებას იქცევენ აგრეთვე ზოგიერთი მუშა ბეჭდეტრისტები (ნ. ასლამაზაშვილი და სხვ.).

პროზისა და ეპოსის პრობლემასთან დაკავშირებით მკითხველი-საგან წინასწარ მოველით შემდეგ კითხების: თუ კი პროლეტარული საზოგადოებრიობა სუსტია, თუ კი ახალი ადამიანის ყალიბობა არ დამთავრებულა, სად მონახოს შემომქმედმა მთლიანი და ყოველმხრივი ტიპი რომანისათვის, ეპიური ნაწარმოებისათვის. ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრებაა საჭირო. მართლაც; თანამედროვე გმირი, ახალი დღეების ტიპი მხოლოდ იზრდება, იგი მწერლის თანამედროვეა და დასრულებული არ არის მისი ზრდა. თუ ეს ასეა, ერთადერთი გამოსავალი და რჩება: მწერალმა უნდა მიმართოს გოგოლის მეთოდს. თუ კი არ არის მთლიანი გმირი, რომელიც ლ. ტოლსტოის და ო. ჭავჭავაძის გმირიებით რომანის დასაწყისიდან უკანასკნელ ფურცლამდე მოქმედებდეს, თუ კი არ არის მთლიანი და საინტერესო სიუჟეტი—მაშინ მხატვარმა გოგოლისებურად უნდა მოგვცეს, და შეუძლია მოგვკეთ ტიპების გალერეით შეერთებული ერთ მთლიან სიუჟეტიან ნაწარმოებში დროში და მდგომარეობით. გოგოლი („მკვდარი სულები“) იძულებული იყო მოეცა უმრავლესობა თავის ნაწარმოებებში („ტარას ბულბას“ გარდა) არა მთლიანი ტიპი არა-მედ რამოდენიმე „პატარა“ გმირები, მაშინდელ ადამიანთა სხვადასხვა ფსიქოლოგიის და თვისებათა მატარებელი. მისი თვითეული გმირით წარმოდგენილი იყო მაშინდელი ადამიანის თითო ან ორი სპეციფიური ხაზი. ასე იქცეოდა გოგოლი იმიტომ, რომ წრე, რომელსაც იგი ასახვდა არ იძლეოდა უნივერსალურ და მთლიან ტიპს. ასეთი მეთოდი უეპერლად უნდა იქცევდეს თანამედროვე ქართველ პროლეტარულ მწერლის ყურადღებას მანამ, სანამ იგი ვერ შესძლებს ჩვენ საზოგადოებრიობაში ჰპოვოს უნივერსალური ტიპები.

მაგრამ არც ის აზრი არის საქსებით მართალი, თითქოს თანამედროვეობა არ იძლეოდეს თემას, სიუჟეტს და გმირს. როცა პუ-შეინმა „ევგენი ონეგინი“ დასტამბა, მაშინდელ საზოგადოებას იგი „მოსაწყვნად“ მოექვენა. „ევგენი ონეგინში“ ჩვეულებრივი ამბავიაო, ონეგინი ჩვეულებრივი ადამიანიაო, ამბობდენ ისინი. მაგრამ „არაჩეულებრიობის“ მოყვარული პუშკინის მკითხველები მოსტყუვდენ: „ევგენი

ონეგინი“ დარჩა ეპოქალურ ნაწარმოებად მიუხედავად, იმისა. ომშ
მასში მაშინდელი არისტოკრატიული საზოგადოებისათვის ჩვეულებ-
რივი ადამიანის ტიპი იყო მოცემული.

სწორედ ეს ჩვეულებრივი და ამასთანავე ტიპიური ადამიანი
ძნელი მოსაძებნი არ არის ჩვენ თანამედროვე ცხოვრებაში. ჩვენი
გმირული პროზის დღები არც ისე უფერულია, როგორც „არაჩვეუ-
ლებრივი“ სიუჟეტის მოყვარულო ჰგონიათ. საჭიროა მხოლოდ პი-
რობები, რომ პროლეტარულმა მწერალმა პოვოს თემა, სიუჟეტი და
ტიპი: პროლეტარული მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ცხოვრებას,
უნდა უყვარდეს იგი და სცხოვრობდეს თანამედროვების ცხოვრე-
ბით, უნდა აინტერესებდეს ყოველი მოვლენა ამ ცხოვრებაში, კარ-
გად უნდა ერკვევოდეს მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებში და
იყვეს იმდენად მომზადებული და ნიჭიერი, რომ განახორციელოს
მთლიანი სიუჟეტიანი ეპოსი, რადგან კარგი თემის პოვნა ხშირად
მხოლოდ ნიჭიერ მწერალს შესწევს.

ეპაური ცდები საქმიანდ იყო ჩვენს მწერლობაში. აღვნიშნოთ
მაგ. 6. ზომლეთელის პოემები, ა. მაშაშვილის „ურმული“, კ. ლორ-
ლქიფანიძის სიუჟეტაანი ლექსები და რომანი „გუგა როგავა“¹⁾ კ-
კალაძის „ტრალედია ოხ!“ და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს წვეთია
ზღვაში, ცდებია ხშირად სუსტი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი. ეტყობა ჩვენ ავტორებს ეპოზის ტექნიკის უცოდინარობა, რადგან
ეს ახალი საქმეა, რომელიც სპეციალურ მომზადებას და მუშაობას
ითხოვს. სწავლა და შრომა კი ბევრ პროლეტარულ მწერალს მაინც
და მაინც არ უყვარს! პრივილეგია ეძლევა ლირიკას იმიტომაც რომ
იგი უფრო „ადვილია“.

4. ახალი მხატვრული ფორმის ძიება

ისევ „პროლემატ“-ის გამოსელასთან უნდა დავაკავშიროთ
ქართული პროლეტარული მწერლობის ფორმალური გაძლიერება.
დაიწყო ძიება ახალი ფორმების, ძიება ძლიერი სახვითი საშუალებე-
ბის. დღეს ჩვენ ვდგევართ უდაო ფაქტის წინაშე: პროლეტარული
მწერლები შედარებით თავისუფლად სარგებლობენ მასალით, თავი-
სუფლად იყენებენ სხვა და სხვა ლიტერატურულ მიღწევებს და ბევრს
თავისი, ორიგინალურიც შეაქვს მწერლობაში. მხატვრული სრულ-
ყოფის მხრივ პროლეტარული მწერალი რა თქმა უნდა კიდევ საჭი-
როებს სწავლას და ზრდას. პირველ რიგში პროლეტარულ მწერლებს

¹⁾ აღნიშნული რომანი სხვა სახელშოდებით იცემა სახელგამის მიერ ცალ-
კე წიგნად.

უხდებათ თანამედროვე მხატვრული რეალიზმისთვის შესაფერისი მხატვრული ფორმის გამომუშავება. მაგრამ ამ ძიებაში, როგორც არა ერთხელ გვითქვამს ადგილი ჰქონდა ფორმალურ გადახრებს. ეს გადახრები არ არიან საშიში, რამდენადაც ისინი მხატვრული აზროვნების განმტკიცებასთან პარალელურად მიმდინარეობენ, მაგრამ ეს გადახრები სიმპტომატიური და საშიშია იმდენად, რამდენადაც ფორმალური ძიება კლასობრივ იდეოლოგიიდან დახევასთან პარალელურად სწარმოებს.

ზოგიერთი ამხანაგი ამტკიცებს, რომ პროლეტარული მწერლობის შექმნა, მისი მხატვრული ფორმის შექმნით უნდა დაიწყოს. მწერლობის სპეციფიურობა მხოლოდ მისი ფორმის მხატვრულობაში მდგომარეობს—ამბობენ ეს ამხანაგი ლუნაჩარსკისთან ერთად, და ამასთანავე იმეორებენ ფორმალისტ შეკლოვსკის დებულებას: „ლიტერატურული ნაწარმოები წმინდა ფორმაა“—ო. აქაც შეცდომასთან გვაქვს საქმე.

(მხატვრული მწერლობის სპეციფიურობა უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ მწერალი ესთეტიკურად აზროვნებს, რომ იგი ესთეტიკურ ემოციებში განიცდის სამყაროს და ცხოვრებას. მხატვრული ფორმა კი მხოლოდ საშუალებაა, რომლითაც იგი ანსაზოგადოებრივებს თავის ესთეტიკურ განცდებს, მხატვრულ ნააზრებს. განსაზღვრული მხატვრული პათოსი ეძებს განსაზღვრულ მხატვრულ ფორმას, და არა პირიქით. ამიტომ აუცილებელი არ არის, რომ ახალმა მხატვრულმა აზროვნებამ წარმოშვების პირველ დღიდანვე ახალი ფორმა პჰოოს. შესაძლებელია და ასეც ხდება, რომ საკუთარი ფორმის გამომუშავებამდე ახალი მხატვრული აზროვნება ტანთ იცვამს ნაწილობრივ ძველ ფორმას.) ამას ფორმის საკითხში ულტრა-, „მემარცხნები“ და არსებითად კი მემარჯვენები „ფორმალურ კონტრ-რევოლუციას“ უწოდებენ. ასე რომ ვიმსჯელოთ, „რეაქციონერი“ იქნებოდა პროლეტარული პოეტი ნოე ზომლეთელი და უდაო პროლეტარულ, ეპოქალურ ნაწარმოების „ცემენტის“ ავტორი გლადკოვი, რომლის ნაწარმოები საესეა ისეთი სახეებით, როგორიცაა: „ქარხანა ითხოვს შესაწირს, როგორც სამსხვერპლო“—.

ლიტერატურის ისტორიას ბევრი ახსოებს ზემოდ მოყვანილ მაგალითების ანალოგიური მდგომარეობა. დღეს, როდესაც პროლეტარული მწერლობა ფორმალურ ნიმუშად იღებს კლასიკების რეალიზმს, ასეთი „მემარცხნება“ უადგილოდ გვეჩვენება. ლიტერატურის ისტორია არ იქმნება მოულოდნელი ნახტომებით „ლიტერატურულ კონტრ-რევოლუციიდან“, „ფორმალურ რევოლუციამდე“.

უოველი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესი ხასიათდება შემდეგი დიალექტიკით: შემომქმედის გონებაში ჩაისახება ჯერ ის საერთო იდეა-პათოსი, რომელსაც გერმანელები „geholt“-ს ეძახიან. შემდეგ კი ხდება კონკრეტიზაცია ამ საერთო იდეის, კლებულობთ შემოქმედებითი პროცესის შემდეგ, დამთავრებულ სახეს, სურათს, გერმანულად „Bild“-ს იგივე მაგრამ უფრო დიდის მაშტაბით მეორ-დება მწერლობის ისტორიაში.

ფუტურიზმის თეორეტიკოსებთან ერთად ზოგიერთი მარქსისტები ამტკიცებენ, თითქოს ძევლი მხატვრული ფორმის ცვლა ახა-ლით ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ძევლი დაბერდა, ვაკუოთა და ახალი უნდა წარმოიშვას ისე „თავისითავად“ ეგრედ წოდებულ კონ-ტრასტა კონკის, „გაუცხოვების ხერხის“ (прием остроневния) თა-ნახმად. ჩვენის აზრით, ახალი მხატვრული ფორმა არის შედეგი მხოლოდ და მხოლოდ ახალი საზოგადოებრივი ძალების ზრდის და ახალი მხატვრული აზროვნების. ილია ჭავჭავაძის აზროვნებაში წი-ნასწარ მომწიფედა განსაზღვრული მსოფლმხედველობა, რომ მას ხიდი ჩატეხილად უნდა გამოეცხადებია თავად-აზნაურობის და გლეხობის შორის და მხოლოდ შემდეგ ამ იდეამ ჰპოვა თავისი ფორმა იმ სიუ-ჟეტსა და მხატვრულ ნაწარმოებში, რომელსაც ჰქვია „ოთარაანთ ქვრივი“.

აგრეთვე უდაოა ისიც, რომ პუშკინის აზროვნებაში წინასწარ არსებობდა შეხედულება პუგაჩივზე, როგორც ბანდიტზე და მაწან-წალაზე, როცა მან ეს იდეა მხატვრულ სხეულში ჩამოაყალიბდა („Капи-танескай дочки“). კიდევ მშევრიერ მაგალითს იძლევა იგრვე პუშ-კინი: მის ხელთნაწერებში არის ისეთი დაუმთავრებელი ლექსი, სა-დაც თავზე მოყვანილია „განცდათა კონსპექტი“, რომელიც მას სურს გამოსთქვას: „მე მომწყინდა ცხოვრება, სიმწუხარეა ირგვლივ“ და სხვ. ამ ემოციებს, პროზაულად ჩამოთვლილს, არავითარი კონ-კრეტიული მხატვრული სახე არ მოეპოება, მაგრამ იქვე ვხვდებით ლექსს ამ „თეზისების“ მიხედვით დაწერილს, ეს ემოციები გამოიქმუ-ლია განსაზღვრულ სიუჟეტის და მხატვრული სახეების საშუალებით.

ამ რიგად: განსაზღვრული მხატვრული იდეიის, პათოსის გამო-მუშავების შემდეგ მწერალი ეძებს თემას, იმუშავებს სიუჟეტს, აგ-როვებს სიტყვიერ და სხვა მასალას და შემოქმედებით აქტში აძ-ლებს მას საბოლაო მხატვრულ ფორმას. მხატვრული ფორმა, „ფო-რმალური მხარე“ უკანასკნელი აქტია მხატვრულ შემოქმედების პროცესში. ჯერ აზრი—განცდა—პათოსი, შემდეგ ფორმა. ჯერ შრომა, შემდეგ ბევრა—რიტმი. ჯერ „რა“, შემდეგ „როგორ“ (პო-ტებნია).

ასევე ხდება მწერლობის ისტორიაშიაც. ამას ვერ უარყოფენ თვით ზოგიერთი ფორმალისტებიც, რომელთაგანაც ნასესსხებია „ვა-უცხოების ხერხი“: „სტილის ევოლუცია, როგორც მხატვრულ-სიხვი-თი საშუალებების ანუ ხერხების მთლიანობა, მჭიდროთ დაკავშირებულია მხატვრულ-ფსიხოლოგიურ მოცემულობა, ესთეტიურ და-ხელოვნებასა და გემოვნებაზე აგრეთვე ეპოქის საერთო მსოფლშეგ-რძნებაზე“ (ვ. უირმუნსკი).

თუ მხატვრული აზროვნება მწერლობის ისტორიაში უფრო ადრე მუშავდება, მაშინ უდათა შინაარსის ფორმაზე პრიმატი, უპირატესობა. ზოგიერთი ქართველი პროლეტარული მწერლები და თეორეტიკოსები ამ აზრს არ ეთანხმება. არ ეთანხმებიან იმ აზრ-საც, რომ არსებობს ფაქტიური სხვაობა მხატვრულ პათოსს და ფო-რმას შორის. მაგრამ, როგორც ზემოდ დავინახეთ, არამც თუ მწე-რლობის ისტორიაში, არამედ თვით შემოქმედებით პროცესში ასე-თი გაორება არსებობს. ჩვენთვის საინტერესო იყო, ის მეცნიერუ-ლი ფაქტი, რომ შინაარსი უსწრებს ფორმას, რომ პირველით განი-საზღვრება ხასიათი მეორესი, რომ არსებობს პრიმატი შინაარსისა ფორმაზე, მაგრამ ჩვენ აქედან სრულებით არ გამოგვყავს ის ნორმა-ტიული კანონი, თითქოს პროლეტარულმა მწერალმა ნაკლები უ-რადღება უნდა მიაქციოს მხატვრულ ფორმას.

„თუ პროლეტარიატის ხელში არსებობს დღეს საზოგადოებ-რივ-პოლიტიკური შინაარსის შეუცდომელი კრიტერიუმი ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებისათვის, მას არ მოეპოება ასეთივე გან-საზღვრული პასუხები ყველა საკითხში მხატვრული ფორმის შესა-ხებ“ — ნათქვამია საკავშირო კომპარტიის ცეკას რეზოლუციაში მხა-ტვრული მწერლობის შესახებ. აქედან დასკვნიდენ, რომ მთავარი გულის ყური უნდა მიექციოს ფორმალურ ამოცანებს, რაიც შეცდომაა და სრულიად არ გამომდინარეობს რეზოლუციის ამ ამონაწერიდან. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ პროლეტარიატს მხატვრული ფორმის სფეროში შეუცდომელი კრიტერიუმი ჯერ არ მოეპოება. მერე განა აქედან გამომდინარეობს, რომ პროლეტარულმა მწერლობამ უმთავრე-სად „ფორმალურ მხარეებზე“ უნდა იზრუნოს? რეზოლუციაში ლაპა-რაკია კრიტერიუმზე და არა პროლეტარულ მწერლობის ამოცანებზე. შემდეგ ის ფაქტი, რომ პროლეტარიატს პირველ რიგში უკვე შეუმუ-შავებია სახელდობრ საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის შეუ-ცდომელი კრიტერიუმი — აშეარად ლალადებს იმის შესახებ, რომ — პროლეტარიატისთვის პირველ რიგში, უმთავრესად და უპეველი სა-კირო ყოფილა კრიტერიუმი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინა-არსისათვის.

ის ამხანაკები, რომლებიც ასეთ განმარტებას იძლევიან ცუკას რეზოლუციისას, ობიექტიურად ხელს უწყობენ ფორმალურ გადახ- რებს, და ივიწყებენ პლეხანოვის ცნობილ სიტყვებს: „მწერლობის დაკინება სხვათა შორის იმაში გამოიხატება, რომ ფორმას უფრო აფასებენ ვიდრე შინაარსს“—ო.

პროლეტარულ მწერლობაში ფორმალურ გადახრების შედეგად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ჩვენში განხიადებულია სიტყვის და ბგერის დამოუკიდებელი მნიშვნელობა მწერლობაში, რის გამო სა- თანადო ყურადღება არ ექცევა თემატიკის პრობლემას. ზოგიერთე- ბი კი თემატიკას შინაარს და პათოს უთანაბრებენ, რითაც სრულე- ბით სპობენ თემატიკის პრობლემას. პარალელურად ამისა შეიქმნა ბგერათა და ალიტერაციის აპოლოგია, რომელიც არისტოკრატი- ულ-ფეოდალურ ბესიკის შემოქმედების და ფუტურიზმის უმოწყალო შერევისგან წარმოიშვა და რომელიც პროლეტარულ პოეზიაში მხო- ლოდ მუსიკის თხოულობს. ამიტომ იყო, რომ ჩვენში პროლეტარულ- მა მწერლობამ ამ ბოლო ხანებში განვლო ალიტერაციის განვითა- რების ასე ვსთქვათ, „ოქროს ხანა“, რომელიც ისევე უშედეგოთ ჩა- ივლის, როგორც ყოველი უმიზნო და უშინაარსო „გამოვონება“.

სიტყვა მასალაა და არა მიზანი მწერლისათვის. მწერლობაში სიტყვის ფუნქციაა, მისცეს საშუალება შემომქმედს გაღმოგვცეს პა- თოსი. ამრიგად თვით სიტყვათა განსაზღვრულ „შინაგან კანონის“ მიხედვით კომპოზიცია კი არ იძლევა მწერლობას, არამედ სიტყვა- თა მხატვრულ აზროვნების მიხედვით გამოყენება იძლევა იმის სა- შუალებას, რომ მან (სიტყვამ) ემსახუროს ადამიანს გრძნობათა გან- საზოგადოებრივობისათვის. ვ. ეირმუნსკი სიტყვას მწერლობაში ნეი- ტრალურ მნიშვნელობას აკუთვნებს. და მართლაც, სადაც არსებობს მხოლოდ ბგერითი ათვისება საგნისა, იქ უკუგდებულია მთლიანი მხატვრული, ემოციონალური შეგრძნობა, ურომლისოდაც არ არსე- ბობს თვით ხელოვნება.

როგორც ზემოდ ვსთქვით ჩვენს კრიტიკაში და მწერლობაში ნაკ- ლები ყურადღება ექცეოდა თემატიკის პრობლებას—თემატიკის, სიუე- ტის, უანრის და სხვ. პრობლემები სულ გამორჩათ „ფორმალურ ამო- ცანებში“, ეს მაშინ, როცა მხატვრული მწერლობა არის ხელოვნება თემატიური. „პოეტიკის საკითხების გარშემო თანამედროვე შრო- მების დიდ უმრავლესობის ძირითად ნაკლათ ჩაითვლება ის გარე- მოება, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად მეტ ყურადღებას აქცევენ კომპოზიციის საკითხებს, ვიდრე თემატიკის საკითხებს“. ამობს ვ- ეირმუნსკი. ასეთ დავიწყებას თემატიკის პრობლემისას აქვს ადგილი

ეხლაც ჩვენ პროლეტარულ მწერლობაში, რაიც სპეციფიურ ხასიათს აძლევს ფორმალურ გადახრებს საქართველოში.

აღნიშნულმა ფორმალურმა გადახრებმა განსაკუთრებული სიმახინჯის სახე მიიღო ლიტერატურულ პრაქტიკაში. ფორმალურად „სენსაციურ“, მაგრამ ემიციონალურად და პათოსით ტრაფარეტულ და შაბლონიურ ა. მაშაშვილის პოემა „დარიალს“ მახინჯი მიბაძების მთელი ტალღა მოჰყვა. ეს იმიტომ მოხთა, რომ ასეთი ტრავიალურ-სენტიმენტალური პოეზია შესაფერისი აღმოჩნდა ობივატელურ აუდიტორიისათვის და მეორე მხრივ „ალიტერაციის“ პოლოგეტი კრიტიკოსები აღტაცებით შეეგებენ ამ მეშჩანურ სოციალურ დაქვეთის შესრულების „დაწყებას“. როგორც ესთქვით ამ „დაწყებას“ მოჰყვა მიბაძებით მთელი ტალღა. როგორც კურიოზი მოვიყენოთ მაგალითი სანდრო ეულის უკანასკნელ ლექსიდან, რომელსაც ზოგიერთი მეტად უხვი და ბგერებით გატაცებული თეორეტიკოსები შედევრად აცხადებენ:

„ჩემგან შეშლილი პოეზიის ცეცხლში შიშინებს.

გაშიშვლებულა შიშის გამო ჩემგან შეშლილი;

შენ, უშიშარო თავო ჩემო რა შეგაშინებს!

დავჭრი ცეცხლ რაშით და მამშვენებს დროშა გაშლილი“

(„ცეცხლში და მხეში“).

5. მხატვრული ცოდნის ნაციონალურის კოლორიტი

საზოგადოებრიობა, რომელშიაც სცხოვრობს მწერალი, აძლევს მას მასალას მხატვრული ფორმის შესაქმნელათ. სახეების მეტაფორების, რიტმის, რითმის დაწყობის ხასიათი დამოკიდებულია ამავე საზოგადოებრიობის ხასიათიდან. ცნობილია, რომ სტილი—ადამიანია.

ქართველი პროლეტარული მწერალი სცხოვრობს იმ ქვეყანაში, რომელიც თავისი მრავალი სხვადასხვა თვისებების და ხასიათების შეერთებებით იძლევა „საქართველოს“. კლასობრივი პროცესები, საზოგადოებრივი დიფერენციაცია და ზრდა ახალი საზოგადოებრიო ბის ჩვენში. შინაარსით არ განირჩევა ამავე ტიპის პროცესებისგან, მაგალითად, რუსეთში ან სხვა საბჭოთა ქვეყანაში. განსხვავება არსებობს მხოლოდ განვითარების ტემპში და ფორმაში. განსაზღვრული ისტორიული და გვოგრაფიული პირობები ჰქმნიან განსხვავებულ ფორმას ყველა საბჭოთა ქვეყნებისათვის შინაარსით საერთო პროლეტარულ საზოგადოებრიობის განვითარებისათვის. ამიტომაა. რომ ფორმით, კოლორიტით, ნაწილობრივ თემატიკითაც პროლეტარული

მწერალი საქართველოსი უნდა განსხვავდებოდეს რუსეთის ან სხვა ეროვნების პროლეტარულ მწერლებიდგან. ის გარემოება, რომ ტემპი ახალი საზოგადოებრიობის განვითარებისა სხვა გვარია ჩვენ ქვეყანაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით—იძლევა განსხვავდებულ ფორმას, სიუკეტს და სხვ. ის გარემოება კი, რომ ჩვენი ქვეყანა გეოგრაფიულად და ისტორიულად განსხვავდება სხვა ქვეყნის ყოფა-ცხოვრებისგან აძლევს შემოქმედს განსაზღვრულ მხატვრულ ფორმას; სახეების, რიტმის, წყობის და ლექსიკონის მარაგს.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენში? როდესაც ჩვენ ვთარ-გმნით ქართველ პროლეტარულ მწერლის ნაწარმოებს რუსულ ენაზე, ისინი მაინც და მაინც არ განსხვავდებიან ბეზიმენსკის, დოროშინის ან ფაროვის ნაწარმოებიდან. განსხვავება კი, როგორც ვსთქვით, უნდა არსებობდეს, რა თქმა უნდა არა აზროვნებაში, არამედ თემებში და ფორმაში. ამ მხრივ ქართველი ნაციონალური ლექსიკონის და ფორმის პროლეტარულ მწერლობაში განსამტკიცებლად საქამაოდ ნაყოფიერად მუშაობს კ. კალაძე, რომელიც ამ მუშაობაში ხშირად აქარბებს და სიძველეთა ალდეგნამდე მიდის, რაც მის მხატვრულ აზროვნების ზოგიერთ სპეციფიურ თვისებებიდან გამომდინარეობს. კ. კალაძე გამონაკლისი არ არის, მაგრამ პროლეტარულ მწერლობაში ნაციონალური კოლორიტის შემოტანას ჯერ კიდევ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ნაციონალურ კოლორიტის განმტკიცების პარალელურად არ უნდა იქმნეს დავიწყებული მხატვრული ფორმის პროლეტარიზაციის პრობლემა, რაც მთავარია ჩვენს სინამდვილეში.

როგორც ვსთქვით პროლეტარული საზოგადოებრიობა უკარნახებს თავის მწერალს როგორც შემოქმედებით პათოსს ისე ფორმას. ავილოთ მაგალითისათვის რუსი პროლეტარული მწერალი კაზინი; მან იმდენად გააპროლეტარულა მხატვრული სახეები, რომ განთიადი მას ეხატება როგორც „Каменщик взносящий кирпич“, ან და შეეძლეს, რომელიც რუს ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლობაში კველაზე უფრო იცნობს ქალაქს—აქვს ასეთი ადგილი, სადაც იგი პატარა რონოდების (вагонетки) ხმაურს ახლად გამოსულ საბჭოთა ვერცხლის ფულის ჩერიალს ადარებს. გოლოდნი კი სწერს:

„Ветер, ветер, сыграй мне марсельезу

На балалаке проводов.“

ადამიანის ბუნება გამსკვალული უნდა იყვეს პროლეტარული ქალაქის, საბჭოთა ცხოვრების სიყვარულით, ამ ცხოვრებაში უნდა იყვეს გათქვეფილი, რომ ასეთი სახეები შეჰქმნას. როგორ მდგომარეობას ვხედებით ამ მხრივ ჩვენ პროლეტარულ მწერლობაში. ავილოთ მა-

გალითად კ. ლორთქიფანიძის ცნობილი ლექსი „წერილი სატრატოს“. იდეოლოგიურად, პათოსით ეს ლექსი პროლეტარულია. ამ ლექსში ოდესაც მოჯამაგირე, ეხლა კი რევოლუციის გმირი ახალგაზრდა ეშვეიცობება წინათ მის საყვარელ ქალს, რადგან იგი (ქალი) არის ისეთივე ტიპის მოქალაქე, ადამიანი, როგორც ვაჟი. ახალ ადა-მიანს კი არ სწამს სიყვარული განყენებული, სიყვარული ცხოველუ-რი. მაგრამ დავაკვირდეთ ამ ლექსის სახეებს:

„მე გავყევ ღელვას,
თქვენ ჩაგეცვათ ვერცხლის ქოშები.
იდექით გედივით ხის მოაჯირზე,
რომელსაც ბავში ვადარებდი კლდეს გიმალაის.
და უცქეროდით მოჯამაგირეს....“

აქ არისტოკრატიულ ყოფა-ცხოვრების და მდგომარეობისათვის მშვენიერი დამახასიათებელი სახეებია გამონახული. „ვერცხლის ქო-შები“, „გედივით“ დგომა,—ყოველივე ეს მშვენივრად გვიხატავს არისტოკრატ ქალს, ან კიდევ ხის მოაჯირი გიმალაის კლდესავით გადმომდგარი ქუთაისში ბაგრატიონის გორაზე,—იძლევა უტყუარ ილიუზიას თავადიშვილის არისტოკრატიულ სახლის შესახებ, რომ-ელსაც ახასიათებს დიდი, ქალაქზე და ქუჩაზე გადმომდგარი მოაჯი-რი. ასეთივე დამახასიათებელია არისტოკრატი ქალისათვის შემდეგი აღწერა:

„და თქვენ ბაგეებს ვარდის ფერი უორსეს
ამოსკვდებოდა ჩურჩული ტებილი“ და სხვ.

მაგრამ გადავიდეთ ეხლა ამავე ლექსში მოცემულ მოჯამაგირის ტი-პზე. ეს მოჯამაგირე ისეთივე მთავარი გმირია ამ ლექსის, როგორც ქალი. როგორც ზემოდ ესთქვით მოჯამაგირის განცდები ლექსში კარგადაა მოცემული. მაგრამ რა კონკრეტიულ სახეობრივ ფორმებ-შია მოცემული ეს მშრომელი ტიპი? აქვს თუ არა მას გამონახული ისეთივე დამახასიათებელი თვისებები როგორც არისტოკრატ ქალს:

„მე მაშინ ვიყავ მოჯამაგირე.
და გიმალავდით“

ამას ვკითხულობთ ჩვენ მოჯამაგირის შესახებ და სხვა არავითარი კონკრეტიულობა არ ახასიათებს ამ ტიპს.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ მიუხედავათ ჩვენი მწერლე-ბის სწორი პროლეტარული ორიენტაციისა მათ არ მოეპოვებათ მა-რავი პროლეტარულ ყოფიდან ამოღებულ სახეებისა, ბევრი მათგანი იდეოლოგიურად პროლეტარული მწერლებია, ყოფა-ცხოვრებით კი

არა პროლეტარული. ასეთი გაორება საკმაოდ საშიშია და იგი შეიძლება იდეოლოგიურ გადახრებათ იქცეს.

ამრიგად ორი მთავარი ხაზით უნდა წავიდეს ჩვენი ფორმალური ძიება: პროლეტარული და ნაციონალური. ეს ორი ცნება სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს. „პროლეტარული თავისი შინაარსით და ნაციონალური ფორმით,—ასეთია ის საკაცობრივი კულტურა, რომლისაკენაც მიღის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა არ უარყოფს ნაციონალურს, არამედ მას აძლევს შინაარს, და პირიქით, ნაციონალური კულტურა არ უარყოფს პროლეტარულ კულტურას, არამედ აძლევს მას ფორმას“—ამბობს ამ. სტალინი ერთ-ერთ თავის სიტყვაში. და ჩვენც გვგონია, რომ პროლეტარული მწერლობა საქართველოსი პროლეტარული შინაარსის და ნაციონალური კოლორიტის პროლეტარულ ფორმასთან სინთეზის გზით უნდა განვითარდეს.

მოსკოვი 20 — 26/XII — 26 წ.

გიგლიორაფია

პ. 3—ლი.

ილია ქავჭავაძე, კ. კაპანელი და „კომუნისტის“ კრიტიკოსი მო—ლი.
(კ. კაპანელის „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“—გამოსვლის
გამო).

ჩვენს ლიტერატურაში ამ რამდენიმე წლის წინად დიდათ კუთხით გავრცელებული და რამდენიმეთ დღესაც არის, ამა თუ იმ მწერლისადმი უკრიტიკოდ მიდგომა, მისი კერპად მიღება.

კრიტიკულ აზრს მწერალზე, თუ ეს მწერალი ეროვნულ ბანაკს ეკუთხნდა, ჯერ კიდევ გუშინ ჩამოგართმევდენ ერის უუდიდეს ლალატათ, მისი წმიდათა წმიდის შეურაცხყოფათ, და ვინ იცის რა სახელით არ მოგნათლავდენ.

ნამეტურ ეს ითქმის ილია ქავჭავაძის შესახებ, რომლის „გამოქმაგებით“ და „დამცველობით“ ბევრმა უნიკომ და ვიგინდარამ „სახელი“ და „ქართველი“ გაიკეთა და სახვრელიც არ მოიკლო.

მარქსის სოქვა: მე მარქსისტი არა ვარო, როდესაც შეხედა, რომ თავის მოძლვრებას ამ მოძლვრებისავე სახელით ამახინჯებდენ და ილია ქავჭავაძეც, რომ ცოცხალი იყვნს და ისმენდეს თავის კრიტიკოსების მიერ დღეს გამოთქმულ აზრებს, უშპელად გაიმიჯნებოდა მათგან და იტყოდა: არა, მე თქვენ მიერ დახატული ილია ქავჭავაძე არა ვარო.

ის რაც ილიას თავის სიცოცხლეში ერთი წუთითაც არ უფიქრია, რაც მას გულსა და სულში არ გაუტარებია, რისი პრეტენზიაც მას არც ერთხელ არ განუცხადებია, დღეს მისი კეთილის მყოფლები მიაწერენ მას.

ის, კაპანელი, რომელიც მარქსიზმს ეარშიცება და რომლის ნარქისიზმიც თავის წიგნის წინასიტყვაობის იქით არ მიღის, ილიას უწოდებს შრომელთა განთავისულებისათვის უუფიდეს შებრძოლს, სოციალიზმისა და რეფორმიულის პირებს მოციქულს საქართველოში, კოლექტივიზმის დამაშევრებელს და სხვა. ამას სწერს ის ილია ქავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა გარჩევის მიხედვით.

ზოგიერთი კრიტიკოსები ილიას ორ პიროვნებათ ყოფენ. მათი დაფასებით გამოდის, რომ ილია მხატვრულ ლიტერატურაში სოციალისტი იყო და პუბლიცისტიკაში კი რეაქციონერი. ჩვენის აზრით მწერლის დაფასებაში ასეთი მიდგომა ყოვლად შეუძლებელია. ილია

სრულებით არ იყო ასეთი გაორებული პიროვნება. ილია ერთი გარკვეული სახის მქონე იყო, როგორც მხატვრულ შემოქმედებაში ისე ბუბლიცისტიკაში. და თუ პოეზიაში მას სთვლიან, მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლათ და თითქმის რევოლიუციონერიად და სოციალისტიად, ეს იმას ნიშავს, რომ ამის დამწერნი ან ერთობ ყალბი წარმომდგენისა არიან სოციალისტობასა და რევოლიუციონერობაზე და მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლობაზე, და ან სტრიქონებში შინაარს ვერ კითხულობენ, ყოველ შემთხვევაში აქ ილია არაფერ შუაშია.

ორიოდე სიტყვა ჩევნი ინტელიგენციის ერთ ნაწილზე, რომელმაც შემოიტანა ქართულ მწერლობაში და ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს კერპთაყვანის მცურმლობა.

ჩევნი ინტელიგენციის ეგრძელ წოდებული მაღალი ფენები, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ თვითმპურობელობისადმი რევოლუციებს აკეთებდა, მისი იმედით ცხოვრობდა, თვითმპურობელის ჩამოსვლის გამო მის სურათებს ხატავდა და ჩამოსვლისათან დაკავშირებით განახლების რაღაც იმედებს გამოსთქვამდა, „ნამესტნიკის“ კორებში ატუზული ნიკოლოზ შეორეს გულმუხრავალედ ესალმებოდა და უქვეშევრდომილეს გრძნობებს უცხადებდა, ძეველ ლერთებს აგრე იოლად ვერ ელევა და ცალი თვალით კიდევ იქითკენ იყურება, ცალი ფეხი კიდევ იმ ქვეყანაში უდგია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით მან ბევრი რამ დაკარგა. მას ხელიდან გამოეცალა საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე მონოამოლიური მდგომარეობა, მისი ლაქლაქი, ფაფხური და პრტყული სიტყვებით კორიანტელის დაყენება ახლა ითარა საქმაო საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის. მას დღესაც ვერ შეუგნია ისტორიის ძალთა სრბოლა და ამ სრბოლაში თავისი როლი.

ის ახლაც ოლიმპიის მთაზეა, ბრძნულად დაყურებს დაბლა ქვეყანას და ყოველი ქუჩის მოსახვევში ჩუმად ჩურჩულებს იმაზე, თუ როგორ შეირყვნა საზოგადოებრივი მოღვაწეობა, კულტურა, მწერლობა და სხვა.

ქართველ ინტელიგენციის ამ ნაწილში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ერთობ გაძლიერდა ნაცარქექიაობის თვისება და ეს ჩიტი—რეკია კაცუნები იმ უდიდეს და გრძნდიობულ საქმიანობაზე, რომელიც დღეს სწარმოებს საქართველოს კულტურულ ექონომიურ აყვავებისათვის, თვალებს ხუჭავნ და იმ დღის იგონებენ ნეტარებით, როდესაც საზოგადოებრივ მოღვაწეობას მათხოვრობის ხასიათი ქონდა და კულტურულ საქმიანობას ქველმოქმედების შინაარსი.

აი ამ ხალხის ზეგავლენით, მათი გემოვნების მიხედვით და მათზე ანგარიშის გაწევით დაწერილია კაპანელის ზემოხსენებული წიგნი.

კაპანელი თუმცა საჯაროდ აცხადებს, რომ ის მწერლებს და მწერლობას იხილავს სოციოლოგიური თვალსაზრისით და იცავს ორგანორიკოპიზმის პრინციპებს, რომელსაც მახლობელი კავშირი აქვს მარ-

ქსიშმთან, მაგრამ ეს წიგნის წინასიტყვაობის იქთ არ მიღის და მწერლებსა და მწერლობას კი უდება ჩვეულებრივი, ან ურა პატ-რიოტულ და ან კიდევ გადაქარხებული, გადამღაშებული საზომით. მის წიგნში არავითა გარკვეულ მსოფლმხედველობაზე ლაპარაჯი არ შეიძლება. მისი წიგნი წაომთადგენს ნამდვილ ინტელიგენტურ გა-უგებრობას. შეუძლებელია სოციოლოგიური თვალსახრისით მწერ-ლობის მკვლევარმა ილია ჭავჭავაძე დახატოს და გაასაღოს სო-ციალისტად, სოციალისტური წესწყობილების მოთაყრინედ, შრომის სამეფოს მომღერლად და სხვა. ეს იმას ნიშანავს, რომ ილიას ლექ-სების სტრიქონების იქთ შინაარსი არ დაინახო და კერპთაყვანის-მკემლობით მიუდევ მის პიროვნების დათასებას. სანამ კაპანელის აზრებს შევეხებოდე, ორიოდე სიტყვა ილია ჭავჭავაძის შესახებ.

ილია ჭავჭავაძე იყო მესამოცე წლების ერთი თვალსაჩინო მო-ლვაწეთაგანი. მაშინდელ მოღვაწეებს მარქსისტობას ვერავინ ვერ მოსთხოვს და არც მარქსისტობით ვერავინ გაამტკუნებს და დამ-ცირებს. მაშინ მარქსიზმის განვითარებისათვის საჭირო ნიადაგს ჩვენი ცხოვრება არ იძლეოდა.

მე-60 წლების მოღვაწეებს ჟუდიდესი ამაგი მიუძლვით ქართ-ველი ხალხის წინაშე. იმათ პირველებმა ჩაუყარეს, ასე ცისტევათ სა-ფუძველი თანამედროვე წევნ მწერლობას. იმათი მოღვაწეობა მაშინ-დელ ხანაში პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენდა. თითქმის მე-90 წლებამდი ქართული საზოგადოებრივი საქმე იმათ ებარათ და ავად იყო თუ კარგად, უძლევებოდენ მას. ეს იყო მანამდი, სანამ ისტო-რიის ასპარეზზე მუშათა კლასი გამოვიდოდა. ამის შემდევ მათ მო-ლვაწეობას დაეკარგა პროგრესიული ხასიათი, ვინაიდან ისინი ქვეყ-ნის განახლებისათვის მოწოდებულ მუშათა კლასს კრიჭაში ჩაუდევნ.

ცხოვრების განვითარებამ გაარღვია ის ვიწრო კალაპოტი, რო-მელიც ბატონყმობის მოსპონის პირველ ხანებში შეიქნა ჩვენში. ჩენს ცხოვრებაში ფეხი შემოსდგა, თავისი პრეტენზია განაცხადა და თავისი ისტორიული ადგილი დაიკავა ისტორიისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის მოწოდებულმა მუშათა კლასმა. იმდენად, რამდენადაც მესამოცე წლების მოღვაწეები მათ დაუპირდაპირდა, ისინი მოხვდენ რეგრესისტების ბანაში.

ი. ჭავჭავაძე და საერთოდ მე-60 წლების მოღვაწეობის პოლიტიკური კრედო რუსეთის ტახტის ლოიალიზმის იქთ არ მი-დიოდა. შინაურ სოციალურ საკითხებშიაც ერთობ ვიწრო პროგრამა ქონდათ. მას შემდეგ დაიწყეს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ წერა, რო-დესაც ეს საკითხი მმართველ სუეროებში უძვე გადაწყვეტილი იყო. მათი ნაწერები ბატონყმობის ცხოვრებიდან არ წარმოადგენს ბატონ-ყმობის ინსტიტუტისა და წოდებირივობის უარყოფის, არამედ მათი სურვილი იყო ადამიანური დამოკიდებულება დამყარებულიყო ბა-ტონსა და ყმის შორის. ილია ჭავჭავაძემ კაცია ადამიანს ტუშილად არ წარუმდვარა ეპიტეტათ „მოყვარეს პირში უმძრახე“. ლუარსაბ თათქარიძეები ილიას შტერი კი არ ყოფილა, ილია მისი დაცემისა

და განადგურებისათვის კი არ ილტვოდა, არამედ მისი განკაცებისა გაადამიანებისა და გაუსლტუროსნების მომხრე იყო. ილიას მასზე გული შესტკიოდა და მწარეთ მოსთქამდა. აკაკი, ორბელიანები და სხვები ბატონყმობას პატრონებათ სთვლიდენ და ცხადია მათ მის წინააღმდეგ რა ექნებოდათ.

მათი პოეზია და მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ერთ საქმეს ემსახურებოდა: ქართველი ერის კულტურულად ამაღლებას და ამ ერის სხევა და სხვა წოდებების შორის აღამიანურ დამოკიდებებულების დამყარებას. აქ არავითარ გაორებას აღვილი არ ქმნია. აქ მხოლოდ კრიტიკოსების გაუგებრობასთან და დაუფასებლობასთან გვაქვს საქმე.

შეიძლებოდა თუ არა მეტი ფართო პროგრამის წამოყენება იმ ხანებში? რასაკვირველია, შეიძლებოდა—ამის თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთია რუსეთი. იქ მე-60 წლებში გაცილებით ფართო სოციალური მოძრაობა შეიქნა. გლეხობის უმიწაწყლოთ განთავისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობა ერთობ ძლიერი იყო. საქმე იქაშდი მივიღა რომ ინტელიგენცია ხალხში გავიდა და ტერორს მიმართა. ჩვენში ასეთი არათერი მომხდარია. აქ მესამოცე წლების მოღვაწეებმა, ძალიან კუდშეკვეცილად განახორციელეს რუსეთის მესამოცე წლების მოძრაობა, თუმცა იმათ გავლენის ქვეშ კი იყენება. არც ერთ ძეგამოცე წლების მოღვაწეს არ დაუყენებია საკითხი, გლეხების უძიწაწყლოდ განთავისუფლების გამო, მათ უმწეო მდგომარეობის შესახებ.

ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწეები, უმთავრესად თავადაზნაურთა წრიდან გამოსულნი იყნენ ასე ვსთქვათ, თავადაზნაურობის წრეში მობუზღუნე შინა თპოზიციონერები. ამგვარი იყო ილია ჭავჭავაძისა და ორბელიანების დავა. აქ ორი საქართველო კი არ ებრძოდა ერთმანეთს, როგორც ამას ბევრი ჩვენი ისტორიკოსი სწერს, არამედ ერთ და იმავე წოდების შეილებს დავა ქონდათ თავადაზნაურობის კონსერვატიულ და კულტურულ თვისებებზე. ილია და მესამოცე წლების ბევრი სხვა მოღვაწე თავადაზნაურობის კულტურულ განვითარების მომხრე იყო. ორბელიანები კი ძველი ადათ ჩვეულებების და ძველი კულტურის მოყვარე.

ამგვარად მესამოცე წლების მოღვაწეთა ეკონომიკური პროგრამა ერთობ ვიწრო იყო, თავადაზნაურული ინტერესებით ნაკარიანები და პოლიტიკური კი, შინა თპოზიციონური, ტახტისაღმი ლოიალური და შემგუებლური.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ასეთად არ მიაჩნია ის მარქსიზმის მთარშიყედა და მწერლობის „სოციოლოგიურ მეთოდით“ მკვლევარ კ. კაპანელს. აბა დაუყდეთ ყური, თუ როგორ ახურდავებს იგი თავის „სოციოლოგიურ მეთოდს“ და ას რას წარმოადგენს მისი „ორგანოტროპიზმის პრინციპები“ პრაქტიკულ სინამდვილეში. ავტორი ეხება „აჩრდილს“ ზოგიერთ ადგილებს და სწერს:

„ქართულ ლიტერატურაში ჩვენ არ გვეგულება უკეთესი დიდება შრომისა და რევოლუციის. საქართველოში ჯერ ვერც ერთ მწერალს ვერ გამოუთქამს ეგრე ინტენსიურად და ძლიერად რევოლუციის უცილებლობა“.

ცოტა ქვემოდ:

„ილია ჭავჭავაძე არამც თუ იღებს რევოლუციას, იგი ქადაგებს რევოლუციის უცილებლობას კულტურის რეორგანიზაციისათვის და სხვა“...

კიდევ უფრო ქვემოდ მოყვანილია ილიას „აჩრდილი“-დან შემდეგი ტაქტი:

„მაშინ მაშვრალო შენ განკაცდები წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ, სხვას ძირს არ დასცემ, თვით ამაღლდები, არც ვის ემონვი და არც იმობებ“.

და დასძენს:

— „რა არის ეს თუ არა სოციალისტური წესწყობილება. საკვირველი, რომ ამ სიტყვების შემდეგ ილია ჭავჭავაძეს აბრალებენ რეაქციონერობას. რა კაციც არ უნდა ყოფილიყო ილია კერძო ცხოვრებაში, ლიტერატურისათვის იგი წარმოადგენს უდიდეს და უძლიერეს ლირებულებას სწორედ როგორც რევოლუციონერი“.

მაგრამ სანამ არსებითად შევხებოდეთ ამ ამოხაწერებს, კიდევ მოეცვან ერთ დამახასიათებელ ადგილს. კაპანელი სწერს:

„... ცხადია რა კარგად ყოფილი გარკვეული ილია ჭავჭავაძე იმ იდეოლოგიაში, რომელიც მან შრომის პრინციპით კოლექტივიზმისა და ხალხოსნობის იდეით შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში. იმ დროს თვით რუსეთის ლიტერატურაში არა გვაქვს ჩვენ ისეთი გარკვეული რევოლუციონურ - დემოკრატიული და სოციალისტური იდეიბი, როგორც ილია ჭავჭავაძის „აჩრდილშია“ მოცემული“.

აი როგორი აბდა-უბდამდე და სულელურ გაუგებრობამდე. მიდის კაპანელის „სოციოლოგიური მეთოდი“, და ორგანოტროპიზმი ილია ჭავჭავაძე და სოციალისტი, რევოლუციის მოთაყვანე, ხალხოსნობის იდეიის შემოტანი! მოდი და ნუ გაეცინებათ. შევლევარი, რომელიც ამას სერიოზულად ამტკიცებს, მას ჯვარი უნდა დაესვას. მან ამ მხრივ გადააჭირბა ილია ჭავჭავაძის ყველა ურა დამთასებლებს. სილოვან ხუნდაძეც კი აღიარებს, რომ ილია სოციალისტი არ იყოო და დასძენს:

„ილია იდეალი იყო წოდებათა შორის სოლიდარობის თანხმობა, მაგრამ ისე, რომ თავადი თავადათ დარჩენილიყო, აზნაური აზნაურად და გლეხი გლეხად“.

არც ერთი ილიას თაყვანისმცემელი იქამდი არ მისულა, რომ ილია სოციალისტად გამოეცხადებია. განა მე-60წლებში ნათქვამი – „სხვას ძირს არ დასცემ თვით ამაღლდები“ სოციალისტურ წესწყობილების ქადაგებაა? ასეთი სოციალისტმი ალბად კაპანელის ლაბორატორიებში თუ ცხვება, თორებ ცხოვრებამ არ იცის. ილია ჭავჭავაძის შრომის სუფევის დამყარება ისეთი ხასიათისაა, რომ ის თა-

ვადაზ-ნაურობის არაფერს დაკლებს, ანუ როგორც ამს. მაღაქიძი ტორმშელიძე ამბობს, უსიამოვნებას არ მიაყენებს. ეს სწორედ რომ ახალი უებარი მეთოდია სოციალიზმისა და შრომის სუფესის დამყარებისა. ამას სხვა ვინ გამოიგონებდა თუ არა ისეთი უებარი კოიტიკოსი, როგორც კ. კაპანელი. რა საჭიროა ბრძოლა, სისხლის ლერა, სოციალიზმი თავად-აზნაურობის დაუცემლადაც მყარდება თურმე. თურმე ისიც კია შესაძლებელი, რომ ცხვარი და მგელი ერთად სძოვდეს. რა შეაშია აქ სოციოლოგიური შეთოდი, აკობია ხეობელებს სოციოლოგიური მეთოდი არ ქონდათ, მაგრამ ისინიც ასე აფასებდენ ილიას.

ილია, რომელსაც ყმა აინტერესებს, როგორც სიბრაოლულის საგანი, როგორც დაბეჭიავებული და ილაჯ-გაშუვეტილი არსება და არა როგორც ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი“. (იხ. მ. ტორმშელიძის წიგნი: „ილიას შემოქმედება და მისი ნაწილების საერთო ხასიათი“. გვ. 14). ნუ თუ სოციალისტია, სოციალიზმის მოთაყვანე შრომის სუფესის მოძღვრალი? ილიას არასოდეს არ ქონია ასეთი პრეტენზია. პირიქით, ის მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმს, ქვეყნის დამლუპველად სთვლიდა ამ მოძღვრებას და ეს მან აშერად გამოსთქვა კიდეც მესამე დასელებთან კაბათში. ილია თავად-აზნაურობისა და გლეხობის შორის ჩატებილ ხიდის გამთელებისათვის მებრძოლი ვერ იქნებოდა არამც თუ სოციალისტი, არამედ ლიტერალიც კი ამ სიტყვის ფართო გაგებით. აკი მიწის საკითხში ის ხიზნობის, ბატონ-ყმობის ამ ნაშთის დამცველი იყო. აკი ის კერძო საკუთრების თავდადებული მომხრე იყო.

მაგრამ ჩენ არ ვიცით რა იდეოლოგიური თვალსაზრისით ხელმძღვანელობს „კომუნისტი“-ს კრიტიკისი ვინმე „მო-ლი“, როდესაც კაბანელის ამ გაუგებრობათა დომხალს რაღაც სერიოზულ შრომათ ასალებს და კერძოდ ილია ქავეჭავიძის შესახებ ამბობს:

„დიდი ხალისით და ინტერესით იკითხება თავი ილია ქავეჭავიძის შესახებ. შეიძლება ავთოზ ზოკერი დებულებებში არ დავთანხმოთ, მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს თავი მო-დენილად არის დაწერილი“.

ნუ თუ მარქსისტ კრიტიკოსისათვის საეჭვო უნდა იყვეს, რომ ილია ქავეჭავები სოციალისტი არ ყოფილა და არც სოციალისტური წესწყობილების მოთაყვანე. რისრევის ამბობს: შეიძლება არ დავეთანხმოთ, შეიძლება კი არა, არ უნდა დაეთანხმოთ, „კრიტიკოსი“. ამისათვის მაინც და მაინც არც მარქსისტობა საჭირო. სილოვან ხუნდანე, ა. ჯორჯაძე, არტ. ლეისტი და სხვა მრავალნი მარქსისტები არ იყვნენ, მაგრამ ეს დაინახეს.

კრიტიკოსი „მო-ლი“ არ სჯერდება კაპანელისათვის რეკლამის გაკეთებას და ასეთივე რეკლამებს უკეთებს კ. აბაშიძეს, ვ. კოტეტიშვილს, კაკელიძეს და სხვა მწერლებს, როდესაც ამბობს — ამ მწერალთა შრომებში გაშუქებული და დამუშავებულია მხატვრული ლიტერატურაო. ამ კრიტიკოს უნდა მოეხსენებოდეს, — და ამას

თუნდაც „კომუნისტი“ თანამშრომლობა ავალებს, — რომ ეს ნაშრომები ქართულ მხატვრულ ლიტერატურის გამაშუქებელი კი არ არის, არამედ დაძაბნელებელია. კოტეტიშვილის შრომა ცერძალულია, როგორც არა მარტო სახელმძღვანელოთ, არამედ დამხმარე წიგნათაც. ჩვენ ვფიქრობთ „კრიტიკოსს“, უფრო მეტი მოეთხოვება, ვინაური დრე იაფ-ფასიან რეკლამების გაკეთება.

ნუ თუ ვერ შეამჩნია მან კაპანელის ნაწერში ილია ჭავჭავაძის შესახებ ამდენი აბდა-უბდა და თუ შეამჩნია ჩვენთვის გაუგებარია, თუ რისთვის აფარებს ამას ხელს.

„კომუნისტი“-ის „კრიტიკოსს“ შეცდომაში შეპყავს მეითხველი სახოვალოება, იმ კრიტიკაში არ მოიბოლება ოდნავათაც იმდექტიურ-შარქის ტული თვალსაზრისი, რადგან ის ყალბი მეთოდით უდგება ქართულ მწერლობაში ჯზა-აბნეულ მწერალს — კაპანელს.

III. რადგანი

ალიო შაშაშვილი „ლექსები“. სახელგამი.

1927 წ. ტფილისი.

უდავოა, რომ ყოველი მწერალი იმდენათ წარმოადგენს ლირებულებას, რამდენათაც მას შემოაქვს ლიტერატურაში რაიმე ახალი, რამდენათაც გვეხმარება ის შევიმცნოთ ცხოვრების ესა თუ ის მაარე. აღ. მაშაშვილი უდიდესი სირთულით და გარკვევით გვიხატავს თანამედროვე ცხოვრებას, ჩვენს ბრძოლას და აღმშენებლობითი მუშაობას. მისი ლექსების თემები ჩვენი სინამდვილის პოეტური ამღერებაა:

„მომაქვს გლობუსი პოეზიის, ლექსებით საესე,
წინ გაძაქნეთ, გამაქანეთ, ცეცხლის რაშებო,
მხეო, მე გეტუვი, დამაცადეთ, მთვარევ შენც ასე,
გეთუვი აშკარად — თუ რა ხდება მიწის გარშემო!“

(„ავტოპოტრეტი“).

მაშაშვილის შემოქმედების გზა მეტად დამახასიათებელია საქართველოს ოქტომბრის შეძლევი დროინდელი ლიტერატურისათვის. მისი ეფოლიურია საკმაოდ ნათლად გვირკვევს იმ საფეხურებს, რომელიც განვლო პროლეტარულმა პოეზიამ, როგორც მთლიანად, ისე თვითეულ პოეტის შემოქმედებაში:

საოქალაქო ომის ხანა, სამხედრო კომუნიზმის დრო, როდესაც ბრძოლის კოველი აქტიური მონაწილე მტკიცეთ იყო დარწმუნებული რევოლუციის პლანეტარულ გაქანებაში, როდესაც გვეჩენებოდა თითქოს არა მარტო ადამიანები ანგრევენ ძველ ყოფა-ცხოვრებას, მონაწილეობენ ახალის აღმშენებლობაში, — არამედ მთელი ბუნებაც, მხეც, მნათობებიც ეხმარებიან წითელ ოქტომბერს, — მაშინ ჩვენი პროლეტარული პოეზიაც ხასიათდებოდა აბსტრაქციით,

პლანეტიზმით. ის ცდილობდა გადმოეცა ჯერ კიდევ შეუცნობელი განცდები კოსმიურ სახეების და შედარებების საშუალებით ალიო მაშაშვილმა თავის შემოქმედების პირველ პერიოდში გამოსახა ეს მომენტი და როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამხ. პ. ქიქოძე ყველაფერი ეს მაშინ სოფლური თვალსაზრისით და თვალთა ხედვით იშლებოდა მის შემოქმედებაში. ინდუსტრიის და ქალაქის პოეტს ამ დროს მაშაშვილში ჩეც მეტად სუსტად ვერძნობდით. თუმცა მაშინაც აქვს მას ქარხნის და შრომის საუცხოვო სურათები:

„როცა ქალაქს აბრუებს საყვირების ზუზუნი,
შრომით შეზარხოშდება ვნება დაუდევარი,
ქარხანაში შევდივარ ჯერ ნორჩი-უსუსური,
ჩამაფიქრებს მანქანა, ამ დროს ლახდი ვერპარნის,
ზეთის ჭიქას გამიწვდის—ეს შენ უნდა დალიო,
ქარხნის საბედისწეროთ, საყვარელო ალიო?—

(„ელვედანი“)

იმის მიხედვით, რამდენათაც ცხოვრება ლებულობს განსაზღვრულ და ჩამოყალიბებულ სახეს,— მაშაშვილის „ექსებშიც ჩნდება უკვე ახალი განწყობილებები, სხვა მოტივები, მოსხანს კონკრეტობა და სხვ.

დღეს ჩეც ვცვლით იმ წარმოებითი ურთიერთობას, რომელიც მრავალი საუკუნოების განმავლობაში არსებობდა ადამიანთა შორის. მაშაშვილი გაბეღულათ სახავს ამ გარდატეხას ძევლი ყოფილა— ახლისაკენ. ის გრძნობს, რომ მტკვარს, სადაც წინეთ „ბლაოდა ბარანი ლრენით-ჩავილით“, დღეს უკვე:

„მტკვარს დაჰკიდეს მხით მაგიერ ზაჰესის გული
და მტკვარისტანი ვარსკვლავებით გადაშლილია;
ზეცა— ბუხარი ელვარედო იწვის გუგუნით,
ყოველი ლამე მხით დამწვარი დღის ხახშირია!“.

(„მტკვარისტანი“)

ჩენი ცხოვრება დღეს ინდუსტრიალიზმის გზაზეა დამდგარი, დღეს ლითონი და მანქანაა ცხოვრების წინსკლის უპირველესი პირობა:

„დღეს პოზიაც სუნთქვას ლითონით,
მოაქვს სიცოცხლე ახალ-ქართული,
გუგუნებს ქუჩა-ქვის ბარიტონი
ზღვა მავთულებით გადახლართული.
გვინდა სირბილი თვალ-განელებით,
მტკერში ბომბივით ფიქრი ტრიალებს...
რბიან, კიევიან რკინის მერნები
და რკინის კვალებს თვლის მატიანე!

(„მე და ბარათაშვილი“)

ლექსების ამ კრებულში უსათუოდ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „მე და ბარათაშვილი“, „კომკავშირის მარში“, „პასუხი მოვონებას“.

ალ. მაშაშვილის მხატვრული ფორმა მდიდარი და მრავალფეროვანია. ის სარგებლობს ლექსთა წყობის სხვადასხვა ფორმით, დაწყებული კლასიკურიდან და გათავებული უახლოეს ფორმით, მაგრამ ცველაფერს ამას ის ხმარობს შინაარსისაგან დამოკიდებული ბით. ამასთანავე არ შეიძლება გვერდი აუხვით ე. წ. ფორმადერ გავლენას, რომელსაც გინეციდის მაშაშვილი, მავრამ როგორც ცნობილია „პოეტი არ იძადება შიშველ ადამიანათ, შიშველ მიწაზე“ (ლ. ტროცკი). არც ერთ ახალგაზრდა პოეტს არ შეუძლია დასაწყისში თავი დააღწიოს, გვერდი აუხვით ამა თუ იმ სკოლის, ამა თუ იმ უფრო ძველი მნიშვნელოვანი მწერლის გავლენას.

სარეცენტო წერილში შეუძლებელია ალ. მაშაშვილის შემოქმედების ყოველმხრივი და დაწვრილებითი განხილვა.

ლექსიში წამდლვარებული აქვს ამბ. პ. ქიქოძის საყურადღებო, და შინაარსის კოტიკული გახილვა მაშაშვილის შემოქმედების.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი უსათუოდ კარგ შთაბეჭდილებას ახდებს. საჭიროა ის ფართეთ გავრცელდეს. ჩვენმა ახალმა საზოგადოებამ კარგათ უნდა გაიცნოს თავისი პოეტი.

წიგნის ფასიც არ არის ძვირი. ის ღირს 1 ბან. 20 კაპ.

3. რიძოდე

სალიტერატურო და სამხატვრო ალმანახი „მიზანი“ № 1. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშათა წრის გამოცემა. ტფილისი. 1926 წ. ტილაჟი 2000. ფასი 20 კ.

პროლეტარული მწერლები, რომლებიც უშუალოდ სდგანან დაზღახთან და აკირქვებიან ჩვენი მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრებას პრივილეგურ მდგომარეობაში არიან იმ მხრივ, რომ ძლიერათ და უშუალოდ განიცდიან ახალ ცხოვრებას. ამ თვალთსაზრისით უნდა მივუღეთ მუშა მწერალთა წრის ეურნალს. მართლაც გაუგებრობა იქნებოდა აღიარება არა პროლეტარულ მუშა მწერლობის არსებობისა. პროლეტარული მწერლობა შეიქმნა მუშათა კლასის ამსახველ ლიტერატურის სოციალისტურ იდეოლოგიასთან შეეავშირებით და დღეს, როცა უკვე დაწყებულია სოციალისტური მშენებლობა არა-პროლეტარული მუშათა, ესე იგი არა სოციალისტური მუშათ მხატვრული მწერლობის რესტავრაცია მეტად რეაქციონური, „მახაევისებური“ საქმე იქნებოდა. გარეგნულად ასეთი ტენდენციები თითქოს აქვს ამ ეურნალს და განსაკუთრებით ამის საშიშროება არის ამბ. შ. ნავთლულელის მოწინავეში. გარდა ამისა წინასიტყვაობა სტროებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ამ მუშათა წრის გარეშე არ არსებობდეს მუშათა მხატვრული შემოქმედება — აქ არის შესაძლებლობა სექტანტიზმის.

შემცდარია აგრეთვე გამოთქმა „მუშა-გლეხი-მწერლები“, არ-სებობს მხოლოდ პროლეტარული და ბურჟუაზიული მწერლობა, გლეხობა ისეთი კლასია, რომელიც ვითარდება ან ბურჟუაზიული გზით (მსხვილი შესაკუთრებები „კულაკები“ და ნაწილობრივ საშუალო გლეხობა) ან პროლეტარული გზით (ლატაკი და საშუალო გლეხობა). ასეთივეა გლეხობის მხატვრული შემოქმედებაც. გლეხური მწერალი, თუ იგი რჩება ასეთად, და არ ითვევიფება ბურჟუაზიულ ან პროლეტარულ მწერლობაში, ხდება თანამგზავრად ან პირველის ან მეორესი. შეცდომია აგრეთვე მოწინავის ის ალაგი, სალაც ნათვამია, რომ თითქოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობამ დაადგინა მუშა მწერლებისთვის ცალკე უურნალის გამოცემა. ყრილობაც დაადგინა „Резең“-ის ტიპის უურნალის გამოცემა დამწყებ და მუშა მწერალთა თვის.

მხატვრული განყოფილება საკმაოდ საყურადღებოა. კარგი და კულტურულია ბელეტრისტიკა. ნ. ასლამაზაშვილი საკმაო კულტურული და უნაკლო პროლეტარული ბელეტრისტია. მის მოთხოვნებს ნაშდვილი მხატვრული იერი აზის და მას ქართულ მწერლობაში შეაქვს საკმაო წვლილი. იგი სწერს მოთხოვნებს მუშათა ყოფა-ცხოვრებიდან და ამით განსაკუთრებულ ალაგს იკავებს. მისი მოთხოვნა „სირანუში“ ასახვაა იმ კოშმარული რბევის, რომელსაც ალაგი ჰქონდა ბაქოში მუსავატისტების დროს. აქვეა მოცემული სხვადასხვა ეროვნების მუშების ცხოვრება. მოთხოვნა წმინდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმით არის შექმნილი. არა ნაკლებ კარგია პ. ჩხიყვაძის „გულდათუთქული გულნარა“. სადაც მოცემულია თანამედროვე მფლახვავი ბიუროკრატი მთელი მისი საზიზოროებით.

პოეზიაში კველაზე უფრო კულტურული ლექსი აქვს გ. ხეჩუაშვილის „სოციილიზმისკენ“, და ილ. სულაძეს „ტრამვაის კონდუქტორი“. კარგია ლექსები შ. ნავთლულელის „ვასო აბაშიძის სსოვნას“, დ. გორგაძის ორივე ლექსი, ვ. დევიძის „იალქანზე“. საერთო ნაკლები მთელი უურნალის განსაკუთრებით ლექსების იმაში მდგრმარეობს, რომ ყველა ეხება საერთო, განყენებულ, დიდ და მიუწვდომელ თემებს. საერთო, არაკონკრეტიულ თემებზე წერისთვის საჭიროა უდიდესი კულტურა, და ამ თემებზე წერაც არ ლირს იმდენად, რამდენადაც ჩვენ გვინდა რომ პროლეტარულმა პოეტმა სწეროს განსაზღვრულ თემაზე, ასახოს ჩვენი ყოფა-ცხოვრება. ლექსები ისეთ თემებზე როგორიცაა „სოციალიზმისკენ“, შეიძლება ათ ლექსში ერთი დაიწეროს. ამ მხრივ ე. იგი თიმატიურად კველაზე ლირებულია ამ უურნალში სულაძის და დოლიძის ლექსები, ასლამაზაშვილის და ჩხიყვაძის პროზა. პროლეტარულმა მწერალმა, რომელსაც აქვს საშვალება უშუალოთ იცხოვროს მუშათა წრეებში, უნდა შეეცადოს გადმოგვცეს სურათები, სიუჟეტიანი აღწერები ამ ყოფა-ცხოვრების. ამით იგი შეასრულებს უდიდეს კულტურულ მოვალეობას. მხატვრულად უურნალს აქვს ბევრი ნაკლი, რაიც არ არის გასამტყუნარი-მუშა მწერლები აღზრდილან ძველ მწერლობაზე და ამ მხრივ ბევრი

(ხეჩუაშეილსა და სხვ. გარდა) არ გასცილებია დავითაშვილის წერის პანერას. თუ თემატიურად ყველაზე უფრო საინტერესოა ს. დოლიძის „მეისრე ნიკო“ ფორმალურად იგი ძლიერ სუსტია, რადგან დაწერილია მეთორმეტე საუკუნის სტილით:

პ. გურიაშვილი

3. გაფრინდაშვილი. ლექსები. ტომი პირველი. გამოცემა სახელგამის. 1926 წ. 220 გვ. ფასი 1 გ. 50 კ.

ვ. გაფრინდაშვილი, თავისებურათ გამორჩეული ფიგურაა, ქართველი სიმბოლისტების „ცისფერი ყანწელების“ ჯგუფიდან. იგი ტიპიური სიმბოლისტია, ამ ლიტერატურულ მიმართულების დამახსიათებელი ნიშნების დამტევი. აღნიშნულ წიგნში წარმოდგენილია მთლიანი სახე პოეტის შემოქმედების, მისი განვითარების ყველა საფეხურებით. თუმცა ეს საფეხურები მოქლებულია მრავალგვარობას და ურთი-ერთობიდან განსხვავდას, რადგან ივტორი პირველი ლექსითვე მოგვევლინა დასრულებულ პოეტად, ჩამოყალიბებულ მხატვრული ქრედიტი და ხედვის შეზღუდული ფარგალით.

პოეტი ვ. გაფრინდაშვილი, როგორც სიმბოლისტი გამოიჩინა საქუთარი ხელოვნური სამყაროს შექმნით. მისი განცდა და ათვისება, ძირეულათ აშცდარია რეალობას და მანეკენების წრეში ტრიალებს.

სიმბოლიზმი, როგორც ბურჟუაზიის დეკადანის, ფსიქოლოგიური ნიშანი, ხასიათდება ანთორმალური ადამიანის ფანტაზიის კოშ-მარულობით მის თანადორული ცხოვრების უარყოფითი და მახნჯი მხარების აპოლოგით, რომელიც შედევრია კაპიტალისტურ წესწყობილების. სიმბოლიზმი წარმოდგენს შემოქმედების უნაო დაკარგულ ფენის დევენერაციას—რომელიც „ბოდვით“ ირთობს თავს; მაგრამ ის გარკვეული ფსიქოლოგია, განსაზღვრული დაცემის პერიოდში მყოფი ფენის. აქ მაინც ცოცხალ ადამიანის განცდასთან გვაქვს საქმე.

ამ მხრივ გაფრინდაშვილის შემოქმედება,—ძირითადში მატარებელი სიმბოლიზმის ნიშნეულ თვისებებისა-თავისებურათაა გამიჯნული ამ მიმართულებიდან. მისი შემოქმედება, ეს თავის მხრივ სიმბოლიზმის აბსტრაქცია. ის სიმბოლიზმის, როგორც მიმართულების მშრალ სიმბოლოებში გადატანაა, მისი უსიცოცხლო ჩრდილის გამაგიურება.

სიმბოლიზმი,—როგორც განწყობილების-განცდის, გამომქვაცნებელ მიმართულებაში იგრძნოს ცოცხალი ადამიანი, დაცემული და გადაგვარების პერიოდში მყოფი ფენის—წარმომადგენელი, რომელ-საც მობეზრებული აქვს ცხოვრება, სიმახინჯეში—და ანორმალურ

სოციალურ ურთიერთობით, გამოწვეულ ხაშმი სცდილობს თავის
დათრობას—ბოჭემურ თავდავიწყებას. ეს განწყობილები ანორმა-
ლურ ცხოვრების იმ პირობების ანარეკლია, რომელშიც იმყოფე-
ბიან ყმაყოფილი ბურუჟაზის უსაქმური შეილები. მაშისადამე, აქ
რეალურ მაგრამ დაცუშულობის პერიოდში მყოფი ფენის განცდას-
თან და შოთლშეგრძნობასთან გვაქვს საქმე. ეს იგრძნობა ფრანგულ
და რუსული სიმბოლიზმის შემოქმედებაში. ვ. გაფრინდაშვილის შე-
მოქმედება კი, ასეთი სიმბოლიზმის, საერთო ხაზს, ნაწილობრივ
სცილდება. მის შემოქმედებაში, არ სჩანს რომ ის, რამიტე ურთიერ-
თობაში იყოს ცხოვრებასთან—სულ ერთია ეს მის რომელ მხარეს-
თან, (პირიქით; მისი შემოქმედება გარწმუნებთ რომ პოეტი ოთახის
კედლებს არ სცილდება. ის ამ შეზღუდულ ფარგლის ჩარჩოებშია.
სიმბოლიზმის კომმარულ განწყობილებების გამოწვევი, კაპიტალის-
ტურ ურთიერთობით შექმნილი ცხოვრებაა.

გაფრინდაშვილი, როგორც პოეტი სიმბოლისტია, მაგრამ გან-
ყენებული, და საკუთარ თავში გადახარშულ ფანტაზიით შეზღუ-
დული. მას შეუქმნია საკუთარი სამყარო, ხელოვნურ ტიყინების და
ლაბდების. ის ვერ სცილდება საკუთარ თაქს და ორეულობის მოჯა-
ფოებულ წრეს. მის სამყაროს პერსონაჟებია, ისტორიული სახელები,
შექსპირის გმირები, მისტიფიკატორები, მეფეები და სხვა
მითები, შექსპირის გმირები, მისტიფიკატორები, მეფეები და სხვა
უსიცოცხლო ტიყინები. პოეტისთვის არ ასებობს ორალობა, არც
ერთი მისი სახე. ის მის მიერვე შექმნილ ლანდების გინძობითაა გა-
ბრუებული. თვითმკვლელობის და ქლექის კულტი საპატიო ადგილს
ჰპოულობს მის შემოქმედებაში, როგორც ბურუჟაზიულ დეკადანის
პოეტში.

,.... ვიწამე სამუდამოთ ეს კარიერა
სიგირე. ქლექი. ალკოგოლი და თვითმკვლელობა“.

პოეტის მსოფლ-შეგრძნება ნორმალობის ვატეგორიას ამც-
დარია;

,„შეცხერი მსოფლიოს როგორც იდიოტი,
ირიბი სამყარო მთლად გადამაშენებს“.

მისი ხედვა—შეგნებულათ დაცილებული რეალობას.

,.... გამოვკვეთე თრთოლვა იქითური“.

სწორედ ეს „იქითურის“ გამოკვეთის ცდა—იმის მიზეზი, რომ
პოეტი ამოვარდნილია ცხოვრების მდინარებიდან, უკიდურესათ გან-
ყენებულია, უსიცოცხლი და შრალია. ლანდების, ორეულობის ტი-
კინების და დაისის პოეტი, გაფრინდაშვილი „ყანწების“ დეკადენ-
ტურ კარუსელის ერთგული წევრი, რევოლუციის შემდეგ ერთგვარი
თანამგზავრული ტენდენციები დაეტყო; მაგრამ განყენებული სიმბო-
ლისტ პოეტ—უპირველეს ყოვლისა ცხოვრებასთან დაბლოვებას
ვერ შესძლებდა—რის გარეშედაც წარმოუდგენელია მიმდინარე სა-
ზოგადოებრივ პროცესთან, რეალური კაშირი. ასეთი დაახლოვება,
გაფრინდაშვილმა, როგორც შემოქმედმა ვერ შეძლო; მით უმეტეს
როგორც—ახალი ცხოვრების მშენებელ რევოლუციონურ ფენებთან
დაცილებულ ფსიობლოგის მქონე პოეტს, რის გაშახლერელი არის

შთელი მისი წარსული შემოქმედება და უკანასკნელათ გამომელავნებული წარსულის განწყობილების რესტავრაციის ტენდენციები. ის რევოლუციის გმირებსაც (შაგ. საფრანგეთის რევოლუციის) ისევე ამითებს და ალანდებს, როგორც დანარჩენ ისტორიულ სახელებს, თანვის შემოქმედების ობიექტებს. ამ წიგნში მოთავსებული პოემა „პარიზის კომუნა“ შედარებით თავისუფლათ და გულწრფელათ დაწერილია და ამართლებს პოეტის მიზანს.

საერთოდ: გაფრინდაშვილი როგორც განყენებული სიმბოლისტი პოეტი—მეტად ვიწრო ფარგლისაა და თანადროულ ახალი ლიტერატურის განვითარებიდან და საზოგადოებრივ ცხოვრებიდან დაცილებული. გაფრინდაშვილი, როგორც თავის შემოქმედების შინარსით, ისე სიმბოლისტურ განწყობილების, სოციალური მიზეზით, წარსულშია, „ყანწელთა“ შორის, გაფრინდაშვილი, ხასიათდებოდა თავის თორმით, მეტრით და საერთოდ ფორმის კულტურულ დამუშავებით. მისი ლექსის კამერული გამოკვეთილობის განძსაღვრელი, იყო ის შემოქმედებითი მასალა, რომლითაც ხასიათდებოდა პოეტი.

უმთავრესათ ამ წიგნში მოთავსებული მასალები, პოეტის წარსულის შემოქმედების ნაყოფია და უკანასკნელი წლების მასალებიც არ გამოირჩევა თვისებით და ხასიათით, წარსულის შემოქმედებიდან.

როდესაც ეს წიგნი, თანდროულ სინამდვილეში, იცემა—იბადება კითხვა: მკითხველის რომელი ფენისათვის არის ის დანიშნული და საჭირო? პოეტ ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედება უცხოა და ფსიხოლოგიურად შეუთავსებელი, მუშურ-გლეხური, უდიდესი ფენებისათვის. ამ დეკადეგრურ განწყობილების კოშმარი, ვერავითარ ემოციონალურ ზედმოქმედებას ვეო იქმნიებს (რაც თავის მხრივ მეტად არა სასურველ იქნებოდა) რევოლუციონურ ფენებზე რომელიც თვითმევლელობაზე და ლანდებზე ჭი არ ფიქრობს არამედ სოციალისტურ მშენებლობაზე. მეორეს მხრივ მისი მომხმარებელი არც ახალი „ნეპშანურა“ ფენები იქნება, რომელნიც ალორძინებულ პრაქტიკიზმით ხასიათდებიან და სხვაგვარ—გასაოთობ ტექნიკ შემოქმედებას ითხოვენ. დარჩა მხოლოდ თვით „ცისფერი ყანწელების“ ეპიგონურ პოეტების ვიწრო ფენა—რომელთათვისაც, სპეციალურათ სახელმწიფოებრივი ორგანოს ზრუნვა, ზედმეტ და უსარგებლოოთ უნდა ჩაითვალოს. ამრიგათ, აღნიშნული ლექსების წიგნის იდეოლოგიურ-ლიტერატურული, ხასიათის და ლირებულების გარკვევის შედეგ ისშემა, მისთვის განხომილ მკითხველის საკითხი.

ანდრო დოლიძე „შავი წარსული“. სახელგამი. 1926 წ. ტირა-
ჟი 1000. ფ. 1 გ.

წინასწარ გვევონა, რომ პუბლიცისტურ შენიშვნებთან გვექნე-
ბოდა საქმე, როცა ამბ. ა. დოლიძის წიგნის ვიღებდით საკითხავად,
რადგან აეტორი ცნობილია უმთავრესად პარტიის მუშაკად. მოლო-
დინი არ გამართლდა! წიგნში მოთავსებული ცხრა მოთხოვდა—ნამ-
დვილი მხატვრული მოთხოვდებია. თითქმის ყველა მოთხოვდების
თემა—გაპროლეტარებული გლეხების ყოფა-ცხოვრება. სურათე-
ბი მოცემულია შედარებით კულტურულ და რევოლუციონურ გუ-
რის სოფლის ცხოვრების ფონზე. დრო: 1905-ის შემდეგი რეაქცია
გასაგებია თუ რატომ არის მწერლისათვის უფრო საინტერესო სა-
ხელდობრ ეს დრო: ღატაკ გლეხობის მუშათა კლასთან ერთად დამ-
ცირება და შავი ყოფა ამ რეაქციის წლებში „კლასიკურ“ სიმაღ-
ლემდე აღწევდა.

„უმანქო მსხვერპლი“, სოფლის ღატაკ გლეხი ქალის ვასასის
აუტანელ ყოფას გვისურათებს. ვასასი ვიღაც მოხელემ წამოიყვანა
ქალაქიდ თითქოს სასწავლად, ნაძვილიად კი მოსამახურედ აქციეს.
ვასასი აუტანელი შრომის მსხვერპლია; იჩეხბა აივნიდან და იღუ-
პება. ანალოგურია სიუჟეტი „დარიკოს დღესასწაული“-ს. ეს ორი
მოთხოვდა საქმიად კარგადაა შესრულებული და გვაგონებს ჩეხო-
ვის მოთხოვდებს ამავე თემაზე.

„საბედისწერო ჩუსტები“, „ათანასე“, „მიზანი“ რეაქციის წლე-
ბის გურიის სოფლის ცხოვრებას ასახავენ. ერთი მხრივ ტანჯული და
დევნილი, იძულებით ყაჩარებათ გადავირდნილი ღატაკი გლეხობა
(„საბედისწერო ჩუსტები“). მეორე მხრივ სამღვდელოება, შეძლებუ-
ლი და მოვაჭრე გლეხობა ბიუროკრატიასთან კავშირში („მიზანი“
„ათანასე“). ამ ძალთა-სამკედრო სასიცოცხლო ჭიდილს წარმოადგე-
ნდა მაშინდელი სოფლის ცხოვრება.

ძევლი სოფელი დღეს გარდაქმნილია: ახალგაზრდობა, რომელ-
საც თვით არ განუცდია შავი წარსულის საშინელებანი მხატვრული
მწერლობით უნდა ეცნობოდეს მას, რომ განიცადოს რევოლუციის
სიდიდე, რომელმაც მოსპონ ასეთი წარსული.

ამიტომ ამბ. დოლიძის წიგნი კარგი აგიტატორიკა!

განსაკუთრებით სდგას წიგნში „სიმინა მათლათაძე“ და „აღ-
სარება“. პირველი ქალაქის პარაზიტულ მოხელის ეგზოტიურ არ-
ციბაშვის „სანინზე“ აღზრდილ ტიპის უშინაარსობის და ფუქსავა-
რობის სურათს იძლევა. მეორე, „ალსარება“ მხატვრულად და ფსი-
ქოლოგიურად კველაზე უფრო ძლიერი ნაწარმოებია წიგნში მოთავ-
სებულ მასალათა შორის. აქ მოცემულია ტრალედია ქართველი მწე-
რლისა: ერთი მხრივ იმიტომ, რომ სა (მაშინდელ დროში) ქართველი
მკითხველი არა ჰყავს, რადგან ერთად-ერთი წვრილბურულაზიული

მკითხველი ვერებიცების ტიპის, რუს მწერლების კითხვით არის გადაგვარებული, და მეორე მხრივ იმიტომ, რომ თვით მწერალი გადაგვარებულია. საერთოდ ა. დოლიძე „ფაქტების პოეტია“, იგი რეალისტია და ძლიერია უფრო გარეგანი მოვლენების ღლწერაში, რის გამო არ ეხერხება ფსიქოლოგიური თემები. „აღსარებაში“ კი მან დასძლია ფსიქოლოგიური თემა.

მხატვრული ფორმა დოლიძის უბრალო და ნინოშვილისებურია. ნინოშვილს უახლოვდება აქტორი აგრეთვე თემატიურადაც. ეტყობა უშედეგოდ არ ჩაუვლეა გორკის და ვერებიცების შესწავლასაც.

იდეოლოგიურად დოლიძეს მტკიცე პროლეტარული — კლასობრივი ორიენტაცია აქვს.. ამ მხრივ მისი მოთხოვნები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგურია, რომელზედაც იზრდება თანამედროვე პროლეტარული მწერლების შენობა. სამწუხაროა მხოლოდ ის რომ დოლიძე დღევანდელ პირობებში ვერ და არ კისრულობს მწერლის მოვალეობას. წიგნი კარგად არის გამოცემული. ტირაჟი არასაკმარისია. მასიურად საკითხავი — წიგნისათვის.

დ. რონდილი

ლ. ტროცკი. „ლიტერატურა და რევოლუცია“. 188 გვ. თარგმანი
ვ. გაფრინდაშვილის. სახელგამი. 1926 წ. ფასი 70 კ.

ამხ. ტროცკის წიგნის ქართულ თარგმანში წარმოდგენილია ორიგინალის პირველი ნაწილის შემდეგი თავები: წინასიტყვაობა: ლიტერატურა ოქტომბრის გარეშე. რევოლუციის ლიტერატურული თანამგზავრები. ფუტურიზმი. პოეზის ფორმალური სკოლა და მარქსიზმი. პროლეტარული ხელოვნება. პარტიის პოლიტიკა ხელოვნებაში. რევოლუციის ხელოვნება და სოციალისტური ხელოვნება.

წიგნის რუსული ტექსტის მეორე ნაწილში მოთავსებული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რომელიც ეხებიან რევოლუციითა შორისი პერიოდის (1907-1914) გასწერივ რუსეთის ინტელიგენციის იდეოლოგიურ სახეცვლილებას. მის გარდაქმნას, ესთეტიკურ „გამახვილებას“, ინდივიდუალიზაციის და გაბურულების ხანას, რის შედეგათ ინტელიგენციამ იმის დროს ბურუუაზიულ-პატრიოტული სახე გამოიჩინა და რევოლუციის დროს ეგოისტურ-საბოტაზური და კონტრევოლუციონური არსი გამოამელავნა, ქართულ თარგმანში შეტანილი არ არის.

მაგრამ წიგნის პირველი ნაწილის ზოგიერთ თავებისადმი განვებ გვერდის ახვევა სახელგამისა და მთარგმნელის აშკარა შეცდომათ და დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

თავები, რომლებიც ეხებიან: ლიტერატურას ოქტომბრის გარეშე, რომელიც პირველად ახნაურული იყო, უკანასკნელად კი ბუ-

რეუაზიული თავიდან ბოლომდე, რომელიც ძელი მწერლების უფროსი ხაზის დასრულებათ ჩაითვლება და საიდანაც „საბქოთა“ მოტიტიავე მწერლობას შეუძლია ფირმალურათ თავისი გენერლოგია გამოიყანოს ამ ძელი მწერლობის სლავიანოუილურ და ნარილი-კულ მიმღინარებიდან. თუმცა ეს მოტეტიავე მწერლობა აზნაურული და ბურუებიული მწერლობის უმცროს ხაზს წარმოადგენს და ეხლა კი სახეს იცვლის ახალი სოციალური პირობების მიხედვით.

წიგნის ის ნაწილი, სადაც ამხ. ტროცკი მარქსისტულ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს სიმბოლიზმის ლიტერატურულ ეპოქას, საერთოთ მისტიკურიზმის პერიოდს და მოცემულია რევოლუციის ლიტერატურულ თანამგზავრების (ნ. კლიუევი, ესენინი, ვსე-ივანოვი, ბლოკი, პილინაკის და სხვ.) პერსონალური გარჩევა, მათი სოციალური წარმოშობისა და მნიშვნელობათა გარკვევით, ქართულ თაოგმანში შევნებულათ გამოტოვებულია.

მართალია მთარგმნელი თვით ეკუთხნის ამ თავებში გარჩეულ ლიტერატურულ თაობას („ცისუერი ყანწები“). მაგრამ ქართველი მკითხველის უშეალო ინტერესი მოითხოვდა, თარგმანი მთლიანათ ყოფილიყო წარმოდგენილი.

ცნობილია ტროცკის მიერ პროლეტარული რევოლუციის მხატვრული თანამგზავრების ძირითადი დახასიათება, რომ „ყველა ისინი ასე თუ ისე იმედით უცქერიან მუშის იქით გლეხს. თანამგზავრის შესახებ ყოველთვის შეიძლება დაისგას საკითხი: რომელ სადგურამდე?“ რამდენათ ისინი მთლიანათ ვერ ითვისებენ რევოლუციას და მისი კომუნისტური მიზანი უცხოა მათვენი.

ფურურიზმის შესახებ ამხ. ტროცკი სწორათ აღნიშნავს, რომ ეს მიმართულება უთუთდ არის ძელი მწერლობის შტო, რომლის საზღვრებში მან ვერ მოასწრო გაშლა.

„მარცხენა მხარე ძელი ხელოვნებისა რომელსაც რევოლუციამ ასე უმოწყვალოთ გამოაცალა სოციალური ნიადაგი, იძულებულია ბრძოლაში ამ ხელოვნების კულტურის განუწყვეტლობის შენარჩუნებისათვის ეძიოს დასარყნობი ძალა პროლეტარიატში. (გვ.152), რევოლუციის მოვლენათა გავლენით ფურურიზმი მიემართება ახალ რევოლუციურ კალაპოტში და სხვა მიმართულებებშე უფრო შედის „ახალი ხელოვნების“ განვითარებაშით.

ფორმალური სკოლისა და მარქსიზმის დამკიდებულებების შესახებ ტროცკის შეხედულებანი ძირითადში სწორია, რომ „ფორმალური სკოლის მეთოდები აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ისინი არ არიან საკმარისი“. ფორმალიზმს ახასიათებს დაავადებული მეთოდოლოგიური იგივეობა იდეალიზმის ტიპებთან. ხელოვნების კვლევის მეთოდოლოგიის პირდაპირ ფუნქციაში შედის, რომ ხელოვნების თავისი შინაგან კანონების კვლევის გარდა, გამორკვეული უნდა იქნას მისი სოციალურ-ფისიოლოგიური ექვივალენტიც, რომელიც გარკვეულათ განაპირობებს ხელოვნურ ღაქტების ბუნებასა და განვითარებას.

გახმაურებულია ამხ. ტროცკის უარყოფა პროლეტარულ ხე-

ლოვნებისა და საერთოთ კულტურის შექმნისა. მაგრამ ამ ნილილიზმს და პრინციპითან შეცდომებს პროლეტარულ ლიტერატურის მიმართ, იმდენათ დიდი ბოროტების მოტახა არ შეიძლია, რამდენათ ამხ. ტროცკის შეხედულება პერსონალურ ფარგლებში დარჩია და პარტიამ თავის ცნობილ რეზოლუციაში „ლიტერატურულ პოლიტიკის შესახებ“ საქვეყნოთ აღიარა პროლეტარულ კულტურის და ლიტერატურის ფაქტი და აუცილებლობა და პროლეტარულ ლიტერატურას მიანიჭა ისტორიულ პეგამონიის მოპოების უფლება.

ტროცკის ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას კულტურა ესმის როგორც დამთავრებული, „იმთავითვე“ მოლიანათ შეცემული, აქედან კულტურის საკითხებისადმი კლასიურ მიდგომის უქონლობა. „პროლეტარიატს დროც არ ეყოფა, რომ შექმნას პროლეტარული კულტურა.. პროლეტარიატს თავის დიქტატურა ესმის, როგორც მოყლევადიანი, გარდამავალი ეპოქა“. „მთავარი ამოცანა პროლეტარულ ინტელიგენციისთვის უახლოეს წლებში არის არა აბსტრაქციები ასალი კულტურისა... არემო კონკრეტიული კულტუროსნობა ე. ი. კრიტიკული შეთვისება ჩამორჩენილ შასების მიერ იმ უსაშიროესი კულტურის ელექტრებისა, რომელიც უკვე არსებობს“. (გვ. 111).

ამგვარათ ამხ. ტროცკი კულტურულ რევოლიუციის ამოცანებით საზღვრავს პროლეტარულ კულტურის არსებობას და მის ეხლანდელ განვითარების „შოწაფეობის ხანას“ უწოდებს. მაგრამ საკითხის ნამდვილი ლენინური დაყენებით, პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ ეპოქაში პროლეტარული კულტურის შშენებლობა უშუალოდ გამომდინარეობს კულტურულ რევოლიუციის ამოცანების გადაწყვეტილან. და ეს ორი მოვლენა კულტუროსნობისა და დაპირისპირებულ კლასობრივ კულტურის შექმნისა დიალექტიურ მთლიანობაში ვითარდებიან, მომავალ სოციალისტურ კულტურის საფუძველებათ.

კერძოთ გარდამავალი ხანის ლიტერატურის ამხ. ტროცკი რევოლიუციონურ ლიტერატურას უწოდებს. აქაც კლასიური ანალიზისა და ხედვის გარეშე. რევოლიუციონური პროლეტარულს არ უპირისპირდება. კერძოთ რევოლიუციონური ხელოვნების ცნება კლასიური გაგების გარეშეა იმდენათ, რამდენათ გარდამავალ ეპოქაში ვითარდება დამოუკიდებელი პროლეტარული ხელოვნება და რევოლიუციის ჩამორჩენილი მწერლები საბოლოო ანგარიშში პროლეტარულ მწერლობის იდეოლოგიური და ლიტერატურული თანამგზავრები უნდა გახდეს.

ვიქთორ შკლოვსკი. სენტიმენტალური მოგზაურობა.
თარგმანი: კონსტ. გამსახურდიასი და ვახტანგ კოტეტიშვილისა.
გამოცემა სახელგამის. 1926 წ. გვ. 198. ფასი 1 მან. 30 კაპ.

ვიქთორ შკლოვსკი, ოფსულ ლიტერატურაში უმთავრესათ ცნობილია, როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსი, და ხელოვნების არსის და განვითარების გაგებაში, საკუთარი პოზიციის მქონე. შკლოვსკი, მამა-მთავარი და შემქმნელია მეთოდოლოგიის იმ სახელმძღვანის, რომელიც ლიტერატურულ სინამდვილეს იკვლევს ფორმალური მეთოდით; ე. ი. ლიტერატურას თვლის თვითმყოფად კატეგორიათ, სიციალურ გარემოსაგან დამოუკიდებლათ, რომელსაც აქვს თავის სპეციფიური კანონები — და რომლის განვითარება წარმოადგენს, ფორმათა ცვლის პროცესს.

„პოეტურ ენის, შემსწავლელ საზოგადოების“ (ოიოავ) მეთაური შკლოვსკი — თავის თეორიას აყრდნობს უმთავრესათ და განსაკუთრებით, მისი კვლევის ხასიათის დამადასტურებელ მასალათ იყენებს, ფუტურიზმის მემარჯვენე „ზაუმნიკურ“ ფრთას.

სპეციალურათ დამუშავებულ „პროზის თეორიის“ ავტორი მხატვრული პროზის დარგშიაც მუშაობს, სადაც სცდილობს, თავის თეორიულ „გეგსილების“ განალებას. ასეთი ცდების ერთ-ერთი ნიმუში არის, ქართულათ თარგმნილი „სანტიმენტალური მოგზაურობა“. შკლოვსკი, როგორც მხატვრის მიზრევილება (რომელსაც თეორიულათ გათვალისწინებული აქვს, მხატვრული პროზის წარსულის და არსებულის, ხერხები და ახალი ხერხების საჭიროება) უმთავრესათ გამოიხატება მასალის მოხერხებულ ორგანიზაციაში, მის თავისებურ და უჩვეულო აგებაში; ის ცდილობს — თავის მასალის დათანწყობილების ხერხებით, — ეფუქტის მოხთვენას, მკითხველის ყურადღების და-ქერას, ჩვეულებრივის გაუცარებას. თანახმად თავის, თეორიულ პრინციპებისა, მას როგორც მხატვარსაც პირველ რიგში ფორმალური მიზნები აქვს, რაც მისთვის უმნიშვნელობა ხდის თვით, ასეთ ფორმაში ჩამოსაყალიბებელ, მასალის-შინაარსის რაობას. ამ ვარე-მოების შედეგა ის, რომ შკლოვსკი არ ხასიათდება, თემატიკური გაშლილობით, მხატვრული ტილოს სისავსით და თანადროულ ცხოვრების ტიპიურობის მრავალ მხრივობით, ის შეზღუდულია მხოლოდ პიროვნული ფარგლით.

მხატვარი — შკლოვსკი, თავის ნაწერებში სჩანს მხოლოთ თვითონ; იქ მხოლოდ მის ფსიხოლოგიურ კონსტრუქციას იგრძნობთ, და იმას, თუ როგორ გადატყდა მის შემცნებაში თანადროული ცხოვრების, ჩქარ-ძავალი პროცესები.

ცხადია — რომ ავტორი გარკვეულ ფენის წარმომადგენელია, და როგორც ასეთი მისი მსოფლ-შეგრძნობა ცეულინის და ახასიათებს, განსაზღვრული სიდიდის მქონე წრეს. ეს სავსებით მეღაენდება „სე-

ნტიმენტალურ მოგზაურობაში“. მიუხედავთ იმისა, რომ ავტორის გაგებით სოციალური პირობები არ არის მნიშვნელოვანი მხარეული ნაწარმოებისათვის, ეს მის მხარეულობა ნაწარმოებში პირიქით მტკიცდება; აქ მისი, „უშინარსობა“ (როგორც ეს გ. პლეხანოვის მიერ იყო აღნიშნული სულ სხვა მაგალითზე) თავის-თავად გარკვეული შინაარსის მქონეა. თუმცა, ამ ნაწარმოებში სჩანს მხოლოდ ავტორი, (როგორც ეს შკლოვსკისათვის ჩვეულია—რასაც ამჟაფნებს. ყველა მისი ნაწარმოები—უანასკნელის. „მესამე ქარხნის“ ჩართვითაც) მაგრამ მაინც იგრძნობს, სოციალური ატმოსფერა, გარკვეულ რეაქციონურ და რევოლუციისაგან ნიადაგ გამოცლილ ფენის მსოფლშეგრძნობა,—და მის მიერ ოქტომბრის რევოლუციის ათვისება, როგორც არეული, უმიზნო კოშმარის. შკლოვსკი უპრინციპონ ინტელიგენტია. ის იმ ფენას ეკუთვნის, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციამ მთლად გამოაცალა ნიადაგი და დააბნია; რომლის შემდეგაც ეს გხა-აბნეული ფენა ხან ერთ მხარეს აწყდებოდა, ხან მეორეს. „ინტელიგენტს თავისი კლასი არ გააჩნია, და რევოლუციის დროს, შეუგნებლათ, სხვა კლასთა ნებას „ასრულებს“—ოსწერს აეტორი. ამით ხსნის ის თავის დაბნეულობას. განსაკუთრებით —თანადროულობაში—ინტელიგენტია კლასიურია—ის ან ბურჯუაზიული და ან პროლეტარული; ეს რევოლუციის პერიოდში ინტელიგენტის ნაწილის იძულებით დაბნეულობა—კლასიურობის ნიშანია და არა დე-კლასიურობის.

„მე ხან მივრბოდი მოხნულ მინდოოზე შესატევრათ, რუსეთის დასაცავათ, ხან ს. რ. ერთად ვებრძოდი ბოლშევკებს, ხან ვემორ-ჩილებოდი ყოველთვის ჩემს ჩვარეშე არსებულ რაღაც ნების-ყოფას და დნეპრის ნაპირებზე ვრახევლს ვებრძოდი, ან და „დობროვლებს“ ვატუსალებდი კიევში“... აცხადებს ავტორი, „სენტიმენტალურ მოგზაურობის“ წინასიტყვაობაში. ეს საოცარი განურჩევლობა არ შეიძლება ჩაითვალოს დე-კლასიურ „დუშეცა“-ს ქანაობათ. ეს წვერილ-ბურჯუაზიულ ფსიხოლოგიას, რომელიც უცხანა და შორსაა რევოლუციის ნების-ყოფის თრაგიზიზაციულობიდან და მისი მოპირდაპირეა. ამ უპრინციპი ქანაობაში და რევოლუციის ვერ „გაგებაში“ გარკვეული რეაქციონური შინაარსი თავსდება. ამ დებულებას შკლოვსკი, გულწრფელად ამტკიცებს, —შიშველი განცხადებით, რომელიც წანურმდვარა „სანტიმენტალურ—მოგზაურობას,“ რითაც წინასწარვე განსაზღვრა მისი ღირებულება და ხასიათი:

„ჩემს მოგონებებში ამბავთა მთლიანი სურათის ძებნა საჭირო არ არის. ეს ნაწყვეტებია, განზრახ ყალბი კუთხიდან ნახულ და აღებული.“ (კურსივი ჩემია. ბ. ბ.)

ი ამ ყალბი კუთხიდან გვიშლის ავტორი თავის მოგზაურობაში იქტიომბრის რევოლუციის პროცესს ტ მის მძიმე პერიოდებს. ჩვენს წინ იშლება პირველი პერიოდი, როდესაც ინტელიგენტია საბორგას ეწეოდა; შემდეგ სიმშილის შიშით „ხელობების“ ძიება დაიწყო. ყიდა გახეოვებს, ვაჭრობდა. „ერთ დროს ყველამ შოკოლადის კეთება დაიწყო“. განსაზღვრული დროს შემდეგ ნაწილი მეტად

მეომრულ განწყობილებაზე დადგა, ავტორთან ერთად — „ჩვენ გრინ-დოდა სროლა. შეშების ჩამტკრევა. ჩვენ ბრძოლა გვინდოდა“. წარმოიდგინეთ თუ რამ გამოიწვია თვით კერძოთ ავტორში ასეთი კონტრევოლიუციონური ბრძოლის შინი:

„მე შოკოლადის გაეთება არ ვიცოდი...“

ამირიგად მას „ხელობა“ არ ჰქონდა. შიოდა და ბრძოლა იყო უკანასკნელი საშუალება, კეთილმდგომარეობის წამრთმევ ფაქტის წინააღმდეგ.

შკლოვსკის ეს მემუარები, მეტად საინტერესოა იმ მხრივ, რომ გვიშლის შინაგან ბუნებას, ოქტომბრის რევოლიუციით უქმაყოფილო და მატერიალურათ და უფლებრივიათ „შეურაცხყოფილ“ ფეხების განწყობილებას, მათი რევოლიუციის პერიოდში, მეომრულ ჩხირედლამბის უსუსურობას, გვიჩვენებს გახრწნას ამ უქნებისას, როდესაც ისინი ჩქარი ტემპით კარგავდენ ორგანიზაციულობას, ძალას, ბრძოლის უნარს, იქსაგებოდენ და მათი ზრახვები, შეუბრალებლათ იმსხვევოდა ძლევა-მოსილ რევოლიუციის გასაღ-კლდევებულ ზღუდეებზე. მეორეს მხრივ თვით რევოლიუციის პროცესი, ავტორის განცადებითვე „ყალბი კუთხიდან ნახული და აღებული“ — მეტად მანიჯათ არის წარმოდგენილი, ამ სიყალბის გამო. ცხადია ის რომ, რევოლიუცია, ეს არ არის უტრკივენული პროცესი, იდეალური გადალავება, უსისხლო ბუტაფორია. მრავალი მძიმე გაიზიდები და შტკივნეული მხარეებია მის ორგანიულ გაშლაში ჩაქსოვილი; მაგრამ მაინც უარყოფით გავლენას ახდენს, როდესაც ამ რევოლიუციისთვის, უცხო და მტრულად განწყობილი ფენის წარმომადგენენელი, გიდგენს ამ რევოლიუციის პროცესს, მხოლოდ უარყოფით, დამახინჯებულ და ყალბ კუთხებიდან. მხოლოდ, ტილების სისხლს, შიმშილის, ჩეის ორდერების, დამსხვრებული მატარებლების, სიშიშვლის, გაველურების, და სხვა ამგვარი მხარეების შემჩნევა, ამჟავნებს, რევოლიუციისადმი სოციალურ დაპირისპირებას, მისი ორგანიული ენტუზიაზმის არ ქონებას. ასეთი ტენდენციები საზღვრავს შკლოვსკის — „სანტიმენტალურ მოგზაურობას“ ეს წიგნი — წარსულის კეთილიცხოვრების — ბუდიდან ამოგდებული ავტორის თავგადასავალი; რომელიც ძალაუნებურად გახვია რევოლიუციის ალში, იბრძოდა მის წინააღმდეგ — იბრძოდა მასთან ერთად, შემცვევ დაადგა გამარჯვებულ რევოლიუციისთან შეგუების გზას, მაგრამ მაინც საესებით არ არის დამშვიდებული; რადგან ცხოვრება, მის კეთილ-მდგომარეობისათვის, ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული; ეს მელაზნდება შემდეგში: „სანტიმენტალურ მოგზაურობაში“ შავხოლათ არის გატარებული, „პაიოკის“ მქლე პორციებით გამოწვეული პესიმიზმი. ავტორის მსოფლივი გავება ამ შემთხვევაში მეტად პრაკტიკულია და ვიწრო. ის განიცდის რომ ტევინი თხოულობს შაქარსა და ქონს და მას სხვა რამეს ვერ შეაგნებინებ.“ ამ ნაზით, მისი ინტელიგენტური უპრინციპობა — ადგილათ შეიძლება განისაზღვროს „აკადემიური ულუფის“ ფარგლით. ავტორის სანტიმენტალური მოგზაურობის საზღვარი ბერლინია. აქ მას სასოწარკვეთილებაში აგდებს, რუსი ემიგრაციის უბად-

რუკი და გადაგვარებული მდგომარეობა, რაც ძლიერი სტიმულია
 მისთვის რევოლუციის პრინციპების ორგანიულ მიღებისათვის „მიზანის
 იმპერიალიზმი. გაუმარჯოს ხალხთა ძმობას. თუ დალუპვა იქნება, რომ
 ამისთვის უნდა დავიღუპოთ. ნუ თუ ამდენი უნდა მეხეტიალნა, რომ
 ეს გამეგო -ო, მელანქოლიურათ დასძენს, სენტიმენტალური მოგზა-
 ური. მაგრამ სჯობს—გვიან, ვიდრე არასოდეს. მძრიგათ აღნიშნული
 წიგნი გარკვეული შინაარსის და განწყობილებისა—რომელიც გა-
 ნიცდის ცვალებადობას—რევოლიუციონურ მიმართულებით განვითა-
 რებას; მაგრამ ძირითადში მაინც უცხო ფენის ფსიხოლოგიის კუთ-
 ვნილია. წიგნი, როგორც მხატვრულია ისე შინაარსით არ არის შო-
 კლებული შინაარს, მაგრამ ქართულზე, წიგნების თარგმნის საკითხი
 — მეტად შერჩევას საჭიროებს.

მაშინ, როდესაც ქართულათ არა გვაქვს არც ერთი რუსული
 თანამედროვე ლიტერატურის დამახასიათებელი, რევოლიუციონური
 პროზის ნიმუშები, სახელ-გამის მიერ ვ. შელოვსკის თარგმნა, მე-
 ტის-მეტი „ფუუუნებაა.“ — თარგმანში დაუშვებელია უპრინციპო გა-
 ხურჩევლობა და შერჩევის გვერდის ახვევა, მით უმეტეს რომ ქარ-
 თულ წიგნს, თვითლირებულების აღდგენაც კი უჭირს. „სანტიმენტა-
 ური მოგზაურობა“ ქარგად არის თარგმნილი.



મ ન સ ા સ ા ર િ ન



861-0367-000 870-633-001.

(ავტორები ანბანზე)

ლექსილი:	
კალე ბობოხიძე—მეზღვაური	5
კარლო კალაძე—ენგურის მთებს	6
კონსტანტინე ლორთქიფანიძე—შინიატიურები	9
ალიო მაშაშვილი—პასუხი მოგონებას	12
ფრადონ ნაროუშვილი—ქალაქი ოფუცხოვოში	17
კალე ფეოდოსიშვილი—ეგნატეს ძეგლთან	20
პროცეს:	
კონსტანტინე ლორთქიფანიძე—ზლაპარი	34
ელიზაბარ პალუშორდევინოვი—ორი მზე	22
სიმონ წევრავა—მგლები	27
თეორია და პრიტკა (ანბანზე)	
ბენიტო ბუაჩიძე—„ქართული მწერლობის“ თეორია და პრაქტიკა	37
ლეო ესაკია—პროლეტარიატმა უნდა	55
შალვა რადიანი—ლიტერატურის მეცნიერების მეთოდი დავით რონდელი—ქართული მწერლობა და თანამედ- როვეობა	67
პლატონ ქიქოძე—რომანტიული რიალიზმი და ქართული პროლეტარული მწერლობის პერსპექტივები	77
ბიბილოზრდავის:	
კ. ბ-ლი—ილია ჭავჭავაძე, კაპანელი და „კომუნისტის“ კრიტიკოსი მო—ლი	109
შ. რადიანი—ალ. მაშაშვილი “ლექსები”	115
პ. ქიქოძე—„მიზანი“	117
ბ. ბუაჩიძე—ვ. გაფრინდაშვილი „ლექსები“	119
პ. ქიქოძე—ა. ლოლიძე „შავი წარსული“	121
დ. რონდელი—ლ. ტროიცკი „ლიტერატურა და რევო- ლუცია“ ქართული თარგმანი	123
ბ. ბუაჩიძე—ვ. შელოვსკი „სანტიმენტალური მოგზაურება“ ქართული თარგმანი	125

H.99 6/13



შპს სოცელებან 70 კაპ.